

თამარ პაიჭაძე

თამარ შარაბიძე

რომანული

ეპიგრაფიკა

თბილისი
2007

ნიგნის სახელწოდება „რომანული ეპიზოდები“ მომდინარეობს სასულიერო მწერლობაში შემთხვევით გაჩენილი მონაკვეთებიდან, რომელთა წარმოჩენაც აგიოგრაფის მიზანს არ წარმოადგენს. მწერალი მხოლოდ წმინდანის ღვანლს აღწერს, რომლის დროსაც გვერდს ვერც ყოფით, ცხოვრებისეულ ფაქტორებს უვლის. ასე იჭრება სასულიერო მწერლობაში რომანული – ცხოვრებისეული, სატრფიალო – ეპიზოდები, ანუ შემთხვევით გაუღერებული რეალური ამბავი. ნიგნიც მხატვრულ ნაწარმოებში გამოყოფილ იმ საინტერესო ისტორიებს ეხება, რომლებიც დავინწყებას სწორედ ამ ნაწარმოების წყალობით არ მიეცა. შემოგთავაზებთ ორი ლიტერატორის – თამარ პაიჭაძისა და თამარ შარაბიძის – ლიტერატურულ წერილებს, რომელთა უმრავლესობა იბეჭდებოდა სხვადასხვა ლიტერატურულ ჟურნალში. ვფიქრობთ, ნაწარმოების ადრესატი და მასთან დაკავშირებული ამბავი უკეთ წარმოაჩენს შემოქმედებით პროცესს.

სარჩევნი

თამარ შარაბიძე

რატომ უყვარდა ყველას თამარი?.....5 (შოთა რუსთაველი და თამარი)	5
ხანის მარილიანი ასული.....15 (ნიკოლოზ ბარათაშვილი და გონჩა ბეგუმი)	15
დამარცხებული ილია.....25 (ილია ჭავჭავაძე და ალექსანდრა ჩაიკოვსკაია)	25
აკაკის შეცდომა.....35 (აკაკი წერეთელი და ტასო ბაგრატიონი)	35
ვის ცოლი ვის ემარსა სტირის?.....45 (ვაჟა-ფშაველა და თამარ დიდებულიძე)	45
შავთვალეზა ინტელექტუალი.....51 (ალექსანდრე პუშკინი და ალექსანდრა როსეტი-სმირნოვა)	51
მსახიობოებიდან კომისრობამდე.....65 (მაქსიმ გორკი და მარია ანდრეევა)	65
სპარსული მოტივები.....77 (სერგეი ესენინი და შაგანე ტალიანი)	77
თეთრი ქორწინება.....87 (ალექსანდრე ბლოკი და დიუბოვ მენდელეევა)	87

„მერი, ჩემო შორეულო“.....	99
(გალაკტიონი და მერი შერვაშიძე)	
“არც მყვარებია მეტი არაპინ”	115
(გალაკტიონი და ოლია ოკუჯავა)	
ცისფერი ორდენის სულიერი პრინცესა.....	129
(პაოლო იაშვილი და ელენე დრიანი (ბაქრაძე))	
„საიდან მოდის სილამაზა?“	165
(ტიციან ტაბიძე და თამუნია წერეთელი)	
“ლურჯი თვალები... ისევ მოგელის”	183
(ტერენტი გრანელი და თამარ ჯაფარიძე)	
“რა კარგი ხარ”	195
(იოსებ გრიშაშვილი და სოფიო ჩიჯავაძე)	



რატომ
უყვარდა
ყველას
თამარი?

.....

საქართველოს
რესპუბლიკის
საგარეო
აღმოსავლეთის
დასავლეთის
დასავლეთის
დასავლეთის
დასავლეთის
დასავლეთის
დასავლეთის
დასავლეთის

ერთხელ ლოცვით დაღლილ თამარ მეფეს ჩასძინებია. საოცარი სიზმარი უნახავს: მშვენიერი ადგილი, სამოთხის მსგავსი, სადაც მრავალი ტახტი იდგა, ზოგი ოქროსი, ზოგიც ვერცხლის, ზოგიც ძვირფასი თვლებით ნაჭედი. ისინი ცალკეულ ადამიანთათვის იყო განკუთვნილი მათი ნაქმარის მიხედვით. ერთი ტახტი ამალღებულ ადგილას იდგა და ყველასაგან გამოირჩეოდა. თამარიც ამ ტახტისაკენ წასულა, დაჯდომა უნდოდა, მაგრამ უფლება არ მისცეს. ძალიან გაუკვირდა მეფეს: „მე თუ არა, მაშ ვის ეკუთვნისო?“ თამარს უპასუხეს, რომ ტახტი მისი დიასახლისისა იყო, რომელმაც თორმეტ მღვდელს თავისი ხელით შესამოსავი მოუქსოვა; ამიტომაც დიასახლისი თამარს აღემატებოდა, მეფისათვის კი სხვა დიდებაც კმაროდა, მისი ადგილი უფრო ქვევით იყო და თამარს ყველაზე უდარესი ტახტისკენ მიუთითეს. გამოელვიდა მეფეს, დაუძახა დიასახლისის და ყოველივე გამოჰკითხა. ქალმა დაუდასტურა, რომ მართლაც მოუქსოვა მღვდლებს შესამოსელი. ამის შემდეგ თამარმა ალექსანდრიიდან ჩამოტანილი მატყლის დართვა და შესამოსლების ქსოვა დაიწყო. ქსოვდა მანამ, სანამ 12 არ მოქსოვა. თამარი ხელსაქმეს მიეჩვია. ის ძი-

რითადად ღამე შრომობდა; თავის ნაშრომს კი ფარულად ყიდდა, ალებულ ფულს გლახაკებს ურიგებდა და თავისთვისაც ყოველდღიურ საკვებს იმზადებდა. სამეფო შემოსავალს არც პირადი ინტერესებისთვის და არც ქველმოქმედებისთვის არ იყენებდა.

სიმდიდრემ და ძლიერებამ ვერ შეცვალა მისი მარტივი და სადა ქცევა. თამარი ხშირად ფეხშიშველი მიუძღოდა ჯარს ჯვრით ხელში; გადამწყვეტი ბრძოლების დროსაც ფეხშიშველი გარბოდა ეკლესიაში და ღამეებს ათენებდა ჯარის, ხალხისა და ქვეყნისათვის ლოცვაში. ჭეშმარიტ მართლმადიდებელს მუხლმოდრეკილი ლოცვა და ცრემლით ვედრება ჰყვარებია. მისი ხასიათის გასაოცარი თვისება კი ის იყო, რომ ყველაფერს მშვიდობიანად აგვარებდა. მის წინააღმდეგ მონყობილ აჯანყებებსაც განურისხველობით და ფრთხილი მოქმედებით ახშობდა. ჭირივით ეჯავრებოდა სიკვდილით დასჯა და დამასახიჩრებელი სასჯელეზი. მოღალატეებსაც კი არ უსწორდებოდა სასტიკად; მხოლოდ თანამდებობიდან აყენებდა. როცა დამნაშავე სიკვდილით, თვალების დათხრით ან დასაჭურისებით უნდა დასჯილიყო, თამარი თავისი უფლებით სარგებლობდა და სასამართლოს განაჩენს „მონყალებით“ ცვლიდა. ამ გზით გააუქმა და მოსპო ამგვარი სასჯელები. მიუხედავად ამისა, საქართველოში დანაშაულებებმა იკლო. აღარ იყო მტაცებლობა, მეკობრეობა და ქურდობა. ბუნებამ მეფე-ქალი გასაოცარი სილამაზით შეამკო. ბევრი ეტრფოდა თამარს, ბევრიც კი მეფის ქმრობას შენატროდა. თამარისათვის ღირსეული მეუღლის შერჩევა დიდებულების ბჭობის საგნად იყო ქცეული. ერთ-ერთ ასეთ თათბირზე თბილისის ამირა აბულასანმა რუსეთის მთავრის შვილის კანდიდატურა წამოაყენა, რომელიც, ბიძისაგან დევნილი, იმჟამად ყივჩაღეთში იმყოფებოდა. საბჭოს ეს წინადადება მოსწონებია იმიტომ, რომ რუსები ქართველები-

ვით მართლმადიდებელი ქრისტიანები იყვნენ და თანაც სამშობლოდან განდევნილი სასიძო მაინც ძლიერი ხელმწიფის შვილად მიაჩნდათ. მისი საქართველოში ჩამოყვანა დიდვაჭარ ზანქან ზორაბაბელს მიანდეს. სასიძო სასიამოვნო გარეგნობის აღმოჩნდა. დიდებულებმა და ვაზირებმა მოიწონეს. თამარი კი ყოყმანობდა და თანხმობას არ აცხადებდა. ამბობდა: „მშვენიერი რომ არის, განა შინაგანი მშვენიერებაც აქვსო?“ თამარი ვერ დაიყოლიეს. მაშინ დიდებულებმა რუსუდან დედოფალი დაიმონმეს, თამარის მამიდა და გამზრდელი, და თითქმის იძულებით „ნება-დაურთავი“ ქორწილი გადაიხადეს. თამარის ქმარი უკეთური გამოდგა. მას სოდომური ცოდვა აღმოაჩნდა. თამარს ეს იმთავითვე შეუტყვია და ორი წელი ითმენდა, სანამ დაფარული ჭირი დიდებულებმა და ვაზირებმაც არ შეიტყვეს. ამ ამბავმა ყველანი ალაშფოთა. თამარმა შეკრიბა სასულიერო პირები და დიდებულები. მათ წინაშე გააფრთხილა ქმარი, რომ, თუ არ გამოსწორდებოდა, გაეყრებოდა. გიორგი რუსის გადასხვაფერება ვერ მოხერხდა, ამიტომაც მისი ბედი გადაწყდა. ის საქართველოდან გააძევეს. მონყალე გულის თამარს მაინც ეცოდებოდა და ტიროდა. ასე ცრემლით გაისტუმრა საქართველოდან უღირსი ქმარყოფილი; თან აურაცხელი ლარი და სიმდიდრე გაატანა. „უბედური რუსი“ გააძევეს თუ არა, კვლავ გამოჩნდნენ თამარის ქმრობის მაძიებელნი, მახლობელ თუ შორეულ სახელმწიფოთა უფლისწულები, ქრისტიანები თუ მაჰმადიანები. მას ორი ძმა ეახლა, ოვსთა მეფის შვილები, ახოვანი და მშვენიერი მხედრები. თამარს ძმებმა შესთავაზეს, მათგან ერთ-ერთი ამოერჩია, თუკი რომელიმეს ღირსად ჩათვლიდა. ისინი უკანვე გაისტუმრეს. ერთ ძმას, სახელად ნიქოზს, თამარის სიყვარულის და მოუთმენელი სურვილის სენი შეეყარა, ველარ გაუძლო, ბნედა დაემართა და გზაშივე გარდაი-

ცვალა. ის საქართველოში დამარხეს. ერთი უფლისწული - სულთან ყიასდის ძე - კი მამამისმა შეიპყრო, რადგან თამარის გამო მაჰმადიანობა დათმო. სალდუხის ძე - მუტაფრადინი - თამარის წინაშე დიდძალი ლაშქრით, მრავალი დიდებულთ, მონით, მხევალთ, საჩუქრით, ბარგითა და სიმდიდრით წარსდგა. თამარმა მას დარბაზობა გაუმართა; პატივით დასვა თავისი ტახტის გვერდით. სასიძო თამარის დანახვისთანავე ატირებულა. საქართველოს სამეფო კარზე მუტაფრადინმა თითქმის მთელი წელი დაჰყო. მას კარგად უმასპინძლეს, გვარიშვილობის შესაფერისად, მაგრამ თამარის ღირსად მაინც არ სცნეს და მისი ნახევარდა, გიორგი მეფის „ხარჭისაგან ნაშობი“, შერთეს ცოლად. ის უკმაყოფილო და თვალცრემლიანი გაბრუნდა უკან. ამის შემდეგ შირვანშა ალსართანი მოვიდა ვითომდაც სტუმრად საქართველოში. მან დიდი საჩუქრებიც კი არ დაიშურა, ქრთამით სცადა მოესყიდა სამეფო კარი; მზად იყო, რჯულიც კი დაეთმო, მაგრამ ამოდ. ქართველი დიდებულები გიორგი რუსის შემდეგ ფრთხილობდნენ. უცხო ქვეყნის უფლისწულების ძებნის ნაცვლად ახლა აზრად მოუვიდათ ოვსთა უფლისწული, დავით სოსლანი, აერჩიათ მეფისათვის საქმროდ, რომელიც თამარის მამიდასთან - რუსუდანთან - იზრდებოდა; დედით ბაგრატიონი იყო, მამით - ოვსთა მეფეთა ძე. ამის შესახებ დედოფალ რუსუდანს მოახსენეს. მას არა მარტო გაუხარდა, არამედ თავად შეეხევნა და ურჩია თამარს, დათანხმებულყო. თამარიც მამიდას მიენდო და დიდებული ქორნილი გადაიხადეს.

დავით სოსლანი სახელოვანი მეუღლე გამოდგა. აქებდნენ მის ასპარეზობასა და მნიგნობრობას. ის ღირსეულად ედგა გვერდით თამარს და სახელმწიფოს მართვაში ეხმარებოდა; თუმცა, როგორც ისტორიკოსები აღნიშნავენ, ის მხოლოდ ქმარი იყო თა-

მარისა და ამის გამო – მეფეც. თამარმა მისგან შვა ტახტის მემკვიდრე – ლაშა-გიორგი, 1 წლის შემდეგ კი ასული – რუსუდანი. დავით სოსლანმა თამართან ერთად 23 წელი იმეფა. გიორგი რუსმა ორჯერ სცადა საქართველოში დაბრუნება და ტახტის ხელში ჩაგდება, მაგრამ უშედეგოდ.

როგორც ვხედავთ, თამარის მოტრფიალეთა რიცხვი საკმაოდ დიდი ყოფილა, მაგრამ დღევანდელი მხოლოდ ერთის სახელი შემორჩა, რომელიც თამარის დროის ისტორიკოსებს არც კი უხსენებიათ. ეს ერთი შოთა რუსთაველია. ყველაზე მეტად მან დამტკიცა მეფე-ქალის სიყვარული; შეთხზა და თამარს მიუძღვნა „ვეფხისტყაოსანი“, ქართველთათვის თითქმის ბიბლიის ტოლფასი ქმნილება.

ვინ იყო „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი და რა ურთიერთობა ჰქონდა თამართან?

რუსთაველის ლეგენდარული ცხოვრებიდან მხოლოდ აქა-იქ გაბნეული ისტორიული და ლიტერატურული ცნობები მოგვეპოვება: 1. „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის სახელი ყოფილა შოთა; 2. მამულიდან მიღებული გვარი – რუსთაველი; 3. ცხოვრობდა თამარ მეფის დროს; 4. თანამდებობით იყო მეჭურჭლეთუხუცესი; 5. მას შეუკეთებია და დაუხატვინებია იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მთავარი ტაძრის სვეტები, რის გამოც იქვე მოხუცებული რუსთაველის სურათიც გამოუსახავთ. და კიდევ ერთი: შოთამ „ვეფხისტყაოსანში“ შეფარვით აქო საქართველოს მეფე თამარი და მისდამი სიყვარული გამოხატა:

„დაუძღურდი, მიჯნურთათვის კვლა წამალი არსით არი,
ანუ მომცეს განკურნება, ანუ მინა მე სამარი!“

მართალია, მკვლევარები აღნიშნავენ, რომ თამარს, როგორც მეფე-ქალს, იმ დროისათვის ყველა ეტრფოდა და რუსთაველის

გრძნობაც მხოლოდ პატრონისადმი ყმური და პოეტური სიყვარულის დადასტურებაა, მაგრამ გულში მაინც ყველა ფიქრობს, რომ ამ სიტყვების წარმოთქმას მხოლოდ სიყვარულით სავსე ადამიანი თუ შეძლებდა. თამარის ქება მისი მეფობის პერიოდშიც ბევრი დაწერილა, მაგრამ ასეთი მხურვალე გრძნობა მეფისადმი არავის გამოუხატავს.

რუსთაველის გრძნობით აღსავსე პოემა შეუმჩნეველი არ დარჩენია ხალხს. ამიტომაც შეიქმნა ლეგენდა შოთასა და თამარის სიყვარულის შესახებ. ლეგენდა შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ ხალხის ფანტაზიის ნაყოფი იყოს, მაგრამ ერთი რამ კი ცხადია – რუსთაველმა „შეფარვით“ აქო მეფე-ქალი, რაც პოემის იდეალურ გმირ ქალებში თამარის სახის არსებობას უნდა გულისხმობდეს. შესაძლებელია, თინათინის ბრძნული, გონივრული, აუღელვებელი, განონასწორებელი ქმედებით რუსთაველმა თამარის ბუნების ერთი მხარე წარმოაჩინა, ხოლო ნესტანის ავბედითი თავგადასავლით – მისი რთული და წინააღმდეგობებით აღსავსე ცხოვრება, ქალური ბუნება და შინაგანი განცდები; თავისი ტრფობაც ამ პოემაში ჩააქსოვა და მიჯნურობის არსი – „ველად გაჭრა“, გაყრა და სურვილთა დათმობა — იქადაგა.

ბოლო წლებში თამარისა და შოთას სიყვარულის შესახებ კიდევ ერთი საინტერესო ვერსია შეიქმნა. პოეტმა თამარ ერისთავმა გამოთქვა მოსაზრება, რომ „ვეფხისტყაოსანი“ დაწერა თამარ მეფის ბიძაშვილმა – დემნა ბაგრატიონმა, რომელსაც უყვარდა თამარი, მაგრამ ამის გამჟღავნება შეუძლებელი იყო, რადგან ისინი სისხლით ნათესავეები იყვნენ. სიყვარულში იმედდაკარგულმა და პოლიტიკაში დამარცხებულმა დემნამ დაწერა „ვეფხისტყაოსანი“, სადაც ტარიელის სახეში თავის თავს გულისხმობდა, ხოლო ნესტან-დარეჯანში – თამარს. თხზულებას თავისი სახელით ვერ

გაავრცელებდა და ამიტომ ავტორობა რუსთაველს მიაწერა, რუს-
თაველად გარდაისახა.

დემნა უფლისწული დავით V-ის ერთადერთი მემკვიდრე იყო. მამამისმა ცოტა ხანს იმეფა და მალევე გარდაიცვალა. XIII საუკუ-
ნის ისტორიკოსის – სტეფანოზ ორბელის – ცნობით, სიკვდილის
წინ დავითმა დიდებულებსა და თავის უმცროს ძმას – გიორგის
– ჩააბარა მცირეწლოვანი უფლისწული. ძმის გარდაცვალების
შემდეგ ტახტზე გიორგი III ავიდა იმ პირობით, რომ, როგორც
კი დემნა სრულწლოვანი გახდება, გვირგვინს მაშინვე გადავცე-
მო. პირობის შეუსრულებლობის გამო დიდებულთა ნაწილი დემ-
ნას ამოუდგა მხარში და გიორგის შეებრძოლა. აჯანყებულები
მაშველი ჯარის მოლოდინში ლორეს ციხეში გამაგრდნენ. დემნა
უფლისწულს გვერდით ედგა სიმამრი ივანე ორბელი. მისი ძმა,
ლიპარიტ ორბელი, 60000 მხედრით სპარსეთიდან დასახმარე-
ბლად მოდიოდა. აჯანყებულთა პოზიცია საკმაოდ ძლიერი იყო.
ამ დაძაბულ ვითარებაში გაუგონარი რამ მოხდა, დემნა ღამით
თოკით გადმოეშვა ციხიდან, ბიძასთან მივიდა და სიცოცხლის
შენარჩუნება სთხოვა. გიორგიმ მას თვალები დასთხარა და და-
ასაჭურისა, ხოლო ორბელთა გვარი ძირფესვიანად ამოაგდო.
იმდროინდელი მემატიანე აღნიშნავს, დემნას „მიაგეს მისაგებე-
ლიო“; მისი სიკვდილის ვერსია კი უფრო მოგვიანებით გაჩნდა
ლაშა-გიორგის დროინდელ თხზულებაში: დემეტრე მოკვდა და
მცხეთაში დამარხესო.

ზოგიერთი თანამედროვე ისტორიკოსი დემნა უფლისწულის
ამბოხების მსგავსებას „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტში ხედავს. თა-
მარ ერისთავის აზრით კი, თამარის „შეფარვით ქება“ ნაწარმოებ-
ში სხვა ამბების შეფარვასაც გულისხმობს; კერძოდ იმას, რომ
ტარიელის თავგადასავალში დემნას, ანუ რუსთაველის, ფარუ-

ლი ბიოგრაფია წარმოჩნდება: დემნა ბატონიშვილი ტარიელივით ტახტის მემკვიდრედ იზრდებოდა, ეტრფოდა თამარს, მაგრამ ვერ ამჟღავნებდა. დროთა განმავლობაში მას ერთდროულად 2 მოცილე გამოუჩნდა: ტახტისა და სიყვარულის. დემნას ცოლად შერთეს ორბელის ქალი, ქვეშევრდომის და არა სამეფო გვარის ასული, რითაც ჩამოაშორეს სამეფო ტახტს, ხოლო თამარისათვის რეალურ პერსპექტივად იქცა უცხო ქვეყნის უფლისწულის ქმრად მოყვანა. „დემნას, როგორც ტარიელს, სიყვარული აძლევდა ბრძოლის სტიმულს, მაგრამ თამარის სიყვარულს იგი აშკარად ვერ განაცხადებდა და მხოლოდ მეფობისთვის უნდა გამოედო თავი“. ამიტომაც ოფიციალურად ის ტახტისათვის აჯანყდა. მალე კი მისთვის ცხადი გახდა ბრძოლის გარდაუვალი შედეგი: ბიძაშვილებს შორის გადაულახავ ზღუდედ იდგა ორთოდოქსალური ქრისტიანობის მორალი. იგი არჩევნის წინაშე დადგა: ტახტი თუ სიყვარული? „მეფობა მის გულში მხოლოდ თამარის სიყვარულთან... თანაარსებობდა“, ამიტომაც ხელი აიღო ბრძოლაზე და ბიძას დამორჩილდა. თუ რა ბედი ენია მას ამ ამბოხების შემდეგ, თამარ ერისთავის აზრით, „ვეფხისტყაოსანში“ უნდა ვეძიოთ, კერძოდ, უცხო მოყმის ეპიზოდში, რაც დემნა უფლისწულის გადარჩენისა და მისი საქართველოდან გადაკარგვის ფაქტს გვაუწყებს. „დემნას სიყვარული მეფობაზე აღმატებული აღმოჩნდა“. რადგან სატრფოსთან მიახლების მინიერი გზა დაკარგა, მან ცხოვრების მიზნად სიყვარულის არსის ძიება დაისახა. ქაჯეთის ციხეში დატყვევებული ნესტანი სიმბოლურად განასახიერებს ამ იდეას. მისი დახსნა კი სიყვარულის „პოეზიის მარადისობაში გარდასახვავა“.

მკითხველის თვალთახედვამ გადანყვიტოს, ლამაზი ლეგენდის, მემატრიანის „მშრალი“ თხრობისა და პოეტის „შეფარვით თქმული“ ამბების მიღმა იმალება თუ არა ადამიანურ განცდათა რთული

სამყარო და ეს ყოველივე ფანტაზიაა თუ სინამდვილე; ერთი რამ კი ცხადია – თამარი ყველას უყვარდა: ერსაც და ბერსაც; უყვარდათ როგორც მეფე, უყვარდათ როგორც სატრო. მემატიანის სიტყვით, მასზე გამიჯნურებული ხელმწიფენი ველარ თმობდნენ მის სურვილს. თუ რატომ უყვარდა ყველას თამარი, ამ კითხვის პასუხს მკითხველის შინაგან სამყაროს მივანდობთ. მან განსაჯოს – თამარის სიყვარული განპირობებული იყო მისი მეფური ძლევამოსილებით, ქალური ბუნებით, ქრისტიანული შემწყნარებლობითა თუ ამ ყოველივეს ჰარმონიული მთლიანობით.

ოთხი თვე – 1844 წლის ნოემბრის ბოლოდან 1845 წლის მარტის დასასრულამდე – ნიკოლოზ ბარათაშვილმა უცხოეთში, ნახჭევანის მაზრაში, გაატარა. ეს იყო სამშობლოდან პირველი მოშორება, გამოწვეული ოჯახის რჩენის მიზნით. ბარათაშვილი, ერთი შეხედვით მხიარული, ცოტა ცინიკურიც და დროსტარების მოყვარე, ოჯახისთვისაც ისეთივე თავდადებულია, როგორც სიყვარულისთვის. არაპოეტური სერიოზულობით ეძებს სახელმწიფო სამსახურს, თანახმაა თითქმის ყველაფერზე, რადგან სახლში უიმედობით ლოგინად ჩავარდნილი, დამბლადაცემული მამა ჰყავს, დარდით შეპყრობილი, არც თუ ისე მოხუცებული, სულ 50 წლის, და სილატაკეში მყოფი ოჯახის ნევრები, უკიდურეს გაჭირვებაში ჩავარდნილნი. ნახჭევანის მაზრის მმართველად ლევან მელიქიშვილი ინიშნება. ნაცნობ-მეგობრები ეხმარებიან, შუამდგომლობენ ბარათაშვილის ოჯახს და ნიკოლოზსაც მაზრის მმართველის მოადგილედ „უშვებენ“, „ვითომდა უშვებენ“, სინამდვილეში მიყრუებულ პროვინციაში ტყუილად ამსახურეს ოთხი თვე, აუტანელ პირობებში, გაუსაძლის გარემოში, და როცა ლევან მელიქიშვილი ნახჭევანიდან წამოვიდა, გაირკვა, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილი ამ თანამდებობაზე არც კი დაუნიშნავთ. იგი უკან გამოიწვიეს თბილისში. ძალზე შეურაცხმყოფელია!..

ძნელი იქნებოდა სამშობლოდან, თბილისიდან, ნაცნობ-მეგობრებისაგან მოშორება. „სამი თვეა აქა ვარ და ძალღად არავინ მახსენა“, – ახლობლების უყურადღებობას განიცდის პოეტი და ჩივის მაიკო ორბელიანთან, – „ეჰ! მაგის დარდსაც გაუძლებ! აღარც მე მცალიან ვისთვისმე; ახლა მე ჩემი თავი ხელმწიფობას და საზოგადოებას შევსძლევენ, სულ ხომ ყმანვილობა არ იქნება, დრო არის რიგიანის სამსახურისა, თქვენც გეყოფათ ბუზების ხოცვა...“; სერიოზული მიზნები აქვს, მუშაობა სწავლია, მაგრამ მაინც ხინჯად აქვს გულში – „როგორც ერთ ქალს უბრძანებია, აქ მოგვწყინდნენ და გაეყარეთო!“ ერთ ქალს ვინლა ჩივის, ის აკვირვებს, რომ მანანა ორბელიანი მოკითხვასაც არ უთვლის. მიზეზი ნათელია – „ახლა ჩვენ ვილას მოვაგონდებით, ვილაც ორი ტლუ ბიჭი გდია ნახეჩევანში. ... ახლა ცა ახალია, ქვეყანა ახალია და მოდაში ოთხმოცის წლის კაცები არიან“ (ბარათაშვილი, თხზულებანი, 1968 წ, გვ. 194). ძნელი ამოსაცნობია, რას გულისხმობს ამ ბოლო ფრაზაში, მაგრამ გული კი სწყდება, რომ ყურადღებას აღარ აქცევენ.

1) ასეთი წვლებით გატარებული დღეები ნახჭევანში და დაუფასებელი შრომა... დაუფასებელი იმ „ხელმწიფობისა და საზოგადოებისგან“, რომელთათვისაც თავის „შედგენა“ ჰქონდა გადანყვეტილი... თითქოს არც არის გასაკვირი, რადგან ბედი არც მაშინ სწყალობდა, არც მანამდე და არც მას შემდეგ; სამაგიეროდ კი, სამაგიეროდ ყოველთვის, და მათ შორის – ნახჭევანშიც, მის მხარეზე ყოფილა მუზა; თუმცა, სამწუხაროდ, ბარათაშვილის ბოლოდროინდელი ლექსები, ნახჭევანსა და განჯაში დანერილი, არ შემონახულა; ისინი არც ერთ ხელნაწერ კრებულში (მაიკო ორბელიანის, ეკატერინე ჭავჭავაძის, თავად ბარათაშვილის, გრიგოლ ორბელიანის) არ არის შესული. თითქმის ყველა დაიკარგა, გარდა ორისა. ერთია „დამქროლა ქარმან სასტიკმან“ (ავტოგრაფი შენარჩუნდა, რადგან იგი ბარათაშვილს მაიკო ორბელიან-

ნისათვის გაუგზავნია წერილთან ერთად 1845 წლის 9 თებერვალს) და მეორე – უფრო ადრე დანერგილი, ისიც ნახჭევანში ამავე წლის 10 იანვარს – „მადლი შენს გამჩენს“ (ლექსის ავტოგრაფი არ შემონახულა; იგი ილია ჭავჭავაძემ გამოაქვეყნა „საქართველოს მოამბეში“ – 1863 წ. №2).

ორივე ლექსში ფიგურირებს სატრფო, ერთში კი – სატრფოს დაკარგვით გამოწვეული უბედობა; უბედობისა არ გვიკვირს, უბრალოდ გვინტერესებს, ამჯერადაც ჰყავს თუ არა ლირიკულ სატრფოს ადრესატი, რამდენად ძლიერია პოეტის გრძნობა მისადმი და განსხვავდება თუ არა მხატვრული თვალსაზრისით ეს ლექსები ადრეული სატრფიალო ნიმუშებისაგან. ლექსის – „მადლი შენს გამჩენს...“ – მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, სატრფო ლამაზი, წყნარი, შავთვალემა ქალია და ძნელად თუ მიესადაგება პოეტის მუდმივ მუზას, ცისფერთვალა ეკატერინე ჭავჭავაძეს, რომელიც ამ დროს დიდი ხნის გათხოვილია (1839 წ), დარღვეულია აგრეთვე მათი მეგობრობაც, რომელიც ეკატერინეს გათხოვების შემდგომ აღდგა და რამოდენიმე ხანს გრძელდებოდა (1840-1841 წწ). სატრფოს მშვენიერ, „ცისა ფერის“ თვალებს ლექსში შავი თვალემა ცვლის, ამადლებულ განწყობას კი, ბარათაშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, – მდაბიური და „როგორღაც ფიქრში მოსული“. ლექსი თავისი საზომით (16-მარცვლიანი დაბალი შაირით, „მე ვარ და ჩემი ნაბადის...“ ხმაზედ თქმული) და ხალხური ლექსისათვის დამახასიათებელი ინტონაციით საგრძნობლად განსხვავდება ეკატერინე ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი, დახვეწილი, ცოტა ფილოსოფიური, უფრო მეტიც – არქაისტული, მაღალი სტილის მეტყველებისაგან. პოეტის ადრესატი ან სხვა არის, ან – არაინ. თუ არსებობს ეს სხვა და იქაურია, ნახჭევანელი, მაშინ კიდევ უფრო მკვეთრი ხდება მინიშნება უცხოეთში, სატრფოს ქვეყანაში, დროებით მყოფი მგზავრისა:

„ყარიბი ვინმე მოესულვარ, სოფლისა მუშა სანყალი,

ამხანაგად მყავს ნაბადი, ძმობილად – ბასრი ხანჯალი“ (ბარათაშვილი, თხზულებანი, 1968 წ, გვ. 134).

ნახჭევანიდან მაიკო ორბელიანთან გამოგზავნილ წერილებში გამოკრთის ერთი იქაური ქალის სახე, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ გამოკრთის და უფრო მეტის თქმის საშუალებას არ გვაძლევს. პოეტი მის შესახებ წერს: „ახლა ნახეჩევანში ერთი ახალი ლექსია, თვრამეტის წლის ქალის ნათქვამი, რომელსაც სახელად გონჩა-ბეგუმ ჰქვია; ხანის ქალია, ძალიან ლამაზი და მარილიანია; ბევრში წარმოგიდგენთ ორლოვის ცოლს. საცოდავი დამწვარია თავის ქმრისაგან და ახლა იმასთან აღარ არის და ცდილობს რომ გაუშოს; სანყალი თორმეტის წლისა ყოფილა, რომ ძალად გაუთხოვებიათ. – ამათი ამბავი რომ იცოდეთ, ერთი კარგი რომანია, – ამ ლექსში თავის თავს სტირის; ერთს ადგილას ამბობს: ჩემო მშვენიერო ბახჩაო, მინდა მოვიდე, ვიმუსაიბო შენს შადრევანთან, შენს ყვავილებთან, მაგრამ მეშინიან, რომ ჩემი ქმარი იქ არ იყოსო. – ამ ლექსს დავანერინებ და თავის თარგმანით გამოგიგზავნით. მგონია სათარამ ეს ხმა უნდა იცოდეს, კარგი ხმა არის“ (ბარათაშვილი, თხზულებანი, 1968 წ, გვ. 194). სათარა ცნობილი ირანელი მომღერალი ყოფილა, აღმოსავლეთის ჰანგების დიდოსტატი. ნიკოს ძალიან უყვარდა მუსიკა და დიდ პატივს სცემდა სათარას ხელოვნებას; მისი დის – ბარბარე ვეზირიშვილის – თქმით, სადაც კი წავიდოდა, სათარა ყველგან თან დაჰყავდა თურმე.

წერილის მესამე გვერდის არშიაზე მიწერილია ლევან მელიქიშვილის ხელით: „ტათო დლე და ღამე იხვენება, თუ ღმერთი გნამს გააშვებინე ქმარიო, მე, როგორც დამჯდარი კაცი, არა ვშვრები“ (ბარათაშვილი, თხზულებანი, 1968 წ, გვ. 194). მაზრის უფროსის ეს მიწერილი გონჩა-ბეგუმს ეხება. ჩანს, ნიკოლოზ ბარათაშვილის დაინტერესება ამ ქალბატონით საკმაოდ სერიოზულია და, თუნდაც წარწერა სახუმარო

ყოფილიყო, პოეტის დამოკიდებულება სცილდება ხანის „ლამაზი და მარილიანი“ ასულის პოეზიით გამონეულ ხიბლს.

ამგვარადვე უნდა აღექვა ბარათაშვილის წერილი მაიკო ორბელიანსაც და თუმცა მისი პასუხი ტატოსადმი აღარ არის შემორჩენილი (ბარათაშვილის არქივი მისი სიკვდილის შემდეგ, სანამ პოეტის დედა და ილია ორბელიანი ჩავიდოდნენ განჯაში, განადგურდა; 1844-1845 წლების ნაწარმოებებიცა და წერილებიც – გრიგოლ ორბელიანის, ეკატერინესი, მაიკო ორბელიანის და სხვათა – გაიბნა და დაიკარგა); ბარათაშვილის შემდეგი წერილიდან, რომელიც კვლავ ნახჭევანიდან არის გამოგზავნილი, ვიგებთ, რომ მაიკო დაინტერესებულა ამ ამბით და გონჩა-ბეგუმი თავისი ძმობილის სატრფოდ თუ არა, გატაცებად მაინც მიუჩნევია. სწორედ ამის უარყოფას ცდილობს ბარათაშვილი, როდესაც წერს: „საყვარელო დაო, მაიკო! დიდად ვწუხვარ, რომ ვერ გამოიცან ჩვენი მოქმედება. მე კიდევ შევარიგე ცოლ-ქმარიო“ (ბარათაშვილი, თხზულებანი, 1968 წ, გვ. 195).

1844 წლის 10 იანვრიდან – ილია ჭავჭავაძის მიერ ლექსის, „მადლი შენს გამჩენს“, დაწერის თარიღად მიჩნეული დროიდან – ამავე წლის 9 თებერვლამდე – მაიკო ორბელიანის წერილზე მითითებულ თარიღამდე – ერთი თვეც არ არის გასული და მკვეთრად იცვლება პოეტის განწყობა; კვლავ სახეზეა უიმედობა, სატრფოს დაკარგვით გამონეული; აღარ ჩანს სილაღე, რომელსაც ლამაზი ქალის ხილვა იწვევს. მართალია, განცდა იმ ტრაგიზმს ვერ აღწევს, რომ პოეტი „უენო მსხვერპლად“ („მიყვარს თვალები მიბნედილები“, 1942 წ.) მივიჩნიოთ, მაგრამ ვფიქრობთ, ხელახალი იმედგაცრუების კვალი ლექსში ნამდვილად შეიგრძნობა.

ძნელი სათქმელია, ჰქონდა თუ არა ბარათაშვილს გრძნობა გონჩა-ბეგუმისადმი და მიუძღვნა თუ არა მას „მადლი შენს გამჩენს, ლამაზო“, მაგრამ ერთი კი ცხადია, ნახჭევანში დაწერილ მეორე ლექსში – „და-

მქროლა ქარმან სასტიკმან", რომელიც იმავე საზომით არის შესრულებული, რომლითაც ერთი თვით ადრე დაწერილი „მაღლი შენს გამჩენს“, კვლავ ჩნდება დიდი სიმძიმელი და უიმედობის განცდა. სასტიკი ქარი პოეტს სიცოცხლის დამატებობელ ყვაილს წაართმევს, ციური ცვარით დანამულს, მის ადგილს კი „უყამო დრო“ ცრემლით შეცვლის:

**„დამქროლა ქარმან სასტიკმან, თან წარმოტანა ყვაილი,
მაცხოვნებელი სიცოცხლის, სუნნელებითა აღესილი!
იგი ნიადაგ ციურთა ცვართაგან იყო ნამილი;
დრომ უყამურმან ან ცრემლით შესვარა მისი სახელი!“**

(ბარათაშვილი, თხზულებანი, 1968 წ, გვ. 135)

ლექსი თავისი განწყობითა და მსოფლხედვით გვახსენებს ბარათაშვილისავე ნაწარმოებს – „უპოვე ტაძარი“, დაწერილს 1841 წელს, როცა პოეტს საბოლოოდ გადაეწურა ეკატერინე ქავჭავაძისაგან საპასუხო სიყვარულის იმედი. ბარათაშვილი არც აქ ღალატობს თავის მიერ წინა წლებში უკვე ჩამოყალიბებულ, შეიძლება ითქვას, დაკანონებულ ხედვას სიყვარულის ღვთაებრიობის შესახებ და ამ გრძნობას ამჯერადაც „ციური ცვარით“ დანამულს წარმოგვიდგენს, ისეთივე ენობრივი ფაქტურით, როგორითაც სხვა ლექსებია დაწერილი, ლირიკოსის მნიგნობრული ენით. ბარათაშვილის სტილში პოეტის მხოლოდ ზოგიერთი ლექსი არ „ჯდება“ – ერთ-ერთი მათგანია „მაღლი შენს გამჩენს“ – რასაც ფოლკლორის გავლენით ხსნიან (არ გამოვრიცხავთ ცხოვრებისეულ სიახლესაც, რაც გავლენას ახდენს ლექსის განწყობაზეც და საზომზეც; ხოლო, როცა სიახლე ქრება, პოეტიც თავისივე ჩვეულ სტილში ექცევა). ამას ვერ ვიტყვით მეორე ლექსზე – „დამქროლა ქარმან სასტიკმან...“ – რომელიც ისეთივე საზომითაა დაწერილი, როგორითაც – „მაღლი შენს გამჩენს“, მაგრამ პოეტის სხვა

ლექსთა სტილისგან ვერაფრით განასხვავებ. ბარათაშვილის შემოქმედებას პოეტური მეტყველების მხრივ აჩნევია ქართული ჰიმნოგრაფიის, ზოგადად – ძველი ქართული ლიტერატურის, დიდი გავლენა. ეს გავლენა ძალზე თვალსაჩინოა ბოლო ლექსშიც.

„დრომ უჟამურმან ან ცრემლით შესვარა მისი სახელი!“ (ბარათაშვილი, თხზულებანი, 1968 წ. გვ. 135) – ამ სტროფმა შეუძლებელია არ გავახსენოს ცნობილი ნაწყვეტი, ღვთისადმი მიმართვა, „ვეფხისტყაოსნიდან“:

„... ჰე მზეო, ვინ ხატად გოქვეს მზიანისა ღამისად,
ერთარსებისა ერთისა, მის უჟამოსა ჟამისად“

(რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“, 1966 წ. გვ. 826).

„ვეფხისტყაოსნის“ „უჟამო ჟამში“ ანუ „უდროო დროში“ თუკი ღმერთი იგულისხმება და ეს ცხადზე ცხადია ღვთის სახელთა განმარტების კატაფატიკურ-აპოფატიკური მეთოდის საფუძველზე, ბარათაშვილის სიტყვებშიც – „დრომ უჟამურმან“ – უფალი ხომ არ უნდა დავინახოთ?! რომელი უფრო სწორია – ავი დრო (როგორც ჩვენ ტრადიციულად გვესმის) ცვლის სიყვარულის ადგილს ცრემლით, თუ – ღმერთი?

ბარათაშვილის „ჩემი ლოცვის“ მიხედვით რომ ვიმსჯელოთ, პოეტი სწორედ უფალს ევედრება „ვნების ქართაგან დაცვას“ და „მყუდროების სადგურს“. ე.ი. ღმერთი განსაზღვრავს ადამიანის ბედს და არა – დრო. ღმერთი კი „უჟამო ჟამია“ ანუ „უჟამური დრო“. ისე რომ, შესაძლებელია ბარათაშვილის სიტყვებში – „დრომ უჟამურმან“ – ქართული, ტრადიციული, ქრისტიანული მსოფლხედვისათვის დამახასიათებელი, ღვთის სახელთა გადმოცემის საუკუნოვანი გზა დავინახოთ. ფსევდო-დიონისე არეოპაგელის მოძღვრება არც რომანტიკოსებისათვის ყოფილა უცხო, რადგან იგი მუდმივად აისახებოდა ტრადიციულ მხატვრულ აზროვნებაში; მაგრამ არ უნდა დავავინწყდეს ერთი რამაც

- ღვთისა და სოფლის დუალიზმის არსებობა, რაც ასე თვალსაჩინოა ორივე პოეტთან. რუსთაველთან სანუთრო უპირისპირდება უჟამოს, სოფელი - ღმერთს; ღმერთი მფარველობს სოფლისგან განანირს:

„ვა, სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა!...“

მაგრა ღმერთი არ გასწირავს კაცსა, შენგან განანირსა“ (რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“, 1966 წ, 940).

უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ სანუთრო და სოფელი ისევე, როგორც ცა, ჟამი და ბედი, რუსთაველთან დასაძლევია, განგება კი - ვერა. განგება ღვთის ნებაა: „განგებასა ვერვინ შესცვლის, არ-საქმნელი არ იქნების“ (იქვე, 188), „უგანგებოდ ვერას მიზმენ“ (იქვე, 1027), „განგებაა არ დავრჩები, ლახვარია ჩემთვის მზანი“ (იქვე, 1027), „არვის ძალ-უც ხორციელსა განგებისა გარდავლენა“ (იქვე, 786).

ბარათაშვილთანაც ჩნდება სანუთრო და ბედისწერა (შავი ყორანი ხომ ავი ბედის პერსონიფიკაციაა); პოეტი კი არასოდეს უშინდება მათ:

„მნუხრი გულისა - სევდა გულისა - ნუგეშსა ამას შენგან მიიღებს,
რომ გათენდება დილა მზიანი და ყოველს ბინდსა ის განანათლებს“

(ბარათაშვილი, თხზულებანი, 1968 წ, გვ. 89).

ჩვენს წინაშე კიდევ ერთხელ ისმება კითხვა: რას უნდა ნიშნავდეს „დრომ უჟამურმან“ - ავ ბედს, რომლის პერსონიფიკაცია შავი ყორანია, თუ განგებას, ღვთის ნებას?

ჩვენი აზრით, ავი ბედის სახე ლექსში სასტიკი ქარია, „უჟამურ დროს“ კი განგების მნიშვნელობა ენიჭება; თანაც არ დაგვაინწყდეს, რომ ბედის დაძლევა „ვეფხისტყაოსანში“ რეალურად წარმოჩნდება, ბარათაშვილთან კი მხოლოდ ბედთან ბრძოლა და მისი გადალახვის იმედი ჩანს; განგება და „მხვედრი“ კი თუმცა განსხვავდება ერთმა-

ნეთისაგან, მაგრამ მათ შორის მკვეთრი ზღვარი არ იკვეთება. სწორედ ეს გარემოება გვაძლევს საშუალებას, რომ პოეტის სიტყვებში – „დრომ უყამურმან“ – ღმერთი და განგება დაინახოთ. რეალურადაც უბედობა ბარათაშვილს განგებად გადაექცა.


იგივე შეიძლება ვთქვათ გონჩა-ბეგუმზეც. სამწუხაროა, უბედობაა, რომ მისი ლექსის არათუ მხოლოდ ბარათაშვილისეული თარგმანი, მაიკო ორბელიანისადმი დაპირებული, აღარ არსებობს (შესაძლებელია, რომ მისი თარგმნა ვერც მოასწრო ბარათაშვილმა, იმდენად მოკლე დროში დატოვა ნახჭევანი), არამედ პოეტი ქალის სახელიც კი გამქრალია და მას არავინ იცნობს თვით ნახჭევანშიც; არავინ იცნობს ქალს, რომლის შემოქმედებით ქართველთა „პირველი“ პოეტი დაინტერესდა და თარგმანი ინება. ჩვენამდე კი მხოლოდ ყვავილის „დანაჭკნობმა“ ფურცლებმა მოაღწია, რომლებმაც მაინც დაგვატკბო, რადგან ეს ყველაფერი ბარათაშვილის „მოძულეზულ“ სიცოცხლეს ეხება:

„ანცა თუ სადმე ვიხილავ მისს ფურცელს, მისსა დანაჭკნობს,
მოძულეზული სიცოცხლე მყისვე კვალადცა დამატკობს.
მაგრამ მსწრაფლადვე გახშირდნენ მწარენი ჭირნი გულისა,
რა ფიქრთა წარმოოდგებათ დაკარგვა სიხარულისა“

(ბარათაშვილი, თხზულებანი, 1968 წ, გვ. 135).

მაიკო ორბელიანისადმი მიწერილ წერილში „შემთხვევით“ (თუ საგულდაგულოდ) გაჟღერებულმა რამდენიმე წინადადებამ და პოეტის ორმა უკანასკნელმა ლექსმა საშუალება მოგვცა გონჩა-ბეგუმზე, 18 წლის ნიჭიერ პოეტ ქალზე გვესაუბრა, ხანის „ლამაზ და მარილიან“ ასულზე; მისი სახელი „ავმა დრომ“ გააქრო, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ მოსპო; „განგებამ“ ის ქართველი პოეტის, დიდი პოეტის, გრძნობებსა და ფიქრებში შემოგვინახა.

დამარცხებული ილია



საქართველოს
საგარეო ურთიერთობების
სამსახური

ღია დაბალი ტანისა იყო, ჩასხმული, კარგად ჩასქე-
 ლებული, კისერ ჩარგული, ერთი სიტყვით, „ბურთი-
 ვით მრგვალი“, როგორც მოსწრებულად დაახასიათა
 გრ.ორბელიანმა, მაგრამ ამ ტანზე, რომელსაც ვერ დავნამებთ
 სილამაზის ნიმუშობას, იჯდა თავი, ილიას თავი, რომელიც სა-
 ბერძნეთში ღირსი და დამამშვენებელი იქნებოდა ფიდიუსის ქან-
 დაკებისა. წარმოიდგინეთ მაღალი, გაშლილი, გადატყეცილი შუ-
 ბლი, სწორი, თითქოს საგანგებოდ ჩამოსხმული, გამოქანდაკებუ-
 ლი ცხვირი, მრგვალი მოძრავი ნესტოებით, მოკუმული ტუჩებით,
 მოკუმული ისე მაგრად, რომ კბილებს არასოდეს გაჩვენებდათ.
 შემომრგვალებული, ცოტად წინ წამოწეული ნიკაპი და თვალები,
 ჭკვიანი, მეტყველი, ილიას თვალები, ხან ლმობიერნი, სათნონი,
 როდესაც მეგობრულად გამოიყურებოდნენ; ხან არა ამქვეყნიუ-
 რი, ზეციურნი, როდესაც შემოქმედების სივრცეში დაცურავდნენ,
 ხან მრისხანენი, ცეცხლის მფრქვეველნი, როდესაც მტერს შეე-
 ბრძოდა, – წარმოდგინეთ ყველა ეს და თქვენს თვალწინ გეყო-
 ლებათ ცოცხალი ილია“ (იაკობ მანსვეტაშვილი. „მოგონებები“,
 თბ., 1985).

ხასიათი? როგორი ხასიათი ჰქონდა ილიას? ახლობლების მოგონებით, საქმისადმი გადაყოლა იცოდა, თავდავინყებამდე მუშაობა, მუდამ მტკიცე და მიზანდასახული იყო, ერთთავად საზოგადოებრივ საკითხებში ჩაფლული, მაგრამ ყოველთვის გულჩათხრობილი. „ვისაც ილიას ნახვა უნდოდა ან მასთან სახლში უნდა მისულიყო, ან ბანკში“. ქუჩაში სასაქონლოდ გამოსულს ვერასოდეს ნახავდით; პირად განცდებს არავის უზიარებდა, რადგან, მისი აზრით, ამას ნაკლები საზოგადოებრივი ღირებულება ჰქონდა. მისი ცხოვრებაც და შემოქმედებაც ძირითადად საზოგადოებრივი შინაარსის საკითხებითაა დატვირთული.

თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ილია ლირიკაშიც კი ცდილობდა პიროვნული გრძნობის შენიღბვას, მუშაობის პროცესში სატრფიალო ლექსებიდან ვნებიანობის კვალს შლიდა, მხოლოდ ამალღებულ განცდას წარმოაჩენდა და როცა ამას ვერ ახერხებდა, საერთოდ იწუნებდა მათ დასაბეჭდად, მივხვდებით, რატომაც არის ძნელი მისი წარმოდგენა სიყვარულისაგან გახელებულ ჭაბუკად.

მიუხედავად ამისა, სულ სხვას გვეუბნება ილიას სტუდენტობისდროინდელი სატრფიალო ლექსები. ისინი პეტერბურგშია შექმნილი და ისეთი მცირე დროის ინტერვალებში, რომ ადვილი მისახვედრია – მათი ადრესატი ერთი და იგივე პიროვნება უნდა იყოს. ორი ლექსის სათაურში თავად ილია შეფარვით, მხოლოდ ინიციალებით, მიუთითებს მასზე: „ჩ...სას“, „ს...ჩ...სას“.

რა იყო ეს, სიყვარული თუ გატაცება? ახლა, რა თქმა უნდა, ძნელი სათქმელია, მაგრამ თავად ლექსებით თუ ვიმსჯელებთ, ჭაბუკობაში ჩვენს დიდ პოეტს დიდი ვნებათაღელვა განუცდია. ეს განსაკუთრებით ლექსთა პირველ ვარიანტებში შეიგრძნობა. მაგალითად, ლექსის „მაშინ დავსტკებები“ ადრეული ვარიანტი ასეთია:

„მაშინ დავსტკებები სრულ სამოთხითა,
როს სულ შენს ცისფერს შევეყურებდე თვალს,
ვცოცხლობდე მხოლოდ მის გამოთქმითა,
ჩემს გულზედ ვგრძნობდე მოხრილ შენს ნაზ თავს,
ვსნთქავდე შენს სუნთქვას მთელის გრძნობითა,
მაშინ, ოხ, მაშინ კი დავლოცავ ცას,
მაშინ აღვივებს გულს წმინდა ლოცვით“.

(ხელნ. ინსტ. ი.ფ. N2, პირველი ვარიანტი).

28 შემდეგში უკვე ილიამ „ვსნთქავდე“ ზმნა ამოიღო, შეეცადა ვნებიანობა სულიერებით შეეცვალა და სრულიად ახალი შინაარსის შემცვლელი სტრიქონები შექმნა. ლექსის პირველ ვარიანტში ჩანს ჭაბუკის დიდი ვნებათაღელვა. მუშაობის პროცესი კი ნათლად წარმოგვიდგენს, თუ როგორ თრგუნავს პოეტი თავის თავში ამ ვნებას და ცდილობს მხოლოდ ფაქიზი სულიერი გრძნობები წარმოაჩინოს. მოუხედავად ამისა, ლექსის საბოლოო ვარიანტმა მაინც შეინარჩუნა ბობოქარი გრძნობის კვალი.

კიდევ უფრო მეტი ვნებათაღელვაა ლექსებში „მითხარ, მიყვარხარ“ და „ტუჩთა მიკონვა“, რომლებიც ილიამ დასაბეჭდად დაინუნა; ალბათ იმიტომ, რომ ამ ლექსებს ეროტიკული იერი დაჰკრავს, რაც ილიას ბუნებისათვის ნაკლებად მისაღებია:

„ტუჩთა მიკონვა, ტუჩთ ჩაკოკრება,
თუმც ხან ჩვენს გულში გესლად იღვრება,
მაგრამ მაინც კი როს ვჭვრეტ ორ ტუჩთა,
დასადნობლად ჩაკოკრებულთა,
ღმერთო შემინდე, მოვყვები კანკალს
და მსუნაგსავით ნერწყვისა ყლაპვას“

(ხელნ. ინსტ., ი.ფ. N2)

შემდგომში პოეტს „ჩაკოკრება“ „მიკარებით“ შეუცვლია, მაგრამ ვნებისა და გრძნობის შენიღბვა მაინც ვერ მოუხერხებია. ასეთივე შესწორებები სხვა ლექსებმაც განიცადა. როგორც ვხედავთ, თავდაპირველად პოეტი თავის განცდებს უშუალო სახით წარმოგვიდგენს, ისე, როგორც სინამდვილეში გაჩნდა ისინი, უკვე შემდგომ კი გონების თვალთ აშორებებს მათ და ინყნარებს მხოლოდ იმას, რომელსაც ამაღლებული მიზანი აქვს. „თითქოს გრძნობებიც კი ილიას მძლავრ გონებასაა დაქვემდებარებული“ (ლ.მინაშვილი, „ილია ჭავჭავაძე“, გვ. 179). ეს ილიას ლირიკის მთავარი დამახასიათებელი ნიშანია.

აღბათ მკითხველისათვის მეტად საინტერესოა, თუ ვინ იყო ის ქალი, რომელსაც დიდმა ილიამ, ერის მამამ, თავისი ახალგაზრდული გული მიუძღვნა, მისთვის იტანჯა, „ღვთიური ტრფობა“ განიცადა, ნაადრევად დაკარგა ჭაბუკობა, სამუდამოდ „დაიდალა“.

პოეტის სიყრმის მეგობარი კობტა აფხაზი წერს, რომ ბევრს ილიას სატრფო სოლომონ ჭავჭავაძის ასული ეგონა. სინამდვილეში კი ასე არ ყოფილა. შეძლებული თავადი სოლომონი მოლაპარაკებია ილიას მამას, რომ პეტერბურგში საცხოვრებელ ფულს – თვეში ოთხ თუმანს – გაუგზავნიდა ილიას კურსის დასრულებამდე, სამაგიეროდ, როცა დაბრუნდებოდა, ცოლად მისი ასული უნდა შეერთო. ეს მოლაპარაკება ილიას გარეშე მომხდარა, მაგრამ ილია ამ პირობაზე დათანხმებულა, რაც მეტად მძიმე ტვირთად აწვა სტუდენტობის დროს. საქართველოში დაბრუნებულ ილიას ვალი გაუსტუმრებია და გათავისუფლებულა მისთვის ამ მეტად მძიმე პირობისაგან. ის ქალი, სოლომონ ჭავჭავაძის ასული, რომელიც ილიას უნდა შეერთო, რეჟისორ კოტე მარჯანიშვილის დედა გახდა (ლიტ. მემკვიდრეობა, I, 1935, გვ. 565-66).

ილიას სატრფო კი გენერალ ჩაიკოვსკის ცისფერთვალა ასული ყოფილა, მომავალი დიდი კომპოზიტორის და. კობტა აფხაზი იგონებს, როგორ რიგრიგობით დაიარებოდნენ მათ ოჯახში ღარიბი ქართველი სტუდენტები, რადგანაც ერთი ფრაკი ჰქონდათ. ჩაიკოვსკების ოჯახში მათ კარგად იღებდნენ და ექცეოდნენ (ლიტ. მემკვიდრეობა, I, 1935, გვ. 565-66). შემორჩენილია ილიას წერილიც დისადმი, სადაც პოეტი ქალის ვერცხლის ქამარ-ხანჯლის გამოგზავნას სთხოვს დას. მისი ხვენწა-მუდარა უთუოდ მიუთითებს იმ დიდ გრძნობაზე, რაც ილიას იმ ქალის მიმართ უნდა ჰქონოდა, ვისთვისაც ქამარ-ხანჯლის ჩუქება სურდა. აი ნაწყვეტი ამ წერილიდან: „ერთი რამა მაქვს შენთვის სათხოვარი და თუ გიყვარდე, თუ ჩემი მცირე სიყვარული გაქვს, ამისრულე. ერთმა ქალმა ქალური ვერცხლის ქამარი მთხოვა ხანჯლითა და დაეპირდი. შენი ჭირიმე, ნინუცი, ნუ გამამტყუნებ ამ ქალთან, მერე უნდა იცოდე რა ქალია! იმათ ოჯახში როგორც შვილი ისე ვარ მიღებული, ისეთი დედ-მამა ჰყავს, რომ თავი შემაყვარეს. თუ შეიძლება, შენი სულის ჭირიმე, ნინო, სააღდგომოთ გამომიგზავნე: ვიცი, გიყვარვარ, თუმცა ცოტა ხელის მოჭერა გიყვარს, მაგრამ ჩემი სიყვარული გაგაბედინებს“ (ტ. X, გვ. 9).

ეს „ერთი ქალი“, რომლის ვინაობაც ილიას არ გაუმყლავნებია, და მხოლოდ პოეტის სიკვდილის შემდეგ გაგვიმხილა კობტა აფხაზმა (ოღონდ სახელის მითითების გარეშე), პავლე ინგოროყვას კომენტარის თანახმად არის სოფია ჩაიკოვსკაია. სამეცნიერო ლიტერატურაშიც დამკვიდრდა აზრი, რომ ილიას სტუდენტობისდროინდელი სატრფო იყო გენერალ ჩაიკოვსკის ასული, კომპოზიტორ პეტრე ჩაიკოვსკის და სოფიო. ამ ცნობის საფუძვლიანი შემოწმება კარგა ხანს არავის უცდია. საქმე ისაა, რომ გენერალ ილია ჩაიკოვსკის ასული სოფიო საერთოდ არ ჰყოლია. მის ქა-

ლიშვილებს ზინაიდა და ალექსანდრა ერქვათ. ზინაიდა ილიაზე უფროსი ყოფილა და თანაც მისი სტუდენტობის დროს უკვე გათხოვილი, ალექსანდრა კი ამ პერიოდში 17-18 წლის ქალიშვილი იქნებოდა. მას „ყმანვილქალობაში საშას, საშენკას, სანიას, სანიუშკას ეძახდნენ, რაც ემთხვევა კიდევ ილიას ლექსის სათაურში მოცემულ ინიციალებს: ს[აშა] ჩ[აიკოვსკი]სას“ (გურამ შარაძე, „ილია ჭავჭავაძე“, თბ., 1987, გვ. 129).

მოდესტ ჩაიკოვსკის, კომპოზიტორის ძმის, ცნობით, მათი სახლი ახალგაზრდობის თავშეყრის საყვარელი ადგილი ყოფილა; აქ ხშირად ნახავდით პეტერბურგელ სტუდენტობას. მათ შორის კი სამართლისმცოდნეები სჭარბობდნენ. ეს არც არის გასაკვირი. პეტრე ჩაიკოვსკი ხომ, სანამ მუსიკალურ მოღვაწეობას შეუდგებოდა, 1850-1859 წლებში პეტერბურგის სამართალმცოდნეობის სასწავლებელში სწავლობდა, ხოლო 1860 წლიდან იუსტიციის სამინისტროში მუშაობდა. ამიტომაც ადვილი დასაშვებია, რომ პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი ილია ჭავჭავაძე გასცნობოდა ჯერ კიდევ იურისტ პეტრე ჩაიკოვსკის და მის ოჯახში მიღებული სტუმარი გამხდარიყო. კომპოზიტორის ახლო ნაცნობის, ი.ზ.ანდრონიკაშვილის, ცნობითაც, „ილია ჭავჭავაძე პირადად იცნობდა ჩაიკოვსკის“ (იხ. შ.ასლანიშვილი, პეტრე ჩაიკოვსკი საქართველოში, თბ., 1940, გვ. 10). მათ ოჯახში გამართული დარბაზობების დროს უნდა გასცნობოდა ილია ალექსანდრას, რომელსაც ჭაბუკი პოეტი არა მხოლოდ სილამაზით, არამედ პიროვნული სიძლიერითაც უნდა მოეხიბლა. მოდესტ ჩაიკოვსკის ცნობით, დედის გარდაცვალების შემდეგ მამას 15 წლის ალექსანდრა სმოლნის ინსტიტუტიდან გამოუყვანია და ოჯახის გაძლოლა დაუვალეზია. „ამ გოგონაში საჭირო წუთში გაიღვიძა მეტად ენერგიულმა და ძლიერმა ქალ-

მა, რომელმაც შესანიშნავად გაუძლო მის მხრებზე დანოლილი ტვირთის სიმძიმეს", - წერს ძმა დის შესახებ. ეს სიძლიერე არც პიროვნების ჭეშმარიტ დამფასებელ ილიას დარჩებოდა შეუმჩნეველი.

32

დასაწყისში არც ალექსანდრა უნდა ყოფილიყო ილიას მიმართ გულგრილი. ლექსში „გახსოვს, ტურფავ“ (5 ნოემბერი, 1960 წ., პეტერბურლი) დიდი სინაზით არის გახსენებული ის დრო, როდესაც ბაღში სატრფომ პოეტს სახსოვრად ვარდი გადაუგდო, როდესაც მის მხარზე აყრდნობდა თავს და მოფერებით „გიჟს“ უძახდა. მაშინ ისინი სიყვარულის მეტს არაფერს გრძნობდნენ და სულგანაბულნი ერთმანეთის სუნთქვას ყურს უგდებდნენ. ველარ გაუძლო პოეტმა ვნებას და სატრფოს კოცნაც კი მოჰპარა. მაშინ არც კი იცოდა, „რომ ეს კოცნა ბოლოს გესლად“ შეეცვლებოდა.

1860 წლის ნოემბერში ალექსანდრა ჩაიკოვსკაია ცოლად გაჰყვა ცნობილი დეკაბრისტის, ვასილ დავიდოვის ვაჟს, ლევ დავიდოვს, რომელმაც მეუღლე პეტერბურგიდან საცხოვრებლად უკრაინაში, კიევის გუბერნიაში, გადაიყვანა.

ალექსანდრასადმი მიძღვნილი ილიას ლექსები 1960 წლის ივლის-აგვისტოშია დაწერილი. როგორც ჩანს, ამ დროისათვის პოეტს აღფრთოვანება უიმედო სიყვარულად ქცევია, რასაც იგი სასონარკვეთამდე მიუყვანია. ამავე პერიოდში დაწერილ ლექსში „ჩემო მკვლელო“, რომელსაც ეპიგრაფად ლერმონტოვის სიტყვები უძღვის, „Да вряд ли есть родство души“, პოეტი მეტად გულგატიხილი მიმართავს სატრფოს. ალბათ საშა ჩაიკოვსკაიამ გაუმხილა ილიას თავისი გადანყვეტილება ლევ დავიდოვზე გათხოვების შესახებ, რისი შედეგიც უნდა იყოს მეტად ღრმა სულიერი განცდებით დაწერილი ლექსი „ჩ...სას“:

„უცხო თემის ყარიბ მთქმელსა
რად აღმიგზენ სიყვარული?
ლამის, ტურფავ, შენს ტრფობაში
მე შთავნურო სრულად გული!
ერთხელ მითხრა: „ცხოველ ქვეყნის –
ივერიის შობილი ხარ;
მაღალ მთების ქარიშხალით,
ელვით, ჭექით გაზრდილი ხარ.
„მე ჩრდილეთის ველზედ ვყვავი,
ზამთრის სუსხით დაჩაგრული;
შენს მხურვალს გულს ვითა გასცემს
პასუხს ჩემი ცივი გული?“
ტურფამ ეგრე განიროდა
ჩემი ნმინდა სიყვარული!
სჩანს ოდითვე დანიშნულა
სამარტოოდ ჩემი გული!“

(22 ივლისსა, 1860, პავლოვსკი)


საქართველოში დაბრუნებულ ილიას სატრფიალო ლექსები კარგა ხანს აღარ შეუქმნია. ჩანს, გულგატეხილობა იმდენად დიდი ყოფილა, რომ არც საქართველოში მრავალჯერ სტუმრად ჩამოსულ კომპოზიტორ პეტრე ჩაიკოვსკის შეხვედრია.

ლიტერატურულ-პოლიტიკური გაზეთი „ივერია“, რომელიც საქართველოს მონინავე პრესას წარმოადგენდა და რომლის სათავეშიც ილია ჭავჭავაძე იდგა, მხოლოდ და მხოლოდ გამოეხმაურა თბილისში ჩაიკოვსკის ყოფნას:

„ამჟამად თბილისში სტუმრად იმყოფება რუსი კომპოზიტორი პ.ი.ჩაიკოვსკი, რომელიც, როგორც ჩვენ გადმოგვცეს, ოქტომბრის დამლევამდე დარჩება“ (ივერია, N195, 1890 წ., 13 IX).

„როგორც ჩვენ გადმოგვცეს“ – ეს ფრაზა გარკვეულ დისტანციაზე მიგვითითებს. ჩანს, არც „ივერიის“ წარმომადგენლები და, მით უმეტეს, არც ილია ჩაიკოვსკის არ შეხვედრიან. უცნობია აგრეთვე, თუ რა ურთიერთობა ჰქონდა ილიას პეტრესა და ალექსანდრას ძმასთან, ანატოლისთან, რომელიც თბილისში ცხოვრობდა და სასამართლოს პალატის პროკურორად, ხოლო შემდეგ ვიცეგუბერნატორად მუშაობდა. ყოველ შემთხვევაში, პეტერბურგში დაწყებული მეგობრული და ახლო ურთიერთობა ჩაიკოვსკების ოჯახთან საქართველოში დაბრუნების შემდეგ ილიას აღარ გაუგრძელებია.

ქართულმა პოეზიამ კი სტუდენტი ილიას ლექსების წყალობით უკვდავყო ამ ოჯახის ასულის სახელი, რომელიც უფრო მოგვიანებით რუსული მუსიკალური კულტურის ისტორიაშიც შევიდა. სახელგანთქმულმა კომპოზიტორმა პეტრე ჩაიკოვსკიმ თავის დას – ალექსანდრა დავიდოვას – მიუძღვნა ვალსი-სკერცო ფორტე-პიანოსათვის (ლა მაჟორი. თხზ. 7).


 ლესაც თვალწინ მიდგას ახოვანი, ტანოვანი, გულ-
 მკერდიანი, ხუჭუჭთმიანი აკაკი, დიდრონი, ცე-
 ცხლისმფრქვეველი თვალებით და განუშორებელი
 ღიმილით ტუჩებზე. აი ნამდვილი, უტყუარი სურათი აკაკისა...
 პირველ შეხედვაზე, სწორედ მოგახსენოთ, დედაკაცი მეგონა თა-
 ვგამწვლიკული, ძუძუებ გადმოყრილი, რაღაც ძველი ბერძნული
 ქანდაკება, ვიდრე აკაკი. აკაკი სრული ხატება იყო ნამდვილი ვაჟ-
 კაცური სილამაზისა, მშვენიერებისა. მისი ხორციელი სილამაზე
 და სულიერი სავსებით იყო შეფერებული, შეხამებული" (იაკობ
 მანსვეტაშვილი, მოგონებები, თბ., 1985 გვ. 146).

ამ მეტად მომხიბვლელი გარეგნობის კაცს ახალგაზრდობა-
 შივე გადანყვეტილი ჰქონდა, ცოლი არ შეერთო და მერე ისიც
 უცხოელი, მაგრამ, როგორც თვითონ ამბობს, „შემთხვევას ყო-
 ველიფერი შესძლებია“. აკაკიმ არა მარტო სხვათათვის, არამედ
 თავისთვისაც მოულოდნელი ნაბიჯი გადადგა. დაქორწინდა და
 თანაც უცხოელზე. მოსკოვში ყოფნისას შემთხვევით შეხვდა ნა-
 ტალია ბაზილევსკაიას, შეყვარებული ქალისადმი გულისხმიერე-
 ბა გამოიჩინა, დაიხსნა ის უსიამოვნო ქორწინებისგან და თავად

შეერთო. გარეშეთა ფიქრით, აკაკიმ ერთობ პრაქტიკული ნაბიჯი გადადგა, მაგრამ სინამდვილეში თავისი არაპრაქტიკულობით მთელი ცხოვრება გაიმწარა. პარიზში და პეტერბურგში ცხოვრებამ ნატალია ბაზილევსკაიას სიმდიდრეს ბოლო მოუღო, ხოლო უსიყვარულო ქორწინება ცოლ-ქმარს შორის მუდმივი უსიამოვნების საფუძველი გახდა. აი, რას იხსენებს პეტერბურგში გატარებული წლებიდან აკაკის შესახებ იაკობ მანსვეტაშვილი: „აკაკი ხშირად შემოივლიდა ხოლმე ჩვენთან სალამოობით, სალაცხოდ, მხოლოდ ათ საათზე გვიან არ დარჩებოდა. ერთხელ, იქნებოდა ეგრე ღამის თერთმეტი საათი, აკაკი მოვიდა ჩვენთან დიდად აღელვებული და გვითხრა: ღამე თქვენთან უნდა გამატარებინოთო.

– რა ამბავია, აკაკი, რა მოგსვლია? – დავეკითხეთ.

– ღმერთმა რომ ამოაგდოს ჩემი ცოლი: ისეთი ჩხუბი ამიტეხა, ისეთი ამბავი დამინია, გვიან რად მოდიხარ შინაო, რომ ველარ გავუძელ და გამოვიქეციო.

აკაკი და ასეთ ყოფაში? მენყინა, მაგრამ თანაც მომაგონდა მოლიერის სიტყვები: „ეგ გინდოდა, ჟორჟ დანდენ! რაც ქართულად რომ ვთქვათ, ასე გამოვა: ახია შენზე! რაც მოგივა დავითო, ყველა შენი თავითო! აკაკი სიმდიდრეს ეძებდა და არა ცხოვრების თანამეუღლეს. სიმდიდრე მოიპოვა, მაგრამ ამ სიმდიდრეს მოჰყვა ისეთი ვარამი, ცოლი, რომელმაც აკაკის სიცოცხლე გაუმწარა“ (ი.მანსვეტაშვილი. მოგონებები. გვ. 149). მაგრამ ყველაზე უფრო დიდი ვარამი, ყველაზე უფრო დიდი ტრაგედია პოეტისათვის გახდა ის, რომ სწორედ ქორწინების შემდეგ, უკვე ასაკში მყოფი, შეხვდა თავის იდეალს, ქალს, რომელსაც მთელი თავისი დარჩენილი ცხოვრება მიუძღვნა, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ დაუკავშირა. თავის ავტობიოგრაფიულ მოთხრობაში – „ის“ – აკაკი დანვრილებით აღწერს ამ ქალთან პირველ შეხვედრას: „ერთხელ მეზობლისას მიმავალმა მგოსანმა თვალი

მოჰკრა ლობის ძირას მიმჯდარ ორ ახალგაზრდა ქალს. ერთი მათგანი, უფროსი, თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლისა იქნებოდა, მაგრამ სრულიად დამწიფებული, საოცნებო რამ იყო: თვალტანადს, თითქოს ვარდისთვის მოუპარავს ფეროვნებაო!.. იის სინაზით შემეკულა და ბულბულივით ჭიკჭიკებსო!.. შავი, ხუჭუჭი თმა ტევრად მხრებზე ეყრებოდა, გაღიალებული გულმკერდი შუქსა ჰფენდა, აყაყაჩოებული ტუჩები ნუშივით ოდნავ გაპობოდა, საიდანაც ცელქად გამოსჭვერდენ მარგალიტი-კბილები. მისი დიდრონი შავი თვალები სამოთხის სავანედ გამოიყურებოდნენ. გაიღიმებოდა – ცა გაიხსნაო!.. მოინყენდა – დედამინა შეიკრაო!.. ნამოდგა და ნავიდა სახლისკენ”.

აკაკი არც იმას მალავს, რომ თავისი იდეალის შესახებ მეგობარს – ახალგაზრდა ბეგლარ აჩაბეთელს – უამბო. ისიც დასძინა, რომ ქალს ვუყვარვარ, როგორც მოძღვარი, მისთვის კი სხვაგვარი სიყვარულია საჭიროო. კარგა ხნის შემდეგ ბეგლარმა ახარა მას, რომ გაიცნო ის ქალი, ვინც მგოსანს უყვარდა, იმ წუთას მიხვდა, ვინც იყო და ახლა კი ცოლად ირთავდა. თვალცრემლიანი მოხუცი მგოსანი ბეგლარს გადაეხვია და უთხრა: „ეგ თქვენი ქორწინების დღე იქნება უკეთეს დღეთაგანი მთელ ჩემ სიცოცხლეშიო“ (იხ. აკაკი წერეთელი, თხზ. სრული კრებული თორმეტ ტომად, ტ. VIII, გვ. 299-306).

ის მეგობარი ანუ ბეგლარ აჩაბეთელი, რომელმაც პოეტის იდეალი ცოლად შეირთო, ივანე მაჩაბელი გახლდათ, პოეტის სატრფო კი ტასო ბაგრატიონი. ტასოს პოეტისადმი მხოლოდ და მხოლოდ მეგობრობა აკავშირებდა. აკაკიც იძულებული შეიქმნა მეგობრის როლს დასჯერებოდა, თუმცა თავისი სიყვარული მას არ დაუმალავს. შორიდან ეტრფოდა ტასოს, უყვარდა მისი შვილები, მეგობრობდა მის ქმართან, ხარობდა მისი ბედნიერებით და სასტიკად განიცდიდა მის ყველანაირ მწუხარებას. აკაკიმ ტასოს მიუძღვნა მთელი რიგი

სატრფიალო ლექსები, თავის გრძნობებზე საუბრობს ის ტასოსად-
მი გაგზავნილ წერილებშიც. მას ხან „საყვარელ დას და ძვირფას
მეგობარს“ უწოდებს, ხანაც ნაწყენია მისი გულცივობით და „ბა-
ტონო კნინათი“ ან „ბატონო ტასოთი“ მიმართავს, ერთგან „თქვე-
ნო ბრწყინვალეებასაც“ იყენებს წყენიდან გამომდინარე დისტანციის
აღსანიშნავად (ამ წერილის სტილიც შეესაბამება მიმართვას, თქვე-
ნობით და მალაღფარდოვანი ენითაა დაწერილი), მაგრამ ყველა
შემთხვევაში მისი ერთგული რჩება და ტასოსთან მეგობრობას არ
წყვეტს. აკაკი დაწვრილებით სწერს მას თავისი საქმიანობისა და
გულის ვარამის შესახებ. წერილებიდან ჩანს, რომ დაწვრილებით
იცის ტასოს ამბებიც, გაჭირვების დროს თანაუგრძნობს მას და ამბ-
ნევებს, წყინს, რომ ტასო „ბატონობით“ მიმართავს და ასეთ წე-
რილს ურჩევნია, საერთოდ აღარ მისწეროს. თვითონ ყოველთვის
უდიდეს სიტბოს გამოხატავს როგორც მთლიანად წერილებში, ასე-
ვე – განსაკუთრებით გამოსამშვიდობებელ ფრაზებში: „ამოგიკოცნი
მტირალ თვალებს. მარად შენი მოთაყვანე აკაკი“, „მარად ერთგული
აკაკი“, „მრავალს გაკოცებ ჩემს საყვარელ ხელებზე. სიკვდილამ-
დე შენი ერთგული, მოყვარული და უბედური აკაკი“, „თუ პასუხი
მომწერო... შენს სახელს ნუ მოაწერ, „იდეალი“ მოაწერე და კმარა“,
ხოლო იმ წერილში, სადაც „თქვენო ბრწყინვალეებათი“ მიმართავს
ტასოს, ასეთივე ტონით ასრულებს: „დავრჩები მარად თქვენი ბრწყი-
ნვალეების მოსამსახურე აკაკი წერეთელი“. აკაკის მიერ ტასოსადმი
მინერილი წერილებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ერთი, რო-
მელსაც პოეტმა „სიკვდილის წინეთი აღსარება“ უწოდა. რადგან ეს
წერილი ფართო საზოგადოებისთვის უცნობია (მხოლოდ ერთხელ
არის გამოქვეყნებული ჟურნ. „მნათობში“, 1996, 9-10) მოგვყავს მთ-
ლიანად:

სიკვდილის წინეთი აღსარება

მთელი ჩემი სიცოცხლე ტანჯვა და ვაება იყო. არც ერთი დღე არ შემხვედრია მისთანა, რომ თავი ბედნიერად მეგრძნოს. მაგრამ მე მაინც სულ ვიციხნოდი, რადგან საოცნებო იდეალი მომავლის იმედით მასულდგმულედა. ვებრძოდი ბედის ვარსკვლავს ხანგრძლივ, სანამ ის, ოცნებით წარმოდგენილი, იდეალი არ განხორციელდა შენში! მაშინ კი უფრო გამიადვილდა ტანჯვის ატანა.

ოცი წლის განმავლობაში მე შენ მიყვარდი არა ქვეყნიერის მიმდევრობით! ასეთის აღტაცებით, ასეთი აღტაცებით და აღფრთოვანებით, როგორიც შესაძლოა მხოლოდ რჩეულთათვის. გეტრფოდი სრულის ჩემის არსებით! შენ იყავ ჩემი ზეჩამაგონებელი, ჩემი აღმგზნებელი პოეზიაცა და სიცოცხლეც. უშენოდ ქვეყანა ველარ წარმომედგინა!!! დიდხანს ვიმარხავდი საიდუმლოდ, როგორც წმინდა ლოცვას, იმ გრძნობებს ჩემს გულში, მაგრამ „არაი რაი არს საიდუმლო, რომელი არა გამოცხადდესო“. ბოლოს მაინც ძალაუწებურად იჩინა თავი და ან კი რად უნდა დაფარულიყო მისთანა წმინდათა წმინდა?

ქვეყნის უმეტესობა ანუ ბრბო, საქვეყნო გრძნობებს ვერ ასცილდება და ჩემს აღმამფრენ ტრფიალებას ის როგორღა შეიგნებდა? ვერ შეიგნო და ბევრი უსამართლობა გამოვცადე თვით შენ მახლობლთაგანაც კი... მაგრამ ავიტანე, რადგანაც ერთი შენი თანა-გრძნობით შემოხედვა, მეგობრული ღიმილი და ტკბილი სიტყვა მკურნავდა! მაგრამ ეს სოფელი განა დიდხანს ვისმეს ახარებს? მრისხანე ბედმა, ჩემს კვალში მდგომმა, გადამიყენა იდეალი და მხოლოდ მითი მძლია და მომეშხამა არა თუ ანმყო და მომავალი, წარსული მოგონებაც კი და „რა ვარ ან სოფლად დაშთენილი უსაგნოდ მარტო, სულით ურწმუნო და გულით უნდო?“ ამბობენ, რომ სიკვდილის წინეთ, სულისა და ხორცის გაყრის დროს, არათუ ჭკუათა მყოფი, გიყებიც კი გონში ჩახვდებიან ხოლმე, რომ ორივე სოფლის, სააქაოს და საიქიოს,

ვითარება გაითვალისწინონ. ეს წერილიც ჩემი სულისა და ხორცის გაყრაა და მიტომ მეც გამითვალისწინდა, რასაც დღემდე ვერა ვხედავდი, თურმე ჩემის „არამკითხე“ მისწრაფებით სასაცილო ვყოფილვარ და თანაგრძნობის ნაცვლად გულგრილობა გამომიწვევია თქვენის მხრივ! მაპატივეთ! ნათქვამია: „ვისაც ბევრად უყვარს, ბევრიც ეპატივებო“. მაპატივეთ დღეიდან მკვდარს და თვით მკვდართაც მიგულეთ, რომ ჩემმა სახსენებელმაც კი ჩრდილი არ მიაყენოს თქვენს ნათელმოსილ ნეტარებას.

მშვიდობით სამარადისოდ. აკაკი“

ამ წერილის დამწერი კაცი, ჩანს, მეტად გულმოკლულია სატროსგან, ვერ ხედავს ვერანაირ თანაგრძნობას და ხვდება თავის სასაცილო მდგომარეობას. ამიტომ აღარაფერი დარჩენია გარდა იმისა, რომ სიკვდილი ინატროს.

სხვა წერილებშიც აშკარად ჩანს მძაფრი სულიერი განცდები და ტრაგიზმის გრძნობა, რაც გამოწვეულია, როგორც ცალმხრივი სიყვარულით, ასევე მეგობრის დაღუპვაში მისი მონაწილეობის უმძიმესი ბრალდებით (ივანე მაჩაბლის გაუჩინარების ღამეს აკაკი და ივანე ერთად იმყოფებოდნენ მეგობრის ბინაში). ამ საშინელ პერიოდში ყველაზე დიდი სატანჯველი პოეტისათვის ტასოს მრისხანე სახე ყოფილა, რომელიც თითქოს ეუბნებოდა: „ნადი, მომშორდი! შენ! რომელსაც აგერ თხუთმეტი წელინადია გაგირბი, რომ მეტი წამი არ გაცქერიო ჩემთვის!“ (წერილი – „ღამის ოთხი საათი“, ჟურნ. „მნათობი“; 1996, 9-10).

აკაკი ცდილობდა, დაეფარა გულისტკივილი. ტასოსთან შინაურულ-მეგობრულ ურთიერთობას აგრძელებდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ამას ბოლომდე მაინც ვერ ახერხებდა და კნენა მაჩაბლისადმი მიწერილ წერილებში აღსარების მსგავს განდობასაც გამოურევდა ხოლმე. აი, მაგალითად:

„ყოველგვარი ღონისძიება ვიხმარე, რომ გამეგო, თუ რა და-
გეშავე, მაგრამ ამაოდ ჩამიარა. ცხადია, რომ რალაც დიდი დამ-
ნაშაობა მიმიძღვის, რომელიც მე ვერ გამომიკვლევია. თუ რამე
შემიცოდებია, მაპატივე! ეგ ზიზლი, რომელსაც თქვენ მიჩვენებთ,
არ დამიმსახურებია. დღემდი მე ღირსად მიმაჩნდა თავი თქვენ-
თან მეგობრობისა. დღეიდან კი მკვდარი ვარ, როგორც ხორციით,
ისე ზნეობითაც. მაგრამ მე ისე მიმყავს საქმე, რომ იჭვს ვერავინ
შეიტანს, თუ თქვენ ხართ მიზეზი ჩემი უბედურებისა. მე ჩემი
თავი არ მენანება. ვსწუხვარ მხოლოდ იმას, რომ ვერაფერში გა-
მოგადექი, ვერც შენ და ვერც შენ შვილებს:

იყავნ ნება უფლისა! მშვიდობით, მე მაინც სააქაოს იქით სი-
ყვარული თან მიმაქვს, ნუ დამცინებთ და ნურც სიგიჟეს მიკიჟი-
ნებთ. უამისოდ მე სიცოცხლე არ მინდა. აკაკი“.

აკაკიმ ტასო გააღმერთა. მის გარეშე სიცოცხლემ აზრი დაკარგა;

„შენც შეგარყიეს, უსამართლობამ
ულმართოდ გააქრო ტრფობის ლამპარი
და მაშინ ბნელში დავრჩი მე ობლად,
უსულ-უგულო და ცოცხალ-მკვდარი.
მაგრამ მიყვარხარ! მაინც მიყვარხარ,
ვით პოეზია, როგორც ღვთაება
თუმც მაგ თვალეებში ან სხვისთვის ბრწყინავს
სასუფეველი და უკვდავება“

(„გულის პასუხი“ 1902, თხზ. სრული კრებული ხუთ ტომად,
ტ. 1, გვ. 502)

აკაკი უკიდურესობამდეც მიდის და ერთ-ერთ წერილში თი-
თქოს აფრთხილებს კიდევ ტასოს, რომ საშინელ ნაბიჯს გადად-
გამს, თუკი არ ეღირსება მის ერთ სიტყვას „ხვალე საჩხერეში

მონოდებულს" (ყურნ. „მნათობი“, წერილი 12). თუ რა სიტყვას ელოდება, არ წერს, მაგრამ ადვილი მისახვედრია, რომ ის თანაგრძნობის გამომხატველი უნდა იყოს.

აკაკი, როგორც ბავშვი, ისე მოელის ტასოსთან შეხვედრას და ამას არც მალავს. ის თავის თავს ტასოსგან „შერისხულს“ უწოდებს და კარგად იცის, რომ ტასოს თავდაჭერა, მისი ზრდილობიანი ქცევა მგოსნისადმი, ბატონობით მიმართვა, ამტკიცებს არა პატივისცემას, არამედ სიშორეს მათ შორის და ეს უკლავს სწორედ გულს (ყურნ. „მნათობი“, წერილი 16).

ერთ-ერთ წერილში აკაკი მაღლობას უხდის ტასოს საჩუქრისათვის, რომელიც, როგორც წერილიდან ჩანს, ნახატი უნდა ყოფილიყო; რადგან აკაკისაც მოუნდა მისთვის ასეთივე ნახატი გაეგზავნა, ოღონდ ცოტა განსხვავებული შინაარსის. იმ ადგილას, სადაც ერთი ილუპება, მეორეც უნდა ყოფილიყო გამოსახული, რომელიც იმ ერთს გადაარჩენს, თვითონ კი დაილუპება, მაგრამ სიხარულით. „ეს, ვგონებ, უფრო სიმართლის გამომხატველი სურათი იქნებოდა“, – წერს აკაკი. ცხადია, იმ მეორეში მგოსანი თავის თავს გულისხმობდა, რომელიც მზად იყო, ყველაფრისაგან დაეხსნა და გადაერჩინა ტასო. ჩანს, მათ შორის ურთიერთობა სიმბოლური ხასიათის ქმედებითა და წერილებითაც მიმდინარეობდა, მაგრამ აკაკისათვის – ყოველთვის უიმედოდ. მისი „იდეალი“, როგორც ის (მხოლოდ და მხოლოდ) ტასოს უწოდებდა, დაილუპა. „იყო და აღარ არის! შეეძლო კიდევ ყოფილიყო, მაგრამ აღარ მოხერხდა“. აკაკი თვლის, რომ სატრფოს კამკამა წყაროსავით წრფელი გული გადაუშალა, „ეგებ პოეტურად ახირებულიც, მაგრამ მაინც წრფელი და მხოლოდ უსამართლო უგულობას შეიძლება მოსჩვენებოდა იქ რაიმე მღვრიედ“ (ყურნ. „მნათობი“, წერილი 19). ეს სიტყვები აღბათ ერთგვარი საყვედურია; მაგრამ საბოლოოდ აკაკი ერევა თავის თავს და ბოდიშს უხდის

ტასოს იმ საყვედურებისათვის, რომლებიც ოდესმე გამოუთქვამს და რომელთა თქმის უფლებაც მას არ ჰქონდა. ყოველივეს კი გარემოებასა და თავის განსაკუთრებულ მგრძნობელობას აბრალებს, რომელიც მხოლოდ რჩეულთა ხვედრია. აკაკის აზრით, ნიჭს იმიტომ აძლევს ზენა კაცს, რომ ქვეყნის საკეთილდღეოდ მოიხმაროს. ასევეა სილამაზეც. იმისათვის ეძლევა ადამიანს, რომ შუქი მოჰფინოს და გაამხნეოს ქვეყნის მსახურნი, რის მაგალითსაც დიდი თამარი იძლეოდა. ამგვარი ღვანლი მიუძღვის, აკაკის აზრით, მარიამ დედოფალსაც, რომელმაც მოხიბლა მაჰმადიანი ქართველი მეფე, მოხუცი როსტომი და საქართველოსადმი სიძულვილი სიყვარულად გარდაუქმნა. აკაკი უჩივის თანამედროვე ქალებს, რომლებიც იმას კი არ ცდილობენ, მოღვანენი ეროვნული იდეალებით აღაფრთოვანონ, არამედ იმას, რომ თავიანთ ყურმოჭრილ მონებად გაიხადონ. „კაბის კუდი დააჭერინონ ხელში!“ ამისთანა დროს, რა დასაძრახია, რომ აკაკი ტასოსნაირ ქალს, როგორც ხავსს ნყალნაღებულს, ისე ეკიდება, როგორც ბულბული ვარდს, ისე უგალობს (ყურნ. „მნათობი“, ნერილი 19). ცხადია, აკაკის მსჯელობა ერთგვარი თავის მართლებაა. ობიექტურად მას არ ჰქონდა თუნდაც „პლატონური“ გრძნობის გამჟღავნების უფლება, რადგან ტასო მას არ ეკუთვნოდა. ის მისი მეგობრის ცოლი იყო და თანაც ღირსეული პიროვნება, რომელიც პატივს სცემდა მას, მხოლოდ და მხოლოდ როგორც აკაკის.

სწორედ ამ სიყვარულის გამო დაადანაშაულეს საქართველოს პირველი პოეტი მაჩაბლის გაუჩინარებაში და რაგინდ დიდი და დაფასებული პიროვნებაც არ უნდა ყოფილიყო, ამ ეჭვის ბრალდებით უნდა ეცხოვრა. ტკბილი ოცნებიდან მწარე სინამდვილეში გამორკვეული მგოსანი ერთბაშად დაობლდა და დარჩა ბარათაშვილის სიტყვებს ამოფარებული – „სულით ურწმუნო, გულით უნდო, ჭკუით მაშვრალი“

ვის ცოლი ვის ქმარსა სტირის?



3 აუას ციმბირის წყლულისგან ცალი თვალი გაფუჭებული ჰქონდა; მაგრამ „ის ცოტათი წითლად გადმობრუნებული უპე არას უშლიდა. სიბნელეში სხივები ედგა“ (გულქან რაზიკაშვილის მოგონებებიდან). თანაც ყოველთვის არ ჰქონია თვალი გაფუჭებული. სხივები კი თურმე ბავშვობიდან ედგა. ვაჟკაცი იყო და თან ბეჩავი.

ათი წლისა უკვე შეყვარებული გახლდათ, მაგრამ რამდენადაც ძლიერი იყო სიყვარული, იმდენად გაუბედავი, დამალული, უსიტყვო. ვინც უყვარდა, იმანაც კი არ იცოდა; რცხვენოდა, დანაშაულად მიაჩნდა და სატრფოს როგორღა ეტყოდა?! ეს იყო თელავში. მერე თბილისში გადავიდა და თელაველი სატრფო თბილისელმა შეცვალა. მაგრამ ეს სიყვარულიც პირველს ჰგავდა. „შორით კვდომა და შორით დაგვა იყო“, სანამ არ დავაჟკაცდა და ცოლად არ შეირთო ის, ვინც უყვარდა.

ქალისადმი სიყვარულის გრძნობა თითქმის არა ჩანს ვაჟას ლექსებში, თითქოს არცა ჰქონიაო, იმდენად არ აძლევს პირად გრძნობას პოეზიაში არსებობის უფლებას. ილიას მემკვიდრეა!

„ვაჟას ქალები უყვარდაო!.. სადა სცალოდა წანლობისა და ქალებისთვისა; ...რომელი მწერალია, რო ქალებზე არა სწერდეს!.. ფეთებას შეიყრიდა, ქალი რასა იქვიანო, განა ქალს არ ახსენებდა, ქვეყანაზე ლამაზიც არი და უშნოცა, თვალების ჭკვაზე უნდა იაროს კაცმაო?.. გულის ხმაზე უნდა იაროს, გულის ჭკვაზედაო, – იცოდა...“ (გულქანი რაზიკაშვილის მოგონებებიდან).

გულის ხმაზედ მოსიარულემ დიდი სიყვარულით შეირთო ცოლი, კეკე ნებიერიძე, ამილახვრის უკანონო ასული (ვაჟა ამილახვრის ოჯახში კერძო მასწავლებლად მსახურობდა). – თურმე დედას ეუბნებოდა, სანამ მოიყვანდა ჩარგალსა, რომ შენ იქაურს ჯაფასა და ცხოვრებას ვერ შეეგუებიო. – კიო, კიო, კიო, დედასა“, – იხსენებს გულქანი. მათ ოთხი შვილი ეყოლათ: სამი ქალი და ერთი ვაჟი. ბავშვები ჯერ კიდევ პატარები იყვნენ, დედა რომ გარდაეცვალათ. „გულქანი დადიოდა, მარიამი კი ფეხში იმართებოდა – დაცუტუნებდა“. ვაჟა სანადიროდ ყოფილა ყვარელში. დედის ხელს მიჩვეული ბავშვები ლოგინიდან არ ამდგარან. ვილაც დედაკაცი მისულა. „კეკე, კეკე, ქალოო“, – დაუძახია მძინარე დედისთვის. ბავშვებმა დაინახეს, როგორ გადაუგორდა მას თავი... ნადირობიდან დაბრუნებულმა ვაჟამ ყვარელში შეიტყო, „კეკე მოკვდა, ცოლ-შვილი გიჟივისო“. ვაჟას ფანდური აულია ხელში, ჯავრმა არ მაჯობოს, ხალხმა არ შემატყოს ნალველიო და ჩამოუკრავს:

„იას უთხარით ტურფასა
მოვა და შეგჭამს ჭიაო,

ნუ მოხვალ, მინას ეფარე,
მოსვლაში არა ყრიაო“.

ეს ლექსი ვაჟამ თავის ცოლს – კეკეს – მიუძღვნა, რასაც ადასტურებს გულქანის მოგონებაც. თავად ვაჟას ეს ფაქტი არსად აღუნიშნავს. მან მეორე ცოლი შეირთო, რომელსაც სწყინდა თურმე კეკეს სიყვარულით მოხსენიება. „არაფერი არ უთქვამ დადაზე. აი დედაკაცს სუ სწყინდა“. ვაჟამ ცოლს არც ის გაუმხილა, რომ „ეთერიანი“ თავის შვილს – დედინაცვლის ხელში გაზრდილ გულქანს – მიუძღვნა, რომელსაც სილამაზე ჰქონდა და ბედი არ სწყალობდა. „როგორ გაჩნდნენ ბუები ქვეყანაზე“ – ესეც ვაჟას ობოლ შვილებზეა, რომლებიც შუალამეს ხშირად ეძებდნენ დაკარგულ საქონელს. ამ მიძღვნებზე ვაჟა მხოლოდ შეილებთან საუბრობდა. იების სიყვარული კი სიცოცხლის ბოლომდე შერჩა. გულქანს ეტყოდა, „ძროხებში ყოველდღე ახალ-ახალი ია მოკრიფე, სტაქანში გააკეთე და მაგიდაზე დამიდგი, გოგოო...“

კეკეს გარდაცვალების შემდეგ ვაჟას შვილები ბაჩანასთან იზრდებოდნენ მალაროსკარში. ძალიან უყვარდათ ბიცოლა, რომელიც მუდამ პატრონობდა და მფარველობდა ობლებს. დედინაცვალის მალაროსკარში მიუყვანა მამამ შვილებს. – „ეს არის თქვენი დედაო“, – გააცნო ის ბიცოლამ ბავშვებს. გულქანი გაექანა და ჩაეკრა. თამარმა ხელი გაჰკრა და გვერდზე გააგდო. – „ნუ, თამარო, – უთხრა ბაჩანას ცოლმა, – ცოდვა არიო...“ თამარი მაინც არ მიეფერა.

ასე დაიწყო ვაჟას ოჯახში დედინაცვალ-გერობა. – „რალა უნდაო, – იტყოდა თამარი, – დაუზარდე და კიდე რალა უნდაო“. ვაჟასთვის კი ამის ყურება ძნელი იყო, „ძნელი, ძნელი და ძალზე ძნელი“. ამიტომაც ხშირი იყო ცოლ-ქმარს შორის ჩხუბი. ერთხელ ვაჟამ ბარგიც კი გადაუყარა გარეთ. – „დაიკარგე, დამშორდიო“. ერთხელ კი ისე გაჯავრდა, რომ არ შეუშვა ცოლ-შვილი სახლში. საბძელში დანოლილან, ჩალაში. მარტო გულქანი და მამა ყოფი-

ლან შინ. მამას ყველაზე დიდი ქათამი დაუკლავს და ჩიხირთმა გაუკეთებია. მხოლოდ მეორე დღეს შემორიგებია „შერისხულებს“. ხშირად ჩხუბი იმაზე იყო, რომ ვაჟა შრომას თავს ანებებდა და წერდა. სხვანაირად არ შეეძლო. თამარს კი ამ დროს მარტოს უხდებოდა ოჯახური ტვირთის ზიდვა. მას არ ესმოდა, რა იყო ექვსწერის ყინი. მხოლოდ ვაჟას დასაფლავების დღეს მიხვდა, რომ დიდი კაცი ჰყოლია ქმარი, სოფელში არ გამოატანეს დასამარხად, დიდუბის ეკლესიაში დიდი პატივით დაკრძალეს. მაინც დარდი არ დაიმჩნია, არ იტირა, ცრემლები არ ღვარა. „ხმელის ხასიათის დედაკაცი იყო. სანყალი ლუკაო, – იცოდა, – ჩვენ არ გვიგდებდა ყურსა, სუ სწერდა და რა მისცა ქვეყანამ, მშვიერ-ტიტვლები დაგვყარა ჩვენცა და მშვიერ-მწყურვალი დანვა თავადაც მინაში ლუკაიო, – იცოდა...“ (გულქან რაზიკაშვილის მოგონებებიდან).

მართლაც, არაფერი დაუტოვებია ვაჟას ცოლ-შვილისათვის. თამარს ერთი ვერცხლის საყურეები ჰქონდა და ერთიც რქის ბეჭედი, ვარდისფერი. მეწვრილმანეს ჩამოეტანა ჩარგალში და იმისგან ეყიდა. ეგ იყო სულ იმის სამკაული; ხოლო რაც შეეხება ვაჟას შვილებს, ბეჩაობისგან ღილებიც კი არ ეკერათ კაბაზე. კიდევ ერთი ციტატა ამოვნერეთ გულქანის მოგონებებიდან თამარზე: „ეს მთიულაი ეხლა ძაან ლამაზია სურათშია. განა ესეთა იყო. ეს შიბი თამარსა ბაჩანას ცოლისა უკეთია, თვითონ სადა ქონდა!“ („მთიულას“ ვაჟას შვილები ირონიით ეძახდნენ თავიანთ დედინაცვალს – თამარ დიდებულებს).

როგორც ამ მოგონებიდან ჩანს, ვაჟას მეორე ცოლი თამარი ცივი – „ხმელი ხასიათის“ – ქალი ყოფილა და ცოლ-ქმარს შორისაც საკმაოდ იძაბებოდა ხოლმე ურთიერთობა. ვაჟას მისთვის არც ლექსი და არც მოთხრობა არ მიუძღვნია. დედინაცვლობამ და სიბეჩავემ უარყოფითი დალი დაასვა მის სახეს; მაგრამ აღ-

ბათ ცალმხრივი შეფასებისგანაც თავი უნდა შევიკავოთ. თვითონ გულქანისავე სიტყვებით, თამარმა „ცოტად თუ ბევრად დაგვზარდა, არა დაგვამახინჯა, არ დაგვაავადნა. ჩემ დედინაცვალს ვერ გადავაგდე, ვერა!“ თამარი ნერა-კითხვის მცოდნეც ყოფილა, თურმე მონასტერში განსწავლულა. ცივი კი ალბათ ცხოვრებაში გახდა. თურმე ახალგაზრდობაში, ისევე როგორც ყველას, მასაც სწევია სიყვარული. იმ კაცის – გარდაცვლილი რკინიგზის მუშის – სურათი თამარს სიცოცხლის ბოლომდე შეუნახავს, ჩიქილის ტოტში გამოკრული. ძნელი სათქმელია, იცოდა თუ არა ვაჟამ ამის შესახებ, როცა აღაზას „ნიშნად და სახსოვრად“ ჩიქილის ტოტში გამოაკრევენა ზვიადაურის სამი ბალანი, ხოლო მის ქმარს კი (დიდი ხნის ფიქრის შემდეგ, მაგრამ მაინც) ათქმევინა:

„იტირე?! მადლი გიქნია,
მე რა გამგე ვარ მაგისა?
დიაცს მუდამაც უხდება
გლოვა ვაჟკაცის კარგისა“.

ქ არ ყოფილა სიყვარული, იყო მხოლოდ აღტაცება, გონება მამახვილობით გამონვეული ხიბლი, დიდი რიდი, ხუმრობაც, ირონიაც, შემდეგ – მეგობრობაც და ეს ყოველივე არ გამორიცხავდა სიყვარულს – თავისებურ სიყვარულს.

ეს სიტუაცია მეტ-ნაკლებად შეიძლება მივუსადაგოთ თითოეულ თაყვანისმცემელს, რომელიც გარს ეხვია XIX საუკუნეში ყველასათვის ცნობილ რუს ქალბატონს – ალექსანდრა როსეტისმირნოვას, მაგრამ ყველაზე მეტად კი – ალექსანდრე პუშკინს. თუ დანარჩენთა დამოკიდებულებაში ალექსანდრა სმირნოვას მიმართ ზემოთჩამოთვლილი ერთი რომელიმე მომენტი სჭარბობდა, როსეტისა და პუშკინის ურთიერთობამ, მართალია, სხვადასხვა დროს, მაგრამ ეს ყოველივე შეითავსა. პუშკინმა მას „შავთვალეზა როსეტი“ შეარქვა.

ვინ იყო შავთვალეზა როსეტი? ამ კითხვას ი.ა. პოლონსკიმ შესანიშნავი პასუხი გასცა: „მის შესახებ რუსეთში არ იციან მხოლოდ გაუნათლებლებმა, ან კიდევ – ლიტერატურისა და რუსული საზოგადოების ისტორიისადმი სრულიად გულგრილებმა“.

ალექსანდრა სმირნოვა XIX საუკუნის მრავალი გამოჩენილი ადამიანის - პოეტის, მწერლის, მხატვრისა და მუსიკოსის მუზად იქცა. ის იყო მეგობარი პუშკინის, ჟუკოვსკის, კრილოვის, გოგოლის, ტურგენევის, ალ. ტოლსტოის, შჩეპკინის, გლინკას, ბრიულოვის, მიცკევიჩის, ლისტის და ა.შ. სია უსამველოდ შეიძლება გაგრძელდეს. ვის არ ნახავდით მის ლიტერატურულ სალონში, რომელიც თავდაპირველად ზამთრის სასახლის IV სართულის ერთ პატარა ოთახში მდებარეობდა. დიასახლისი ყოველთვის მეგობრულ დახმარებას უწევდა თავის სტუმრებს. მასთან მიჰქონდათ ლიტერატურული ნაწარმოებები, კითხულობდნენ, ისმენდნენ რჩევებსა და შენიშვნებს. ყველამ კარგად უწყოდა ალექსანდრას ნიგნიერებისა და დახვეწილი გემოვნების შესახებ; თუ ცენზურასთან პრობლემები გაჩნდებოდა, როსეტი მათ ეხმარებოდა; სულ ერთია, ეს მისი დეკაბრისტი ბიძა იყო, უფულო გოგოლი თუ გოგოლის ნეკროლოგის გამო დევნილი ტურგენევი. ალექსანდრა როსეტის მოგონებებში, რომელიც რამდენჯერმე გამოიცა, 3000-ზე მეტი თანამედროვის სახელია მოხსენებული. მათ შორის არიან როგორც ლიტერატორები და მხატვრები, ასევე - პრინცები, ჩინოვნიკები, მსახურები, შემთხვევითი თანამგზავრები და ნათესავები.

მისადმი ინტერესი მხოლოდ სილამაზით არ განისაზღვრებოდა. როსეტი იყო განათლებული და ჭკვიანი, თანაც - ცოცხა გესლიანიც. უჩვეულო და პარადოქსული ჭკუის გამო „მადამ დე სეინის“ ეძახდნენ, მოუსვენრობისათვის - „სამხრეთის მერცხალს“, ენამახვილობის გამო - „Дюна Союз“-ს, უნიკალური შერწყმისა თუ, პირიქით, შეუხამებლობისათვის კი - „ღვთიურ ეშმაკუნას“. მისი გესლიანი ჭკუა საშუალებას აძლევდა ინტელე-

ქტუალებს, მასთან თანასწორ კამათში შესულიყვნენ ლიტერატურისა თუ პოლიტიკის სხვადასხვა საკითხზე. რა თქმა უნდა, მშვენიერ ახალგაზრდა ქალბატონში კომპეტენტური მოსაუბრისა და მსმენელის აღმოჩენა პუშკინისთვისაც განსაკუთრებით სასიამოვნო იქნებოდა. რაც შეეხება მის სილამაზეს კი, პუშკინს ოლენინას უწყინარი გამოხედვა უფრო ერჩივნა, რომ აღარაფერი ვთქვათ ნატალია გონჩაროვას ღვთაებრივ მშვენიერებაზე. ლიტერატურათმცოდნეები ხშირად ერთმანეთს ადარებენ ინტელექტუალ ალექსანდრა სმირნოვასა და ლიტერატურისადმი სრულიად გულგრილ ნატალია პუშკინას, რომელიც თითქოს ასე ამბობდა: „ეჰ, პუშკინ, როგორ მომაბეზრე თავი შენი ლექსებით!“ ან კიდევ: „ნაიკითხე, ნაიკითხე, მე მაინც არ გისმენ!“ მიუხედავად როსეტის ინტელექტუალობისა, პუშკინი საკმაოდ გაბედულად შეენიანა აღმდეგა ვიაზემსკის ალტაცებას „სამხრეთელი ვარსკვლავების თვალებით“:

«Она мила _ скажу меж нами _
 Придворных витязей гроза,
 И можно с южными звездами
 Сравнить, особенно стихами,
 Ее черкесские глаза.
 Она владеет ими смело,
 Они горят огня живей,
 Но, сам признайся, то ли дело
 Глаза Олениной моей!»

ეპიგრამული ფორმით როსეტის ქეშმარიტი ღირსებები მისმა ახლო მეგობარმა ს.ა. სობოლევსკიმ ჩამოაყალიბა:

«Не за пышные плечи,
Не за черный ваш глаз,
А за умные речи
Полюбил бы я вас.»

მაგრამ საუბარი, რა თქმა უნდა, პუშკინს კარის რაინდთა „მეხ-
თან“ უფრო ერჩივნა, ვიდრე ოლენინასთან. თუ პოეტები ერთმა-
ნეთს ეჯიბრებოდნენ ალექსანდრა როსეტის შემკობაში, პუშკინი
თავის ლექსებში ირონიასაც ოსტატურად აქსოვდა:

«Черноокая Россети
В самовластной красоте
Все сердца пленила эти
Те, те, те и те, те, те.»

ჟუკოვსკიმ კი შეძლო ხუმრობის მიღმა დაემალა თავისი გუ-
ლითადი მიჯაჭვულობა და გატაცება ამ გონებამახვილი ახალგა-
ზრდა ქალბატონით:

«Я на все решиться готов! Прикажете ль кожу
Дам содрать с своего благородного тела, чтоб сшить вам
Дюжину теплых калошей, дабы гуляя по травке,
Ножек своих замочить не могли вы? Прикажете ль, уши
Дам отрезать себе, чтобы в летнее время хлопушкой
Вам усердно служа, колотили они дерзновенных
Мух, досаждающих вам неотступной своей любовью
К вашему смуглому личику...»

პუშკინის მეგობარი პოეტი ვასილი ტუმანსკიც ჩაება არაოფიციალურ „პოეტურ ტურნირში“ სმირნოვა-როსეტის სასარგებლოდ (ანუ – ყოველგვარი ხუმრობის გარეშე) და შექმნა თავისი ერთ-ერთი დღემდე დაუვინყარი ლექსი:

«Любил я очи голубые,
Теперь влюбился в черные,
Те были нежные такие,
А эти непокорные.
Глядеть, бывало, не устанут
Те долго, выразительно,
А эти не глядят, а взгянут,
Так, словно царь властительный.
На тех порой сверкали слезы,
Любви немие жалобы,
А тут не слезы, а угрозы,
А то и слез не стало бы.»

ვიაზემსკიმ, რომელიც ქალური სილამაზის წინაშე ყოველთვის უძლური იყო და თანაც მუდამ ენამჭევრობით გამოირჩეოდა, ალექსანდრა სმირნოვას მთელი რიგი ლექსები უძღვნა. აი, ერთ-ერთი მათგანი (1831 წელს პლეტინოვისადმი მიწერილ წერილში პუშკინი ახსენებს „სამხრეთელ მერცხალს“, რითაც ვიაზემსკის ლექსზე მიანიშნებს):

«Красою смуглого румянца
Смотрите, как она южна;
Она желтее померанца,
Живее ласточки она.»

ამ პერსონალური ანთოლოგიის გაგრძელება კიდევ დიდხანს შეიძლება, მაგრამ ამჯერად ლერმონტოვის 1840 წელს დაწერილ ლექსზე შევიჩრდებით, სადაც ყველაზე უკეთ წარმოჩნდება პოეტის ინდივიდუალური დამოკიდებულება ლექსის გამირისადმი. ეს არის აღტაცება, მორიდება და თავისებური ნუხილი-განცდა, რომელსაც თავისუფლად შეგვიძლია სიყვარულიც დავარქვათ:

«Без вас хочу сказать вам много,
При вас _ я слушать вас хочу;
Но молча вы глядите строго, _
И я в смущении молчу.
Что ж делать? Речью неискусной
Занять ваш ум мне не дано...
Все это было бы смешно,
Когда бы не было так грустно.»

და კვლავ დავსვათ კითხვა: ვინ იყო ეს ქალი, რომლისადმი მიძღვნები მთელ ანთოლოგიას ქმნის?

ალექსანდრას მამა – ოსიპ როსეტი – წარმოშობით ფრანგი იყო. საზღვაო სასწავლებლის დასრულების შემდეგ მან რუსულ ჯარში დაიწყო სამსახური, ოდესაში დასახლდა და შემდეგ პორტის კომენდანტი გახდა. როსეტიმ ცოლად შეირთო 16 წლის ნადეჟდა ლორერი (მომავალი დეკაბრისტის და), რომლის მამას გერმანული წარმოშობა ჰქონდა; დედა კი ქართველი ჰყავდა, ციციშვილის ქალი. როგორც ალექსანდრა ოსიპოვნას ერთ-ერთი ბიოგრაფი აღნიშნავს, ფრანგებისაგან მან მემკვიდრეობით მიიღო სისხარტე და ყველაფრის ათვისების უნარი, ლორერებისაგან – დახვეწილი მანერები, წესრიგის

სიყვარული და მუსიკალური გემოვნება, ქართველებისაგან კი – სიზარმაცე, ფანტაზიის ნიჭი, რელიგიურობა, სამხრეთული სილამაზე და სითამამე.

58

ნაცვლად უზრუნველყოფილი ცხოვრებისა, რასაც ალექსანდრას თავისი წარმომავლობა ჰპირდებოდა, ბავშვობასა და ახალგაზრდობაში მას სულ სხვა ცხოვრება ხვდა წილად. მამა ადრე გარდაეცვალა, დედა სხვაზე გათხოვდა, ხოლო პატარა საშენკა ბებიას – ეკატერინე ციციშვილს – მიაბარა აღსაზრდელად. ბებია გრამაკლეაში ცხოვრობდა, ნიკოლაევას მახლობლად, სადაც მას პატარა მამული ჰქონდა. სწორედ აქ ჩამოყალიბდა ნახევრად ფრანგი და ნახევრად ქართველი როსეტი რუს ქალიშვილად. ბებიასთან მან რამდენიმე წელი გაატარა, შემდეგ კი დედამ პეტერბურგში გადაიყვანა, სადაც როსეტი ეკატერინეს ინსტიტუტში შევიდა. აქ მას ისევ გაუმართლა; რუსულ ენას ასწავლიდა პეტრე პლეტნიოვი, რომელმაც ალექსანდრა პუშკინს გააცნო. მეგობრული ურთიერთობა პლეტნიოვთან როსეტიმ სიცოცხლის ბოლომდე შეინარჩუნა.

1826 წელს, მაშინ უკვე დედიტაც დაობლებულმა, ალექსანდრა როსეტიმ ინსტიტუტი დაამთავრა და იმპერატორის ფრეილინა გახდა (მან ორი იმპერატორი გამოიცვალა; ყოველთვის ახდენდა მათზე გავლენას თავისი არაჩვეულებრივი მეტყველებითა და ჭკუით). ამ დროს მისი ბიძა – ნიკოლაი ლორერი – დაიჭირეს და სხვა დეკაბრისტებთან ერთად კავკასიაში გადაასახლეს. არსებობს ცნობები, რომ ახალგაზრდა როსეტი არ შეუშინდა იმპერატორს და ბიძისათვის სასჯელის შემსუბუქება სთხოვა. სამეფო კარზე მსახურების წლები მძიმე იყო როსეტისათვის, მაგრამ მას სხვა გამოსავალი არ ჰქონდა,

შავთაბაიის ინსტიტუტი

გროშიც კი არ გააჩნდა; სასახლეში ცხოვრებით კი თავის ოთხ ძმას არჩენდა და ახლო ნათესავებს ეხმარებოდა.

მართალია, სმირნოვამ პუშკინი ეკატერინეს ინსტიტუტში სწავლების დროს გაიცნო, მაგრამ მათ შორის მეგობრული ურთიერთობა შედარებით გვიან ჩამოყალიბდა, როდესაც პუშკინი თავის ახალგაზრდა ცოლთან ერთად ცარსკოე სელოში დასახლდა, სადაც ზაფხულს სასახლის კარი ატარებდა ხოლმე. რასაკვირველია, აქვე იყვნენ ფრეილინებიც. მიუხედავად იმ სირთულეებისა, რომელსაც თვითმპყრობელის „მეზობლობა“ იწვევდა, პუშკინმა ეს ზაფხული არაჩვეულებრივად გაატარა. პუშკინი და ყუკოვსკი ბევრს მუშაობდნენ, ლიტერატურულ პაექრობაშიც კი ებმებოდნენ ერთმანეთთან. მათ ყოველდღე სტუმრობდა ახალგაზრდა ლიტერატორი ნიკოლაი გოგოლი, რომელმაც აქ გაიცნო შემდგომში თავისი ახლო მეგობარი ალექსანდრა როსეტი. ყუკოვსკი და პუშკინი ხშირად დადიოდნენ იმპერატორის ფრეილინას სალონში და თუ ის შინ არ იყო, მის მოსამსახურე გოგონებს ესაუბრებოდნენ და ეხუმრებოდნენ.

1831 წელს ყუკოვსკი წერს ტურგენევს: „მე და პუშკინი ცარსკოეში ვცხოვრობთ და საღამოებს ცარსკოე სელოს შავტუხა სარძლოსთან ვატარებთ.“ მართლაც, ალექსანდრა როსეტი ამ დროს უკვე დანიშნული იყო. მისი საქმრო, 1832 წლის 11 იანვრიდან კი უკვე ქმარი, ნიკოლაი სმირნოვი, პუშკინის ახლობელი გახლდათ. მან მოგონებებიც კი დაწერა პოეტზე, „რუსეთის ყველაზე არაჩვეულებრივ ადამიანზე“. მათი ქორწინება ბედნიერი არ გამოდგა; თუმცა მაშინ, 1831 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე ალექსანდრა თავის საქმროს წერილობით ერთგულებას ეფიცებოდა, მაგრამ სჯეროდა თუ არა ამ ერთ-

გულების თავად, ძნელი სათქმელია. გათხოვება ერთადერთი გამოსავალი იყო მისთვის; წინააღმდეგ შემთხვევაში დიდხანს მოუნევედა სასახლის მსახურება და კარის ყოველდღიურ ინტრიგებში მონაწილეობა.

60

ნიკოლაი სმირნოვი ძველი მოსკოვეური გვარის წარმომადგენელი გახლდათ, დედის მხრიდან კი „პირველი რუსი ჯარისკაცის“- სერგეი ბუხვოსტოვის – შთამომავალი. პეტრე პირველი დიდად აფასებდა ამ ჯარისკაცს, თავის განუშორებელ მეგზურს ყველა ბრძოლაში. სმირნოვების ოჯახში (დღესდღეობით რუსულ-ქართული ურთიერთობის მუზეუმში, რომელიც ქ. თბილისში, გალაკტიონის ქუჩაზე მდებარეობს) პეტრე I-ის ნაჩუქარი სხვადასხვა ნივთი ინახება.

ნიკოლაი სმირნოვი იყო მდიდარი, ჰქონდა კამერ-იუნკერის ნოდება და მსახურობდა დიპლომატიურ სამსახურში; ნესიერი და ჭკვიანი დიპლომატი ხანდახან ფეთქებადობითაც გამოირჩეოდა. 1850-1860 წლებში სმირნოვი კალუგის გუბერნატორად დანიშნეს, შემდეგ კი – პეტერბურგის. ცოლ-ქმარმა ერთად დიდი ხანი იცხოვრა, თუმცა ალექსანდრა როსეტს ნიკოლაი სმირნოვი საბოლოოდ ვერ შეეწყო და ისინი ერთმანეთს სიბერეში დაშორდნენ.

მას შემდეგ, რაც როსეტი სმირნოვა გახდა, პუშკინი ცოლისადმი მიწერილ წერილებსა და თავის დღიურში (1834 წ) ძირითადად მის ჯანმრთელობაზე მსჯელობს. საკმაოდ მძიმედ ჩაიარა ალექსანდრას პირველმა მშობიარობამ – მას დაეღუპა ახალშობილი, ხოლო მეორეჯერ დაბადა ტყუპი. პუშკინი თუმცა კი ოხუნჯობდა ამის თაობაზე ცოლთან მიწერილ წერილში (27 ივნისი, 1834 წ), მაგრამ სერიოზულად ნერვიულობდა „შავთვალეზა როსეტიზე“.

შავთვალეზა როსეტი

1832 წლის მარტში იგი გამოცხადდა ალექსანდრასთან და დაბადების დღის აღსანიშნავად ნევის პროსპექტზე ნაყიდი ალბომი მიართვა. პირველ ფურცელზე პუშკინის ხელით ეწერა: „ისტორიული ჩანაწერები ა. ო. ს.“ ამას მოჰყვებოდა იუბილარისადმი მიძღვნილი ლექსი, რომელიც უნდა წაიკითხოთ არა როგორც მხოლოდ მიძღვნა, არამედ ალბომის მფლობელის ზუსტი დახასიათება:

«В тревоге пестрой и бесплодной
Большого света и двора
Я сохранила взгляд холодный,
Простое сердце, ум свободный
И как дитя была добра;
Смеялась над толпою вздорной,
Судила здраво и светло,
И шутки злости самой черной
Писала прямо набело.»

პოეტი ყოველთვის უბიძგებდა მეგობრებს, გაეკეთებინათ ჩანაწერები თავიანთი ცხოვრების შესახებ. შემთხვევით არ მიუტანა მან ალბომი ალექსანდრა როსეტისაც; ჯერ ერთი, იცოდა, რომ მას ჰქონდა, თუ ჰქონდა, მოსაყოლი – თუნდაც თავის ბავშვობაზე, ციციშვილების უძველეს გვარზე, სასახლეში გატარებულ წლებზე, თავის ლიტერატურულ სალონზე; მეორეც – ამბის არაჩვეულებრივი გადმოცემა იცოდა და საუცხოოდ ფლობდა რუსულ ლიტერატურულ ენას. საბოლოოდ ალექსანდრა როსეტიმ გაამართლა პუშკინის იმედი და დაგვიტოვა საინტერესო ჩანაწერები, რომელთა შორისაც მრავალი მოგონება სწორედ პუშკინს ეძღვნება.

1833 წელს ალექსანდრა მკურნალობდა საზღვარგარეთ; პეტერბურგში ქმართან ერთად აგვისტოში დაბრუნდა, მაგრამ ამ დროს პუშკინი უკვე იაროპოლცეში იყო წასული; 1834 წლის განმავლობაშიც პოეტი იშვიათად იმყოფებოდა სმირნოვებთან (ნერვიულობდა თავისთვის მეტად მნიშვნელოვან საკითხზე – გადასულიყო სოფელში, თუ დარჩენილიყო „აუტანელ“ პეტერბურგში; თანაც ბევრს მუშაობდა). იგი ხუმრობდა კიდევ ცოლისადმი მიწერილ წერილში, რომ ალექსანდრა მას უცხოელი სტუმრების სიაში შეიტანდა, რომელთა მიღებაზეც დიასახლისი ხშირად უარს ამბობდა. 1835 წელს სმირნოვები ისევ გაემგზავრნენ საზღვარგარეთ. ბერლინიდან ალექსანდრა ვიაზემსკის ატყობინებდა, რომ «Современник»-ი გამოიწერა, პუშკინის გემოვნების იმედი ჰქონდა; სთხოვდა, მისთვის გადაეცა, რომ ჟურნალისთვის მასალას შეაგროვებდა ბერლინის ლიტერატურულ სიახლეებზე. პირველმა ნომერმა ის ძალიან გაახარა, განსაკუთრებით გოგოლის „ეტლმა“ და პუშკინის „მოგზაურობამ არზრუმში“ (ვიაზემსკისადმი მიწერილი წერილი, 1836 წ., 4 მაისი).

პუშკინის დალუპვის შესახებ ალექსანდრამ პარიზში შეიტყო. ანდრეი კარამზინი სტუმრობდა სმირნოვებს, როცა მათ ეს ამბავი წერილიდან შეიტყვეს. კარამზინთან, გოგოლთან, სობოლევსკისთან და სხვა რუს მოღვაწეებთან ერთად, რომლებიც მაშინ პარიზში ცხოვრობდნენ, სმირნოვებმა გულთ დაიტირეს პოეტი. ვიაზემსკიმ ალექსანდრას მისწერა: „სიკვდილის წინ პუშკინმა მიკარნახა, ვისთვის რა მართებდა. თქვენ იქ ნახსენები ხართ. ეს მისი ერთადერთი განკარგულებაა...“ ალექსანდრა სმირნოვამ უპასუხა, რომ კარგი იქნებოდა, უფრო დანვრილებით მიეწერა ამ უღრესად მტკივნეული მოვლენის შესახებ;

საზღვარგარეთ ის ისეთივე შეურაცხყოფილი იყო საზოგადოების უსამართლობით, როგორც ვიაზემსკი - რუსეთში, მაგრამ ამის შესახებ არ საუბრობდა; დუმდა იმათთან, ვინც მას ვერ გაუგებდა. პუშკინზე თავადაც ბევრი რამის თქმა სურდა, მაგრამ მხოლოდ - სიტყვიერად, რადგან წერილობითი შეტყობინების ეშინოდა.

მას შემდეგ ალექსანდრა როსეტიმ კიდევ დიდხანს იცოცხლა. ცხოვრებაში ის ბევრ საინტერესო ადამიანს, ხელოვანსა და საზოგადო მოღვაწეს შეხვდა, მაგრამ საუკეთესო მისთვის მაინც ახალგაზრდობის წლები იყო - წლები, როცა მეგობრობდა პუშკინთან, როცა ყვაოდა მისი სილამაზე და ნიჭიერება. უკანასკნელი წლები როსეტიმ მოგზაურობაში გაატრა; მოინახულა თავისი მშობლიური ოდესა, მერე კონსტანტინეპოლში გაემგზავრა, ერთი პერიოდი ფენევის ტბის ნაპირას ცხოვრობდა; მაგრამ ყოველთვის და ყველგან მოსკოვზე ოცნებობდა. გარდაიცვალა პარიზში 1832 წელს. ანდერძის თანახმად გადმოასვენეს და დაკრძალეს მოსკოვში.

ამჯერად ჩვენთვის ალექსანდრა როსეტი-სმირნოვას ცხოვრების გაცნობის ბევრად უფრო კარგი საშუალება არსებობს, ვიდრე ეს წერილია. ეს გახლავთ რუსულ-ქართული ურთიერთობის ცენტრი ანუ სმირნოვების სახლ-მუზეუმი, რომელიც, რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, თბილისში, გალაკტიონის № 20-ში, მდებარეობს. საქმე ისაა, რომ ალექსანდრას ვაჟი - მიხეილი - ოდესის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ კავკასიაში ჩამოვიდა და თბილისში დასახლდა. მან ცოლად მოიყვანა თბილისელი სომეხი დიდვაჭრის ქალიშვილი - ელიზავეტა ტამამშევა, რომელსაც მზითვეში ერგო დღევანდელი სახლ-მუზეუმის შენობა, სადაც სმირნოვების 3 თაობის ცხოვრებამ ჩაიარა.

ოჯახი აგრძელებდა ალექსანდრა როსეტის მიერ ჩამოყალიბებული სალონის ტრადიციებს. აქ იყო რუსი და ქართველი მწერლების, მეცნიერების, მსახიობების და მუსიკოსების თავშეყრის ადგილი. სტუმრებს შორის ყოფილან: ი. ჭავჭავაძე, ნ. ნიკოლაძე, პ. მელიქიშვილი, მიხეილ ზიჩი, ა. რუბენშტეინი, პ. ჩაიკოვსკი, დ. სარაჯიშვილი და მრავალი სხვა რჩეული ადამიანი. ილია ჭავჭავაძემ სწორედ ამ სახლში აღნიშნა პუშკინის დაბადების 100 წლისთავი.

მარია ფიოდოროვნა ანდრეევა [იურკოვსკაია (მამის გვარი) – ჟელიაბუჟსკაია (ქმრის გვარი)] – ეს ქალბატონი ძლიერ პოპულარულია XX საუკუნის (განსაკუთრებით I პერიოდის) რუსეთში. მას ყველა იცნობს – ელიტარული წრის, გნებავთ, თუ უბრალო ადამიანები, ხელოვანები თუ პოლიტიკოსები, თანამდებობის პირები თუ, პირიქით, საზოგადოებისგან დევნილი, ძებნილი ადამიანები. ბევრს უყვარს, აფასებს, ბევრისთვის კი მისი ქცევა გაუმართლებელი და მიუღებელია. თანამედროვეთათვისაც კი მარია ანდრეევა ამოუცნობ, საიდუმლოებით მოცულ პიროვნებად რჩება.

გრძელი და რთული გზა განვლო – მსახიობობიდან დანყებული, კომისრობით და საზოგადო მოღვაწეობით დასრულებული; უზრუნველი, თავადური ყოფიდან – ბოლშევიკობამდე, ელიტარული ცხოვრებიდან, გენერლის ცოლობიდან – ყველასაგან ზურგშექცეულ, დამნაშავედ მიჩნეულ ქალამდე, ემიგრანტობამდე და ა.შ. XX საუკუნის უდიდესი პიროვნებები საკმაოდ ახლო ურთიერთობაში იყვნენ მარია ფიოდოროვნასთან, მოხიბლულნი როგორც მისი ხელოვნებით, ნიჭით, ასევე – სილამაზითა და პი-

როვნული თვისებებით; პირველ რიგში – საქმისადმი, იდეისადმი ერთგულებით.

განვლო საუკუნემ. მარია ანდრეევას დღევანდელი იცნობს, როგორც მაქსიმ გორკის მეუღლეს, უახლოეს მეგობარსა და თანაშემწეს.

მამ ასე, მარია ანდრეევა მოსკოვის სამხატვრო თეატრის მსახიობია. თეატრი ყირიმშია გასტროლებზე. გადის იბსენის „ედა გაბლერი“. სპექტაკლს ჩეხოვი და გორკი ესწრებიან. მესამე აქტის შემდეგ სამსახიობო ოთახში ანტონ პავლოვიჩის ხმა ისმის:

– შეიძლება?! გაიცანით ალექსეი მაქსიმეს ძე გორკი. სურს, კომპლიმენტებით აგავსოთ... მე ბალში გავალ. თქვენთან სუნთქვა შეუძლებელია.

ეს ანდრეევასა და გორკის პირველი შეხვედრაა. ხმას ვერ იღებენ, ალბათ მოულოდნელობისგან, უცარი სიხარულისგან.

– საოცარია, – ფიქრობს ანდრეევა, – როცა კი მის მოთხრობებს ვკითხულობდი, ყოველთვის მეგონა, რომ თითქოს ჩემს გვერდითაა... ხედავს, რა იმალება სულში.

ეს ყოველივე უნდა, რომ გორკისაც უთხრას, მაგრამ მორცხვადაა, ხმას არ იღებს მაშინ, როცა შემოქმედებით მწვერვალზე იმყოფება, ყველას აჯადოებს თავისი ხიბლით, ჭკუითა და სილამაზით, „შეუდარებელს“ უწოდებენ, თაყვანისმცემლების ზღვა აკრავს.

კონსტანტინე სტანისლავსკი კმაყოფილია მონაფის შრომით. ჩვეული პირდაპირობით სწერს თავისი დასის წამყვან მსახიობს:

„როგორც მსახიობი, ქებითა და თაყვანისმცემლებით გათამამებული იყავით; სიამოვნებით ისმენდით კომპლიმენტებს და არა შენიშვნებს. ეს ბუნებრივიცაა. თქვენ დიდხანს არ იღებდით ჩემს შენიშვნებსაც და ეს მე მაფერხებდა. საბოლოოდ დაიმორჩილეთ

თქვენი თავი, გახდით ნამდვილი მსახიობი და არა გამრთობი. მე ვაფასებ ამ გამარჯვებას პატივმოყვარეობაზე, მარად დაგაფასებთ და მეყვარებით“.

მარია ანდრეევა ჩეხოვის „სამ დაში“ ირინას როლს ასრულებს. ჩეხოვი მადლობელია და ჩვეული სიტბოთი მოიკითხავს მსახიობს:

„მომწერეს, რომ შეუდარებელი ხართ, შესანიშნავად თამაშობთ. მიხარია – ბედნიერებას გისურვებთ“...

68 მარია ანდრეევას სახლი სტუმრებითაა სავსე. ელეგანტური დიასახლისი ამყად, თავანუელი ხვდება მათ, ოდნავ მონყენილი, ოდნავ დამცინავი, როგორც ყოველთვის. ყელიაბუჟსკების ოჯახში მოსკოვის ობერ-პოლიცემისტერი ტრეპოვი მობრძანდა, მარია ანდრეევას ტალანტის დიდი თაყვანისმცემელი. გენერლისჩინიანი პერსონა დიასახლისს ხელზე ეამბორა, ვერც კი წარმოიდგენდა, რომ გვერდით ოთახში იატაკქვეშელი ბაუმანი იქნებოდა დამალული, ამდენი ხანი რომ დასდევდა მისი დანესებულება.

ლეონიდ კრასინიც მოვიდა, ცნობილი ინჟინერი, ანდრეევასათვის უბრალოდ „ნიკიტიჩი“, ბოლშევიკური პარტიის წევრი. მარია ანდრეევას თხოვნით ის რუსეთის უმდიდრესმა ფაბრიკანტმა – სავა მოროზოვმა მიიღო სამუშაოზე.

უცნაური კაცია ეს მოროზოვი, ხელოვნების დიდი მოყვარული, მარია ანდრეევას აღმერთებს, თუმცა კი მფლანგველად მიიჩნევს – ის ხომ უკანასკნელ კაპიქსაც არ იშურებს რევოლუციისათვის. ეს მოროზოვმა იცის და ძალაუნებურად თვითონაც ბოლშევიკების მფარველი გამოდის, უარს ვერ ეუბნება საყვარელ ქალს (ალბათ ამიტომაც მის უსაფუძვლო მკვლელობაში ცოლმა ბოლშევიკებზე მიიტანა ეჭვი; მოროზოვი აღარ დაეხმარა მათ, რადგან მარია ანდრეევა, ბოლშევიკების ფინანსური აგენტი, თავისად ვე-

ღარ სცნო). მარია ანდრეევა კი ბოლშევიკებისათვის არა მხოლოდ ფულს შოულობს, ყალბ პასპორტებსაც, გადააქვს არალეგალური ლიტერატურა... ხანდახან იარალიც... ის რევოლუციონერია. ეს მხოლოდ რამდენიმე კაცმა იცის... იცის მოროზოვმა... იციან ბაუმანმა და კრასინმა... მათი მეშვეობით კი კიდევ ერთმა ადამიანმა – ლენინმა. ლენინს კარგად ესმის, რომ ადვილი არ არის ელიტარული ქალბატონის გზა პარტიამდე, მარქსიზმამდე, ქალბატონისა, რომელიც ზედმეტად ლამაზია, ახალგაზრდა, მოხდენილი, კოხტა და ცოტა მორცხვი. ასეთი გაიცნო იგი ლენინმა 1903 წელს შვეიცარიაში და ალტაცებით წარმოთქვა: „ფენომენი!“ ლენინის ეს დახასიათება მის პარტიულ ზედმეტსახელად იქცა.

რევოლუცია და ხელოვნება – ეს ორი რამ იყო მთელი მისი ცხოვრება!

სამხატვრო თეატრში ახალი სპექტაკლი იდგმება – გორკის „ფსკერზე“. ნატაშას როლს ანდრეევა ასრულებს. წარმატება დიდია. ავტორს იხმობენ და იხმობენ სცენაზე. დაბნეული და ბედნიერი სახე აქვს გორკის, სცენაზე გასვლა არ უნდა, თითქმის ხელისკვრით გაჰყავთ. კმაყოფილია ანდრეევაც. გორკის მოენონა მისი თამაში. თვალცრემლიანი მივიდა მსახიობთან, ხელი მაგრად ჩამოართვა და მადლობა გადაუხადა. ანდრეევა კი... – ანდრეევა გადაეხვია და პირველად აკოცა, იქვე, სცენაზე, ყველას თვალწინ.

სპექტაკლის შემდეგ გორკიმ სტუმრები რესტორან „ერმიტაჟში“ დაჰატიჟა. სწორედ იქ, რესტორანში, აუხილა თვალი სავა მოროზოვმა მარია ანდრეევას.

– მეგობარო, თავს გაუფრთხილდით, თქვენ იწყებთ მის შეყვარებას (საუბარია მაქსიმ გორკიზე)... თქვენი ხასიათის პატრონი რას არ მოიმოქმედებს, ჯანდაბაში მოისვრის ყველაფერს – გენერალსაც, ოჯახსაც და თეატრსაც, რაც ყველაზე ცუდი იქნება...

ეს სინამდვილე იყო. სასიხარულოცა და მტკივნეულიც. საეკლესიო ქორწინების დარღვევა არც გორკის და არც მარია ანდრეევას არ შეეძლოთ. გორკის ცოლი ჰყავდა, მარია ანდრეევა გათხოვილი იყო. სამოქალაქო ქორწინებით მათ გამოწვევა ესროლეს საზოგადოებას და საზოგადოებამაც (უმადლესმა) ზურგი აქცია. ჟანდარმერიის უფროსმა, ნინა დღით ხელებს რომ უკოცნიდა მსახიობს, თითქოს ვერ სცნობსო, ისე ჩაუარა სადგურზე. ბევრმა გაკიცხა და მასთან ახლობლობა შეწყვიტა...

ის წელი, მათი შეუღლების წელი – ყველაზე სამახსოვრო და ბედნიერი იყო ორივესთვის. ყირიმში, ზღვის ნაპირას, გაატარეს თაფლობის თვე. ახალ წელს ფინეთში შეხვდნენ, მეგობრების წრეში: სტასოვთან, შალიაპინთან, კუპრინთან და ლეონიდ ანდრეევთან ერთად. მათ გვერდით რეპინი ცხოვრობდა. რეპინი უახლოესი ადამიანი იყო; მარია ფიოდოროვნას მშობლების (მამა – ალექსანდრინის თეატრის მთავარი რეჟისორი, დედა – მსახიობი ლელევა) მეგობარი. მათი ულამაზესი ქალიშვილის პორტრეტები ადრეც შეუსრულებია, როცა მამა 8 წლის, შემდეგ კი 12 წლის იყო, ახლა კი 37 წლის მარია ანდრეევას პორტრეტს ასრულებდა.

მარია ვერანდაზე ზის, სპეციალურად შემადლებულ ადგილას, სადღაც შორს იხედება, ჩაფიქრებულია. რეპინის ფუნჯსაც კი უჭირს მის ხასიათში შეღწევა. ანდრეევას ფეხებთან მაქსიმ გორკი ჩამომჯდარა, შავ კიტელსა და ჩექმებში. სულ მთლად ახალგაზრდაა. ორივეს რაღაც ადარდებს...

გორკის პიესები ძველებურად აღარ იდგმება სამხატვრო თეატრში, სხვანაირად ალაპარაკდნენ: „გვეყოფა ამდენი გორკი“...

ჩვეული პირდაპირობით იწერება სტანისლავსკი: „ძვირფასო მარია ფიოდოროვნა! შევიტყვე თქვენი გადანყვეტილების – თეატრიდან წასვლის – შესახებ და ძალიან მენყინა. არანაკლე-

ბი მწუხარებით აღვიქვამ, რომ ჩემი რჩევა ახლა უადგილო და უაზროა. აღარაფერი დამრჩენია იმის გარდა, რომ მენყინოს და გავჩუმდე...”

მარტოსულად იგრძნო თავი მარია ფიოდოროვნამ. თეატრიდან წასვლა მისთვის დიდი ტრაგედიაა, ყველაზე უფრო დიდი, თვით ოჯახის დატოვებაზეც კი. განსაცდელს განსაცდელი მოსდევს. მარია ანდრეევა მძიმედ ავადაა. ექიმებს ეჭვი ეპარებათ, გადარჩება თუ არა. გორკი პეტერბურგშია, თვითონ – რიგაში. იღებს ქმრის დეპეშას:

„ხვალ შენთან ვიქნები. გამაგრდი. უფრო ადრე მატარებელი არ გამოდის. ძალები მოიკრიბე. დამელოდე. მიყვარხარ. გაფასებ. მთელი გულით შენთან ვარ. ალექსეი. 10 იანვარი, 1905 წ.“ 9 იანვრის ტრაგიკულ დღეს გორკი სასახლის მოედანზე იყო. 11 იანვარს ცოლთან გაემგზავრა, მაგრამ სულ 1 დღე მოუწიათ ერთად ყოფნა. რიგაში გორკი დააპატიმრეს და პეტრე-პავლეს ციხეში უკრეს თავი, როგორც ბოროტმოქმედს. 30-დღიანი პატიმრობის შემდეგ ის კვლავ რიგაში დაბრუნდა. გამალებული მუშაობდა. მალე ცოლ-ქმარი მოსკოვში გადავიდა, სადაც მრავალი გეგმა ჰქონდა. ანდრეევა თეატრში აპირებდა დაბრუნებას, გორკი ლიტერატურული ცხოვრების გაგრძელებაზე ფიქრობდა. ოცნებები დავინწყებას მიეცა. რუსეთი რევოლუციამ მოიცვა. მოკლეს ბაუმანი, „დრუჟინიკები“ ბარიკადებზე აღიმართნენ. მარია ფიოდოროვნა პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და მოსკოვის სამხედრო-ტექნიკურ ბიუროს შორის მეკავშირედ დაინიშნა და საკმაოდ სახიფათო დავალებებს ასრულებდა... დაიწყო დაპატიმრებები, აჯანყების მონაწილეთა ანგარიშსწორება; ამიტომ პარტიამ გადაწყვეტილება მიიღო, გორკი ემიგრაციაში გაეგზავნა. როგორც იქნა, დაითანხმეს ერთი პირობით, რომ მარია ანდრეევა მასთან

ერთად წავიდოდა – ეს ნიშნავდა სცენის, ქვეყნისა და შვილების დატოვებას...

...ამერიკა თბილად შეხვდა მწერალს. საბანკეტო დარბაზში გამართულ შეხვედრას მარკ ტვენი დაესწრო. მალე პოლიტიკურმა ბრძოლამ ბოლშევიკური პარტიის დისკრედიტაციით ამერიკაშიც გადაინაცვლა და პრესაში გაჩნდა სტატიები გორკისა და ანდრეევას ამორალური ცხოვრების შესახებ. რაიმე განმარტების მიცემა გორკიმ თავისი ღირსებისათვის შეურაცხმყოფელად მიიჩნია. ისინი სასტუმროდანაც გამოაძევეს, მაგრამ გამოჩნდნენ ადამიანები – ცოლ-ქმარი მარტინები – რომლებიც გაჭირვების დროს მხარში ამოუდგნენ, შეიფარეს, მასპინძლობა გაუწიეს. გორკი და ანდრეევა მარტინების აგარაკზე, აღირონდაკის მთებში, დასახლდნენ.

ამერიკას მოჰყვა კუნძული კაპრი. აქ უფრო მეტი ურთიერთობა ჰქონდათ რუსეთიდან ჩამოსულ სტუმრებთან. თვითონ იტალიელი ხალხიც გულლია იყო და სიყვარულით მიიღო ცოლ-ქმარი. ბევრისათვის მარია ანდრეევა „რუსების დედა“ იყო, როგორც მას კაპრიზე შეარქვეს; ხოლო, ვინც მას ადრე იცნობდა, ყველას უკვირდა, თუ როგორ განირა ყველაფერი და გახდა ჩვეულებრივი მდივანი, მემანქანე, თარჯიმანი.

თითქოს მარია ანდრეევას ფარული აზრების კვალდაკვალ კაპრიზე სტანისლავსკი ჩამოდის. ღია ფერის კოსტიუმში გამოწყობილი სულ მთლად გათეთრებული სტანისლავსკი ისევ ახალგაზრდულად გამოიყურება, კოხტა და არტისტულია. გორკი და მარია ფიოდოროვნა გემთან ხვდებიან ნავით. სტანისლავსკიმ კიდევ უფრო ააფორიაქა მარია ანდრეევა, დაუტოვა სამახსოვრო ფოტო წარწერით: „ძვირფას მარია ფიოდოროვნას სულიერი მეგობრისაგან. მჩქეფარე მუშაობით, ასრულებული და აუსრულებელი იმედების, წარმატებებისა და ჩავარდნების, აღტაცებისა და

იმედგაცრუების, არამტკიცე ჩხუბებისა და ურყევი შერიგებების სამახსოვროდ".

ემიგრაციაში მცხოვრები გორკი და მისი მეუღლე არ წყვეტენ რევოლუციასთან კავშირს. მათი მეგობრობა ლენინთან დიდი ხნით ადრე დაიწყო. 1905 წელს პეტერბურგში ანდრეევამ გამოსცა პირველი ბოლშევიკური გაზეთი – „Новая жизнь“. მან იცოდა, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ გაზეთს ლენინისათვის, თუმცა რისკი საკმაოდ დიდი იყო. ერთხელ მარია ფიოდოროვნა რედაქციაში გორკისთან ერთად მივიდა. მათ ლენინი მიეგებათ. მეგობრულად ჩამოართვეს ერთმანეთს ხელი. ლენინი მხიარულად იცინოდა. გორკი კი იმეორებდა: „აი თურმე როგორი ყოფილხართ, მოხარული ვარ, მოხარული“. ეს იყო მათი პირველი შეხვედრა.

ლენინი ცოლ-ქმარს კაპრიზეც ესტუმრა. იმ ხანებში გორკისთან ცხოვრობდნენ ბოგდანოვი, ბაზაროვი, ლუნაჩარსკი. ე.წ. Впередовцы. რელიგიური მრწამსი რევოლუციისათვის უცხო იყო. მათთან სიახლოვეს ლენინი გორკის შეცდომადაც უთვლიდა. მიაჩნდა, რომ მის სახელს იყენებდნენ.

ლენინის ნასვლის შემდეგ ურთიერთობა ცოლ-ქმარს შორის დაიძაბა. რაც დრო გადიოდა, მით უფრო მძიმედ განიცდიდა გორკი შვილთან განშორებას, შვილთან, რომელიც უმამოდ იზრდებოდა. ამას დაემატა მაქსიმის ავადმყოფობაც, საჭირო გახდა კლიმატის შეცვლა. „სანამ მარია ფიოდოროვნა კაპრიზეა, ჩემი შვილი იქ არ ჩავა“, – ასეთი იყო მაქიმის დედის ულტიმატუმი.

მარია ფიოდოროვნამ კარი დატოვა. რუსეთში ვერ დაბრუნდა, რადგან მასზე საქმე იყო აღძრული „Новая жизнь“-ის გამოცემის გამო, ამიტომ იძულებული იყო ფინეთში სხვისი პასპორტით ეცხოვრა. მხოლოდ კარგა ხნის შემდეგ, მხატვის მსახიობთა ჯგუფის მოთხოვნითა და შუამდგომლობით, მას ნება დართეს რუ-

სეთში დაბრუნებულიყო და კიევის თეატრში ემუშავა. „კიევში ითამაშოს. კიევი ეს მოსკოვი და პეტერბურგი არაა“, – ლიბერალის როლი ითამაშა ჟანდარმერიის უფროსმა.

ანდრეევა კვლავ სცენაზეა. აპლოდისმენტებით ინგრევა დარბაზი... მიუხედავად მარია ფიოდოროვნას დიდი წარმატებისა, მისი მყარი გადანყვეტილებისა, რომ აღარ მოშორდეს სცენას, გორკი კვლავ სთხოვს დაბრუნებას და ისიც თავს ანებებს ყველფერს და მასთან მიემგზავრება. გორკი გამხდარია, თავს ცუდად გრძნობს, სამშობლო ენატრება. მარია ფიოდოროვნა ყოველივეს ახერხებს – ალექსეი მაქსიმოვიჩს ხელს არ ახლებენ. 1913 წელს ისინი რუსეთში ბრუნდებიან.

1917 წელი, ოქტომბრის რევოლუცია, დიადი ლენინი... მარია ანდრეევა მსახიობობიდან თეატრებისა და სანახაობათა კომისარი ხდება. კომისრობა ადვილი არ არის. თეატრი ხალხის მასებში უნდა შევიდეს, საბჭოთა თეატრის ჩამოყალიბებაა საჭირო, საბჭოთა პიესები კი ჯერ არ შექმნილა, იდგმება ძველები. დიდი თეატრის ხელმძღვანელად ბლოკს ნიშნავენ. ანდრეევა მას მუდმივ თანადგომას ჰპირდება. გვიან ღამით დაღლილი მარია ფიოდოროვნა ლენინს წერილებს წერს, დახმარებასა და რჩევას სთხოვს, ჩადის მასთან მოსკოვში. რამდენჯერაც ჩავა, ლენინი თავის მანქანას ათხოვებს, რომ ქალაქში იაროს. ერთხელაც მარია ფიოდოროვნას დაბრუნება დააგვიანდა. ლენინი წასასვლელია. გაბრაზებულმა კომენდანტმა განაცხადა, რომ ანდრეევას მანქანას აღარ ათხოვებს. ილიჩს ეცინება: „თავი დაანებეთ მარია ფიოდოროვნას... მას ისეთი კავშირები აქვს, რომ...“

პეტერბურგში ცხოვრების 7 წლის შემდეგ ანდრეევასა და გორკის პირადი ურთიერთობა კვლავ ირევა, როგორც კაპრიზე. გორკის ჩასჩინებენ, რომ მარია ფიოდოროვნა კომისარია, მის-

თვის არ სცალია, გორკისთვის შეურაცხმყოფელია, „დამამცირებელია“ მისი ცოლობა, მისი პიროვნება. მარია ფიოდოროვნამ ეს ყველაფერი იცის, მაგრამ თავის თავზე არ ფიქრობს. გორკის უნდა უშველოს ნებისმიერ ფასად, მოაშუროს იმ ადამიანთა წრეს, რომელიც სიცოცხლეს უნამლავს. დახმარება მხოლოდ ლენინს შეუძლია. ანდრეევა მას ნერილს სწერს, რომელიც 1920 წლის 23 აგვისტოთია დათარიღებული:

„სიამოვნებით გნახავდით ისე, რომ „საქმეზე“ არ გველაპარაკა... წინაზე ფერმკრთალი მომეჩვენეთ, გამხდარიც... ნუთუ არ შეგიძლიათ, ჩვენთან ჩამოხვიდეთ თუნდაც ერთი კვირით? ისე დაგმალავდით, რომ... ვერავინ გაიგებდა, სადა ხართ. ვითევა-ვებდით ახალ ლადოგაზე. კარგი არ იქნება?.. ალექსეისთვის აუცილებელია ახალი შთაბეჭდილებები. თუ ის ღრუბლებში იჯდება იმათთან ერთად, ვისთანაც ახლა ცხოვრობს, ჭკუიდან გადავა. თქვენც მრავალჯერ გითქვამთ ეს...“

ლენინი მაშინვე მიუხვდა მარია ფიოდოროვნას და შეუსრულა კიდეც თხოვნა ერთგულ მეგობარს. მკაცრი და თბილი ნერილი მისწერა გორკის, ურჩევდა, ევროპაში სანატორიუმში წასულიყო სამკურნალოდ. გორკი გერმანიაში გაემგზავრა. მასთან ერთად ანდრეევაც. ახლა გერმანიიდან სთხოვს მარია ფიოდოროვნა ვლადიმერ ილიჩს დახმარებას: უცხოეთში ცხოვრება ძნელია, მკურნალობა დიდ თანხებს საჭიროებს, გორკის ამის შესაძლებლობა არა აქვს. ლენინი მაშინვე ხაზს უსვამს გორკის მძიმე მატერიალურ მდგომარეობას და კვლავ ეხმარება. საზღვარგარეთ მარია ფიოდოროვნას ახალი თანამდებობა უკავია. ის კინემატოგრაფისტთა საქმეების რწმუნებულია, საბჭოთა კინოს სახელი საზღვარგარეთ გააქვს. ეს მისთვის ახალი და საინტერესო საქმეა.

გერმანიაში გორკი და ანდრეევა კვლავ დაშორდნენ ერთმანეთს. ამჯერად უკვე სამუდამოდ... მათი სახლები თითქმის გვერდიგვერდ დგას, აგრძელებენ მეგობრობას, საერთო აქვთ სიხარული და მწუხარება. ერთად დაიტირეს ლენინიც...

გერმანიაში 3 წლის ცხოვრების შემდეგ მარია ანდრეევა მივლინებით ბრუნდება მოსკოვში. ცოტა ხანში ჩამოდის გორკიც. მოსკოვში მათი ცხოვრება ისე აეწყო, რომ იშვიათად ხვდებიან ერთმანეთს. კვლავ აგრძელებენ მეგობრობას, აქვთ მიმონერა, მათი წერილები სიყვარულით და სითბოთია სავსე:

76

„ჩემო ძვირფასო! გილოცავ დაბადების დღის საიუბილეო თარიღს. იცი, რომ მხოლოდ დიდი სინაზით ვფიქრობ შენზე. ბებერი გული არ იკარებს სიბერეს და შენდამი სიყვარულით ძველებურად დიდი სიძლიერით ფეთქავს, იმ ადამიანისადმი სიყვარულით, რომელიც, რაც არ უნდა იყოს, ჩემი ცხოვრების უდიდესი ნაწილის მეგობარია. მარია ანდრეევა“

სპარსული მოტივები



ესენინი ოცნებობდა სპარსეთზე. სურდა, ჩაესუნთქა შირაზის ჰაერი, ჩამომჯდარიყო დიდებული პოეტების – ჰაფეზის, საადის, ხაიამის – საფლავებთან. სწამდა, რომ მოხდებოდა საოცრება. მისი სული გამოეხმაურებოდა ვარდების ქვეყანაში ნანახსა და გაგონილს. ეს იდეა ესენინისთვის ცხოვრების აზრად იქცა. აღმოსავლეთში მოსახვედრად მას რამდენიმე მცდელობა ჰქონდა. ხან ბაქოდან, ხანაც თბილისი-ბათუმიდან ცდილობდა გაღწევას. დახმარებას ჰპირდებოდნენ, მაგრამ შედეგი არ ჩანდა.

ესენინს ჩაფიქრებული ჰქონდა, შეექმნა „სპარსული მოტივების“ ციკლი. იდეა სპარსეთზე ოცნებასთან ერთად დაიბადა. ეს ციკლი უნდა გამხდარიყო მისი შემოქმედების მწვერვალი.

1921 წლის მაისში ესენინი ტაშკენტში ჩავიდა. ეს იყო მისი პირველი შეხვედრა აღმოსავლეთთან; მაგრამ ტაშკენტში მას მაინც არ დაუნერია ლექსები სპარსეთზე. ეს პერიოდი ძიების ხანად შეიძლება მივიჩნიოთ; ამ დროს აწენილი აქვს პირადი ცხოვრებაც. ის საბოლოოდ წყვეტს კავშირს აისიდორა დუნკანთან; მხოლოდ 1924 წლის ოქტომბერში, თბილისში, ქმნის ესენინი ორ ლექსს „სპარსული მოტივებიდან“ და აგზავნის მოსკოვში. მათ-

ში ჩნდება აღმოსავლელი ლამაზმანის სახე, თეირანის ლურჯი ფერები, შირაზის ხალიჩები და ხორასნული შალები, რომლებიც პოეტს არასდროს უნახავს. სპარს ქალს აღმოსავლური სახელი ჰქვია – ლალა; მისი სახე მოკლებულია კონკრეტულობას.

„Я спросил сегодня у менялы,
Что дает за полтумани по рублю,
Как сказать мне для прекрасной Лялы
По-персидски нежное „люблю“?
Я спросил сегодня у менялы
Легче ветра, тише Ванских струй,
Как назвать мне для прекрасной Лялы
Слово ласковое „поцелуй“?“

თბილისს მოსდევს ბათუმი – ევკალიპტები, პალმები, იაპონური კამელიები, ბურქები დახუნძლული წითელი ბუტონებით – აქ იყო ყველაფერი, ახალი და უჩვეულო თვალისათვის; მაგრამ ამ ეგზოტიკამ ვერაფრით მოხიბლა ესენინი. „ორანჟერიასავითა“, – თქვა გულგრილად. სასტუმროდან არც კი გამოდიოდა, მუშაობდა. დრო და აღბათ გრძნობა იყო საჭირო, სხვა თვალთ რომ ეხილა ბათუმი და თავის ფანტაზიაში შექმნილი „სპარსული მოტივები“ ამ ქალაქში გაეცოცხლებინა. და აი, 1924 წლის 20 დეკემბერს ესენინი წერს და მოსკოვში აგზავნის კიდევ ორ ლექსს „სპარსული მოტივებიდან“. ესენია: „Шаганы ты моя, Шаганы...“ და „Ты сказала, что саади...“ პოეტი სიყვარულითა და სინაზით მიმართავს სპარს შაგანეს, რომლის სახეც, ლალასგან განსხვავებით, კონკრეტულია და თავისთავადი: შაგანე ჭკვიანი და სერიოზულია, მხიარული და სიტყვამახვილი, უყვარს ხუმრობა. ის ძალიან ჰგავს პოეტისათვის კარგად ნაცნობ, ჩრდილოეთში მცხოვრებ გოგო-

ნას. ლექსში არ გვხვდება რიტორიკული სიყვარულის ახსნა, სტროფიდან სტროფში მატულობს ლირიზმი, რაც მიიღწევა სპარსი ქალის სახელის გამოვრებით. ეს სახელი პოეტისათვის თითქოს მიმზიდველია, თანაც ახალია, როგორც უღერადობით, ასევე ემოციურად.

მეორე ლექსში „Ты сказала, что Саади...“ შაგანე მისთვის საყვარელი ადამიანი ხდება. მისი სილამაზის გადმოსაცემად ესენინი მიმართავს სპარსულ პოეზიაში გავრცელებულ სატრფოს ვარდთან შედარებას – ყველა ვარდი უნდა განადგურდეს, რათა ვერავინ შეძლოს შაგანეს მეტოქეობა:

„Я б порезал розы эти,
Ведь одна отрада мне —
Чтобы не было на свете
лучше милой Шаганэ“.

ჰყავდა თუ არა შაგანეს პროტოტიპი და ვინ იყო ის – ამის შესახებ მკითხველმა 1959 წლამდე არაფერი იცოდა. შაგანეს რეალურად არსებობის ეჭვს აღძრავდა ახალგაზრდა ქალის ფოტოსურათი, რომელიც ესენინის არქივში ინახებოდა და უკანა მხარეს „შაგანე“ ეწერა. რას ნიშნავდა ეს წარწერა? ნუთუ გაიხუმრა ვილაცამ? საიდან გაჩნდა ეს ფოტო ესენინის არქივში? – ამ კითხვებმა და რეალური პიროვნების – შაგანეს – ძიებამ ესენინის შემოქმედების ცნობილი მკვლევარი ვლადიმერ ბელოუსოვი ბათუმში ჩაიყვანა, სადაც მან პოეტის თანამედროვე და ნაცნობი 5 კაცი აღმოაჩინა. მათ დაუდასტურეს, რომ ბათუმში ესენინი ხვდებოდა დაწყებითი სკოლის პედაგოგს, ეროვნებით სომეხ შაგანეს, რომელიც 1925 წლიდან ერევანში გადასულა საცხოვრებლად. მათ იცოდნენ იმ ლექსების შესახებაც, რომლებიც პოეტმა შაგანეს უძღვნა.

შაგანეს ძიებამ ერევანში გადაინაცვლა. მკვლევარს შაგანეს და გამოეხმაურა, რომელმაც აუნყა მას შაგანეს მისამართი, შემდეგ კი თავად შაგანე ტალიანმა გამოუგზავნა მას მოგონებები ესენინზე, აგრეთვე პოეტის მიერ ნაჩუქარ წიგნზე გაკეთებული წარწერისა და ესენინის ხელნაწერი ლექსის ფოტოასლები, მოგვიანებით კი – თავისი ბიოგრაფია და ახალგაზრდობაში გადაღებული 4 ფოტოსურათი, რომელთაგან ერთი დაემთხვა ესენინის არქივში აღმოჩენილ ფოტოს.

შაგანეს ავტობიოგრაფიიდან ირკვევა, რომ მისი სრული სახელი შაგანდუხტია, შემოკლებით და მოფერებით ბავშვობიდან შაგას ან შაგანეს ეძახდნენ. თერთმეტი წლისამ დედა დაკარგა, ცხრამეტისამ – მამა. ამ დროისათვის მან მხოლოდ გიმნაზიის დამთავრება მოასწრო. ახალგაზრდა ქალი ბოლშევიკებს მიეკედლა. კეთილსინდისიერად ასრულებდა სხვადასხვა, საკმაოდ რთულ დავალებას; ძირითადად მეკავშირის როლი ჰქონდა. 1920 წელს მან პედაგოგიური კურსები დაამთავრა და მოსამზადებელ ჯგუფებში ბავშვებს ასწავლიდა. იყო წყნარი და მკაცრი, ამავე დროს მომთხვონი. 1921 წელს შაგანე გათხოვდა. ეყოლა ბავშვი. თითქოს აენყო მისი ცხოვრება, მაგრამ კვლავ უბედურება დაატყდა. სამი წლის თანაცხოვრების შემდეგ ქმარი გარდაიცვალა. შაგანე მარტოხელა დედა გახდა. მაშინ ის თბილისში ცხოვრობდა, სადაც ვერ მოახერხა სამსახურის დანყება და ბათუმში გადავიდა დასთან. შაგანე ბათუმში სომხურ სკოლაში მოენყო ნული ჯგუფის მასწავლებლად. დებს საკმაოდ პატარა ოთახი ეკავათ. შაგანე შვილის აღზრდას და მუშაობას ერთდროულად ვერ ახერხებდა, ამიტომ ბავშვი თავისი მეორე დის – აშხენის – ოჯახში გააგზავნა.

და აი, უკვე რამდენიმე თვეა, რაც მუშაობს... თითქოს ისევ აენყო ცხოვრება და... გამოჩნდა ვიღაც უცნობი კაცი, რომელიც ჯერ სკოლის წინ დახვდა, მერე კი უცერემონიოდ გამოედევნა

სახლამდე. შაგანესათვის ადვილი მისახვედრია, რომ ის არც ბათუმელი და არც თბილისელია, რუსეთიდან ან საზღვარგარეთიდან უნდა იყოს ჩამოსული; მამაკაცისთვის საკმაოდ მომხიბვლელი გარეგნობა აქვს... მაგრამ, არა... შაგანესათვის შემთხვევითი ნაცნობობა მიუღებელია. მას ხელი აქვს ალებული თავის პირად ცხოვრებაზე. ბავშვი ჰყავს აღსაზრდელი. 25 წლისა თავს ხანდაზმულად თვლის. სინამდვილეში ეს სულაც არ არის ასე... შაგანემ სწრაფად გაიარა ქუჩა, სახლში შევიდა, სარკეში ჩაიხედა და გადაიხარხარა – ვერანაირად ვერ უწოდებდა თავის თავს ხნიერს.

ურცხვად მოთვალთვალე კაცი სერგეი ესენინი აღმოჩნდა. შაგანე მას ადგილობრივი გაზეთის ჟურნალისტმა – პოვიცკიმ – გააცნო. სალამობით ერთად სეირნობდნენ ბულვარზე: ესენინი, პოვიცკი, შაგანე და მისი და კანია. პოვიცკიმ თავის სახლში პოეზიის სალამო გამართა. ჟურნალისტებთან და ახალგაზრდა ლიტერატორებთან ერთად დებიც მიიწვიეს.

სალამოზე ესენინი თავის ლექსებს კითხულობდა. ახალგაზრდა ქალები მისკენ ილტვოდნენ. მას კი მხოლოდ შაგანე აინტერესებდა. ერთი ჟურნალისტი იქით გადასვა, თვითონ შაგანეს გვერდით დაჯდა და მოეხვია. შაგანე პროტესტულად გაიწია. ძლივს დაელოდა სალამოს დასრულებას, ერთი სული ჰქონდა, წასულიყო. პოვიცკიმ და ესენინმა დები სახლამდე მიაცილეს. შაგანე ცივად გამოემშვიდობა მათ.

მეორე დღეს სკოლიდან გამოსულმა ისევ იმავე ადგილას ატყუული ესენინი შენიშნა. გაღიზიანებამ უმალ გადაუარა; ესიამოვნა.

– „ზღვაზე შტორმია“, – თქვა პოეტმა, თითქოს შეწყვეტილი საუბარი გააგრძელო, – „არ მიყვარს ასეთი ამინდი. სჯობს, ლექსებს წაგიკითხავთ“.

დღილიდან უინჟლავდა. ესენინს ლურჯი მაკენტოში მოესხა და თავზე შლაპა ეხურა. ისინი ბულვარისაკენ გაემართნენ. პოეტმა ახალი

ლექსი წაუკითხა – „Шаганэ ты моя, Шаганэ...“ შაგანე ამ ლექსის პირველი მსმენელი იყო. ესენინი დაინტერესდა, მოეწონა თუ არა. ქალმა თავი დაუქნია, მხოლოდ გაკვირვება გამოხატა, ლექსის თემასთან მას რა კავშირი ჰქონდა? ესენინმა მოკლედ აუხსნა, რომ ეს ლექსი შედიოდა „სპარსული მოტივების“ ციკლში, სადაც მთავარი გმირი სპარსი ლამაზმანი ლალა იყო. ახლა კი პოეტი მას შაგანეს არქმევდა. შემდეგ ჰკითხა, წაუკითხავს თუ არა ბათუმის გაზეთში დაბეჭდილი მისი „სპარსული მოტივები“. პასუხს არ დაელოდა და გააგრძელა, რომ დაბეჭდილიდან ისე ვერ აღიქვამდა, როგორც თავად პოეტი წაუკითხავდა და ესენინმა თბილისში დაწერილი ამ ციკლის პირველი ორი ლექსი შაგანეს ხმამაღლა წაუკითხა.

...კითხულობდა არტისტულად. მას სუნთქვაშეკრული უსმენდა ხოლმე ხალხით გაჭედილი დარბაზი. მხატვრული კითხვის დიდოსტატი იყო, მისი ლექსი კი უსაზღვროდ მუსიკალური (გამოქვეყნებამდე ხშირად კითხულობდა, რომ სმენით შეესწორებინა).

...შაგანე მონუსხული უსმენდა. ასეთი გრძნობით კითხვა მას არასდროს ენახა და არც მოესმინა. ჰკითხა, ვინ იყო ლალა? პოეტმა უპასუხა, რომ ეს გამოგონილი სახელი იყო. შაგანემ არ დაუჯერა, მხოლოდ მოგვიანებით დარწმუნდა, რომ პოეტი სიმართლეს ამბობდა. იმ დღეს ესენინმა მას „შაგანეს“ ავტოგრაფი აჩუქა.

ისინი ხვდებოდნენ ერთმანეთს. – „ყოველთვის ყვავილებით მოდიოდა“, – იხსენებს შაგანე, – „ხან ვარდებით, უფრო ხშირად ყოჩივარდებით“. დადიოდნენ ბათუმის ქუჩებში, პარკში. შესამჩნევი წყვილი იყო. კაცები თვალებით აცილებდნენ, ქალები ჩუმად უთვალთვალებდნენ.

საინტერესოა, რამ გადარია, ასე რამ მოხიბლა ესენინი?! შაგანე მღელვარებით ისმენდა პოეტის ლექსებს, მოსწონდა, იგებდა მათ, მაგრამ არასდროს ქედს არ უხრიდა პოეტის პოპულარობას. ეს სიამოვნებდა ესენინს. შაგანე მოკლედ და კონკრეტულად ეუბნებოდა

თავის აზრს ლექსებზე, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე. ესეც ხიბლავდა ესენინს, თვითონაც არ უყვარდა ბევრი ლაპარაკი.

შაგანე შინაგანად მართლაც აღმოსავლელი ქალის ტიპი იყო. მხიარული, ცხოვრების მოყვარული. ხშირად იცინოდა, ხუმრობდა ესენინის სპარსი პოეტებით გატაცებაზე, ამ პოეტების ქალისადმი დამოკიდებულებაზე. პირდაპირობა, რომლითაც შაგანე თავის აზრს წარმოაჩენდა, დიდ გავლენას ახდენდა პოეტზე.

სულიერმა სისუფთავემ, აგრეთვე საკუთარი მდგომარეობის გონიერულმა შეფასებამ დაიფარა შაგანე მცდარი ნაბიჯის გადადგმისაგან ესენინთან დამოკიდებულებაში. მათ შორის მუდამ იყო ურთიერთპატივისცემა, მეგობრობა და ამ გრძნობებს ძალაუნებურად დაქვემდებარებული სიყვარული. ესენინმა შაგანეს ნაამბობიდან იცოდა მისი რთული ცხოვრების შესახებ და კიდევ უფრო აფასებდა მას.

იმ დღეებში პოეტმა შაგანეს მეორე ლექსიც უძღვნა – „Ты сказала, что Саади...“ ხოლო შემდეგ ეს ლექსი თავისი ფოტოს უკანა მხარეს დანერა და შაგანეს აჩუქა ლექსების კრებულთან ერთად, რომელსაც ასეთი წარწერა გაუკეთა, შესაბამისი მათი ურთიერთობის: „Дорогая моя Шагане, Вы приятны и милы мне. С.Есенин. 4.1.25, г. Батум“.

ესენინმა ისევ ვერ მოახერხა სპარსეთში წასვლა. ამ ციკლის ლექსები კი მაინც იქმნება. მათში ცოცხლობს სპარსი ლამაზმანი შაგანე, რომელიც უმსუბუქებს პოეტს სპარსეთის უნახაობის დარდს. შაგანე მშვენიერია, ის მის გვერდითაა, განა ეს ცოტას ნიშნავს პოეტის ცხოვრებაში? და იქმნება სიყვარულის პოეტიკის ისტორიაში სრულიად საოცარი სტროფები:

Я сюда приехал не от скуки —

Ты меня, незримая, звала.

И меня твои лябязжи руки
Обвивали, словно два крыла.
„Никогда я не был на Босфоре...“

სპარსული ციკლის მომდევნო ლექსებში აღარ ჩანს სახელი შაგანე, ის შეცვლილია „შენ“ ნაცვალსახელით. თითოეულ ლექსს პოეტი შაგანეს უკითხავს. გრძელდება მათი შეხვედრებიც. ერთ-ერთ მეგობარს კიდევაც სწერს წერილში: „Завел новый роман“. ეს, რა თქმა უნდა, სიტყვაზეა ნათქვამი, სინამდვილეში მათი სიყვარული მეგობრობას უმსგავსება. ესენინი თავის გრძნობებზე აღარ ლაპარაკობს. შაგანემ მის სიყვარულს შვილზე ზრუნვა არჩია. ამის შესახებ კი ჩვეული პირდაპირობით უთხრა.

1925 წლის 20 თებერვალს ესენინმა დატოვა ბათუმი. შაგანე და პოეტი ერთმანეთს სამუდამოდ დაშორდნენ. მოსკოვში დაწერილ ლექსებში კვლავ ჩნდება სახელი შაგანე. პოეტი სიყვარულით იხსენებს იმ „ლამაზ განცდებს“, რაც მას ამ ქალმა მიანიჭა. აღარც კი იცის, რისთვის უნდა პოეტობა, თუკი შაგამ ის უარყო. არ შეუძლია მისი დავიწყება. შეიძლება ითქვას, რომ შაგანესადმი მიძღვნილი სტროფები ესენინის შემოქმედებაში აღემატება ყველა სხვა დანარჩენი ქალისადმი მიძღვნილ გრძნობებს.

მოსკოვიდან ესენინი კვლავ ბაქოშია. აქვს იმედი, რომ სპარსეთში გაამგზავრებენ. კიდევ მოხერხდა თითქოს ყველაფერი. მაგრამ წინააღმდეგი კიროვი აღმოჩნდა. ის კარგად იცნობდა ესენინის პოეზიას, ესმოდა მისი ნიჭის მნიშვნელობა რუსეთისათვის, სმენოდა პოეტის გაუნონასწორებელი ხასიათის შესახებაც და ნახევრად ფეოდალურ, მკაცრი დოგმების ქვეყანაში მისი გამგზავრება სახიფათოდ მიიჩნია. ამიტომ გასცა ბრძანება, საბჭოთა კავშირშივე შეექმნათ მისთვის სპარსეთი. ეს იდეა განხორციელდა ბაქოსთან ახლოს, მარდა-

კიანში, ხანის ყოფილ, ერთ-ერთ საუკეთესო, აგარაკზე – უზარმაზარი ბალით, ფანტანებით და ყველანაირი აღმოსავლური მოწყობით.

1925 წლის მაისში ესენინი კვლავ მოსკოვში დაბრუნდა და ცოლად შეირთო ლევ ტოლსტოის შვილიშვილი – სოფია ანდრეევნა. ისინი ერთად მიემგზავრებიან ბაქოში ხანის აგარაკზე. აქ ესენინი აგრძელებს და ასრულებს სპარსულ მოტივებს (ეს მისი ბოლო შეხება იყო აღმოსავლეთთან). ის კვლავ უბრუნდება სიყვარულის თემას და შესაბამისად შაგანეს სახეს. თუმცა ესენინს შაგანე უკვე აღარ უნახავს. ავტოგრაფიული მომენტები ამ ლექსებში უკვე ნაკლებად ისახება. ვარდი მოუთხრობს პოეტს შაგანეს ლალატის შესახებ.

86

„Лепестками роза расплескалась,
Лепестками тайно мне сказала:
„Шагане твоя с другим ласкалась,
Шагане другого целовала.
Говорила: „Русский не заметит...
Сердцу — песнь, а песне — жизнь и тело...“
Оттого луна так тускло светит,
Оттого печально побледнела.“

ეს ლალატი სპარსული ციკლის სიუჟეტური ხაზის დასრულებაა.

1925 წლის სექტემბერში პოეტი და მისი მეუღლე მოსკოვში დაბრუნდნენ. „ბიოგრაფიული ცნობები ჩემს შესახებ ჩემსავე ლექსებშია“, – წერს ამავე წლის ოქტომბერში ესენინი. მართლაც „სპარსული მოტივები“, მიუხედავად თემატური განზოგადებისა და აღმოსავლური ტონალობისა, პოეტის რეალურ ცხოვრებასაც – მის განცდებას და სულისკვეთებას – ასახავს.

ენ... უსახელოდაც და სახელითაც სიყვარული ხარ", - წერს ბლოკი 1903 წლის 1 მაისს თავის საცოლეს, რომელსაც მართლაც სიყვარული - ლიუბოვი - ერქვა და რომელიც, მათი უიღბლო ქორწინების მიუხედავად, უცვლელად განასახიერებდა ბლოკისთვის ყველაზე ამაღლებულს, რაც კი მის ცხოვრებაში არსებობდა. სწორედ მას, ლიუბოვ მენდელეევას, დიდი მეცნიერის - დიმიტრი მენდელეევის - ქალიშვილს, მიუძღვნა პოეტმა „ლექსები მშვენიერ ქალზე“ (1904) და მთელი რიგი შემდგომდროინდელი ნაწარმოებებიც.

მათ ერთმანეთი მოსკოვის გარეუბანში - შახმატოვოში - გაიცნეს. ბლოკის ბაბუა ალექსანდრე ბეკეტოვი, პეტერბურგის უნივერსიტეტის რექტორი, მეგობრობდა დიდ ქიმიკოსთან, დიმიტრი მენდელეევთან. ბეკეტოვებმა თავიანთი მამული შახმატოვოში სწორედ მენდელეევის რჩევით იყიდეს ბლოკის დაბადებამდე. შახმატოვო შვიდი ვერსით იყო დაშორებული ბაბლოვადან, სადაც მენდელეევს ჰქონდა მამული. საშა ლიუბაზე ერთი წლით უფროსი იყო. პირველად სამი წლის ბლოკს მიუერთმევია ყოჩივარდები ლიუბასთვის, როდესაც ის დედას

ბეკეტოვებთან შახმატოვოში ჩაუყვანია. მათი სიყვარული კი უფრო მოგვიანებით, 1901 წლიდან, პეტერბურგში დაიწყო.

1902-1903 წლებში ლიუბასადმი გაგზავნილ წერილებში ბლოკი ცდილობს სიტყვიერი გამოხატულება მოუძებნოს თავის თავშეუკავებელ გრძნობას. ის ხან რელიგიურ სიმბოლიკას მიმართავს, ხან კი მიწიერი ვნებათაღელვის გამომხატველ ეპითეტებს: „ნათელო სიხარულო“, „წყნარო მშვენიერებავ“, „სრულო და სრულყოფილო სილამაზევ“, „ჩემო მზევ, ჩემო საიდუმლოვ“, „ზღაპარო“, „ცეცხლოვანო დედოფალო“ – რანაირ სახელს აღარ უძებნის, თვით ყველაზე ამაღლებულს და წმინდასაც: „სამყაროს ანგელოზო“, „ღვთაებრივო ნაპერწკალო“, „ღვთისმშობელო“, „ქალწულო მარიამ“. „ქრისტეს სასძლოზე – ახალი იერუსალიმის კედლებზე – უფრო თეთრი ხარ“, – იოანე ღვთისმეტყველის პერეფრაზირებით მიმართავს ბლოკი 1903 წლის 8 აპრილს ლიუბას.

ეს სიყვარული გრძელდება მერეც, როცა ლიუბა ბლოკის მეუღლე ხდება, გრძელდება უსასრულოდ, ბლოკის მთელი ცხოვრების განმავლობაში. „შენ ჩემი ცოლიც ხარ, პატარძალიც და ქალბატონიც“ („მფარველი ანგელოზი“ 1906 წ.), – მიმართავს ბლოკი თავის მეუღლეს და უდიდეს სითბოსა და სიყვარულს გამოხატავს არა მხოლოდ ლექსებში, არამედ ცოლისადმი გაგზავნილ წერილებშიც, სახლში დატოვებულ უბრალო ჩანაწერებშიც კი.

ლიუბა მენდელეევა ბლოკის შთაგონების წყარო იყო ამ სიტყვების პირდაპირი მნიშვნელობით და მეოცე საუკუნის რუსულ პოეზიაში ძნელად თუ მოიძებნება, უფრო სწორად არ გვხვდება პიროვნება, რომელსაც ლიუბაზე მეტი გავლენა-შთაგონება მოეხდინოს რომელიმე პოეტზე.

ლიუბა მენდელეევა უაღრესად საინტერესო ქალია, უპირველეს ყოვლისა – მასზე არაერთგვაროვანი შეხედულებების გამო. თანამედროვეებზე ის სხვადასხვაგვარ, ურთიერთგამომრიცხველ შთაბეჭდილებებს ახდენდა, „მშვენიერი ქალბატონის“ გარეგნობასაც კი სხვადასხვანაირად აღიქვამდნენ:

„ალაჟღაყებული ქერა ქალი, დიდებული თმებითა და არაჩვეულებრივი სახის ფერით, ნამდვილი რუსი ლამაზმანი“, – ნერდა მის შესახებ მსახიობი ელიზავეტა ტიმე.

90

„ტიციანისეული და ძველი რუსული სილამაზე...“ – ასეთ შთაბეჭდილებას ახდენს ის სერგეი სოლოვიოვზე („მოგონებები ალექსანდრე ბლოკზე“).

„ყოველთვის ულამაზო იყო“, – აღნიშნავს ოპერის მსახიობი ლიუბოვ დელმასი, რომელსაც ბლოკმა ლექსების ციკლი „კარმენი“ (1914) და ამასთანავე სხვა, მთელი რიგი ლექსებისა მიუძღვნა.

„მე იგი ჯერ კიდევ 1910 წელს ვნახე. მაშინ ის იყო სრულიად დამტკნარი, მახინჯი და არასასიამოვნო ქალი, ალბინოსივით უფერული, პატარა თვალებით. კულტურულად რომ ვთქვათ, მასზე მაღალი დონის არ ითქმის“. ანა ახმატოვა.

„არც ისე მხიარული, მძიმე, მაგრამ ძალიან ცხოვრებისეული, თავისებურად მსხვილი“. ევგენია კნიპოვიჩი, კრიტიკოსი.

ბლოკის ცხოვრებისა და შემოქმედების ცნობილი მკვლევარი დიმიტრი მაქსიმოვი ამ შეხედულებების ერთგვარ შეჯერებას ახდენს. ის აღწერს ლიუბა მენდელეევას გამოსვლას დიდ დრამატულ თეატრში ბლოკის გარდაცვალების 5 წლის თავზე: „ის იდგა სცენაზე შავ მოხდილ კაბაში. მაღალი, მოსული, ხანში შესული და გარეგნობით ნაკლებად მიმზიდველი. მისი ტემპერამენტული ინტონაცია არ უხდებოდა პოემა „თორმეტს“...

თუ დარბაზი მის გამოსვლას ოვაციებით შეხვდა, გააცილა მხოლოდ ზრდილობიანი ტაშით”.

მოგვიანებით დიმიტრი მაქსიმოვი პირადად გაეცნო ლიუბოვ ბლოკს და დაწვრილებითაც აღწერა მისი გარეგნობა: „მაღალი, სავსე, შეშუპებისაკენ მიდრეკილი... შეჭრილი თმით, ფაშფაშა, პიგმენტირებული ბებრული ხელებით. ჩემი ყველანაირი მონდომების მიუხედავად, „ყოფილი მშვენიერების“ არანაირი კვალი არ ეტყობოდა, რასაც (თუკი ოდესმე ჰქონდა) აუცილებლად შევამჩნევდი, მაგრამ არც მის სიმახინჯეზე შეიძლებოდა მსჯელობა, რაც ხანდახან მსმენია”.

ლამაზი იყო თუ უშნო, ლიუბა მენდელეევა ბლოკისათვის „მშვენიერ ქალბატონად“ იქცა. ნათქვამია, ვისაც გარეგნობა ნაკლებად სწყალობს, ხასიათის სიკეთით გამოირჩევა ხოლმე და ეს აქცევს „მშვენიერად“, მაგრამ ბლოკის „მფარველი ანგელოზი“ თურმე არც განსაკუთრებული ბუნებით გამოირჩეოდა. ზოგს მოსწონდა ის, უმრავლესობას კი აღიზიანებდა.

ლიუბას ამხანაგი, მსახიობი ვერიგინა ასე ახასიათებს მას: „ლიუბოვი იყო განსაკუთრებული მოვლენა – ძლიერი და ჭკვიანი ქალი, პოეტი ბლოკის მომხიბვლელი მეგობარი. ქალი, რომელსაც თავგანწირვა შეეძლო. მასში ორი სანყისი იყო: მენადის სტიქიურ ცეცხლთან ერთად შემოქმედებითი ცეცხლიც ენთო, რომელიც განსაზღვრავდა მისი სულის მთავარ მიმართულებას“.

უფრო ხშირად კი ლიუბოვზე სანინალმდეგო აზრისანი იყვნენ. გეორგი ბლოკს, ბლოკის ბიძაშვილს, მისი ატანა არ შეეძლო. ლიუბას თანამშრომლები მეცნიერებათა აკადემიიდან უჩიოდნენ მის უტაქტობას და უკმაყოფილო იყვნენ მისი მუშაობით. გამომცემლობის სწავლული მდივანი ნიკოლაი ან-

დრეევი აღიარებდა, რომ ლიუბასთან ნაცნობობა ხელს უშლიდა მას ბლოკის პოეზიის მიღებასა და აღქმაში. ლიუბოვ დელმასი ბლოკის მეუღლეს ეგოისტს უწოდებდა; ბრალს სდებდა იმაში, რომ ქმარზე არ ზრუნავდა, ცუდად აჭმევდა.

ცნობილია, რომ ბლოკისა და ლიუბას ქორწინება ორივესათვის უიღბლო გამოდგა. ისინი სხვადასხვა ხასიათისა და ბუნების ადამიანები აღმოჩნდნენ. ხშირადაც ჩხუბობდნენ. არსებობს ბლოკის დედის – ალექსანდრას – წერილი თავისი დისადმი, მარიასადმი: „საშამ სკამი გატეხა და ლიუბა გამოლანძღა, არამზადა უწოდა“... ეს ყოველივე თითქოს დაუჯერებელია იმ ლექსებისა და წერილების ფონზე, რომელსაც ბლოკი ლიუბას უძღვნიდა, მაგრამ, მიუხედავად უსიამოვნებისა, ჩხუბისა და ლალატისა ორივეს მხრიდან, ბლოკის გრძნობები ლიუბასადმი ყოველთვის წრფელი იყო.

ლიუბას პიროვნებისადმი განსაკუთრებულ ინტერესს ანა ახმატოვა იჩენდა. ის ხშირად მსჯელობდა როგორც მასზე, ასევე მის როლზე ბლოკის ცხოვრებაში. ანას ლიუბა სასტიკად არ მოსწონდა: „ის არა მხოლოდ უშნო იყო, არამედ საშინელი!.. შინაგანად უსიამოვნო, არაკეთილისმყოფელი, თითქოს რალაცით გატეხილი“, – აღნიშნავდა ანა ახმატოვა და, მიუხედავად ამისა, გარკვეულ მიმართებაში ლიუბას თავის თავთან აიგივებდა: „ჩემი ამოგდება გუმილიოვის შემოქმედებითი ბიოგრაფიიდან ისევე შეუძლებელია, როგორც ლ.დ. მენდელეევისი ბლოკის ბიოგრაფიიდან“. ანა ახმატოვა შეეცადა, ლიუბასადმი ბლოკის გრძნობებიც გაეანალიზებინა: „ის (ბლოკი) ყოველთვის, მთელი ცხოვრება ხედავდა მასში იმ გოგონას, რომელიც ოდესღაც შეუყვარდა“. ანალოგიურადვე ხსნიდა ბლოკის მოსკოველი მეგობრების – ანდრეი ბელისა და სერგეი სოლოვიო-

ვის – მისტიკურ მოჯადოებას ლიუბა მენდელეევის მიერ: „აღბათ ისინი ხედავდნენ მას ბლოკის საოცარი ლექსების მიღმა, სადაც ის მშვენიერი ქალბატონიცაა და სოფიაც, ღვთაებრივი სიბრძნე...“

დიმიტრი მაქსიმოვი ბლოკის ლექსების ქალბატონს რეალურ ცხოვრებაში რეალურად აღიქვამს, ყოველგვარი მისტიციზმის გარეშე: „ბლოკი (ლიუბას) თავისი მისტიკური განცდების ცენტრში აყენებდა, სინამდვილეში თავისი ადამიანური შინაარსით ის ძალიან შორს იყო ყოველივე ამისაგან... მისი თანაგრძნობითი დამოკიდებულება ტრადიციული ეკლესიისადმი არ იყო ღრმა და მის ცხოვრებისეულ მისწრაფებებზე გავლენას არ ახდენდა. უფრო მოგვიანებითაც, სიმბოლისტების წრეში შესული და ბევრ რამეში მათი გავლენის ქვეშ მყოფი ლიუბა მაინც არ იშლიდა თავისას და ინსტინქტურად აგრძელებდა თავის სტიქიურ და ნაწილობრივ ჰედონურ კრედოს“.

ლიუბას შინაგანი ბუნების უკეთ გასაგებად მისი ცხოვრების კიდევ რამდენიმე დეტალს მოვიყვანთ: ლიუბას სახლში არ იყო სიმყუდროვე. ის არც ცდილობდა ამის შექმნას და ასეთი ფრაზაც კი უთქვამს: „მიყვარს რემონტი – თვითონ რემონტის პროცესი“.

ბლოკის სახლის ერთი ნაწილი ლიუბას ეკავა, მეორე ნაწილში კი პოეტის დეიდა მარია ბეკეტოვა ცხოვრობდა, ლიტერატორი და მთარგმნელი. ლიუბა მას არ ელაპარაკებოდა, ნაჩხუბარი იყო, ამიტომ არ იღებდა იმ ჟურნალისტებს ან ბლოკის შემოქმედების მკვლევარებს, რომელთაც ქალბატონ მარიასთან ჰქონდათ რაიმე ურთიერთობა. ამის შესახებ ის დაუფარავად აცხადებდა. მან პირველად არც დიმიტრი მაქსიმოვი მიიღო და

კარის გაუღებლად გასძახა, ლიუბა შინ არ არისო. მიღებაზე კი მხოლოდ მას შემდეგ დათანხმდა, როცა „ზემოდან დაურეკეს“ და მკვლევარს რეკომენდაცია გაუწიეს.

და მაინც, ლიუბოვ მენდელეევა ზოგიერთ ადამიანში დიდ აღფრთოვანებასა და სიყვარულს იწვევდა. ეს შეეხება არა მარტო ბლოკს და ლიუბას მეგობარ მსახიობებს. ცნობილია ლიუბა ბლოკის რომანები ანდრეი ბელისთან, გეორგი ჩულკოვთან და მსახიობ კონსტანტინე დავიდოვსკისთან (ამ უკანასკნელისაგან ლიუბამ ბავშვიც გააჩინა, რომელმაც მხოლოდ რამდენიმე დღე იცოცხლა). სწორედ მას მიუძღვნა ანდრეი ბელიმ თავისი წიგნი „ორ რევოლუციას შორის“, სადაც გადატანითაა აღწერილი მისი დამოკიდებულება ლიუბოვთან და მისი უბედური სიყვარული. ანდრეი ბელის წერილიც მიუწერია ლიუბასთვის, სადაც მას ცოლობას სთხოვს.

წინასწარ უნდა გავუმხილოთ მკითხველს, რომ ლიუბას ხიბლს არც მისი პროფესიონალიზმი განაპირობებდა. ლიუბა მსახიობი იყო. თუმცა უკვე აღვნიშნეთ, რომ მის მიერ წაკითხული ბლოკის პოემა „თორმეტი“ დარბაზს მაიცდამაიც არ მოსწონებია. როგორც ცნობილია, თავად ბლოკს არ სჯეროდა ცოლის მსახიობური მონაცემების, მას არც ლიუბას მიერ წაკითხული პოემა „თორმეტი“ მოსწონდა და არა ერთხელ აღუნიშნავს, რომ „ძალიან ცუდია“. თუმცა, მიუხედავად ამისა, სწორედ ბლოკმა აქცია ლიუბა პოემის მუდმივ შემსრულებლად. როგორც ჩანს, ეს ბლოკისთვის ერთგვარი გამოსავალი იყო, რომ მეუღლისათვის თეატრალური როლების სანაცვლო რამ შეერჩია და უხერხული მდგომარეობიდან თავი დაეხსნა. მხედველობაში გვაქვს ბლოკის წერილი მსახიობ იურევისადმი, რომელმაც შექსპირის „მაკბეტი“ დადგა, ხოლო ბლოკმა მას

(აღბათ ცოლის დაჟინებული თხოვნით) წერილი მისწერა, რომ ლედი მაკბეტის როლი ლიუბასთვის მიეცა.

ერთი პერიოდი ლიუბა მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობაში მუშაობდა. ის აკადემიის „სწავლული კორექტორი“ იყო, მაგრამ აქაც უკმაყოფილო იყვნენ მისი მუშაობით.

შემდგომში ლიუბამ შეიცვალა პროფესია; შეძლო, განშორებოდა სცენას და ხელოვნების სფეროში ნაკლებად გამოსაჩენი ადგილი დაიკავა. ის დაინტერესდა ბალეტით. ბალეტის ისტორიაზე უამრავი ლიტერატურა შეიძინა და თავადაც დაწერა რამდენიმე სტატია ბალეტზე. მაგრამ მხოლოდ კარტოტეკით და წერით არ ამოინურებოდა მისი ინტერესი ბალეტისადმი. მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა ახალგაზრდა და ნიჭიერ ბალერინებთან. თავისებურად მფარველობდა და პატრონობდა მათ, თავის გამოცდილებას უზიარებდა, ესთეტიკურ გემოვნებას უვითარებდა, ასწავლიდა ჯდომას, ადგომას, თვალების, ხელების, ტანის მოძრაობას ცეკვის დროს, საჩუქრებსაც უძღვნიდა, ეხმარებოდა მატერიალურადაც. ამ წრეში უყვარდათ და აფასებდნენ ლიუბას. აქ მან ჭეშმარიტად მოიპოვა თავისი თავი. ბალეტის მოცეკვავეებზე ლიუბას უთქვამს: „ისინი ფიქრის გარეშე ცხოვრობენ, როგორც ყვავილები, და მე ახლა სწორედ ეს მჭირდება“. აღბათ ამ ფრაზაში უნდა დავინახოთ ლიუბას ბალეტით ასეთი დიდი გატაცების მიზეზი და საფუძველი. მას ჰქონდა დარდი, რომელზედაც არ სურდა ეფიქრა, თავდავიწყება ერჩივნა. მან ბალეტში იპოვა გონებრივი დაძაბულობის მოქმედებით ანუ ცეკვით განმუხტვის გზა. ლიუბას შინაგანი სამყარო, მისი პიროვნება, რომელიც თანამედროვეთათვის ერთობ უჩვეულო იყო, სრულყოფილად წარმოჩნდა ლიუბას ძალზე შთამბეჭდავ, თითქმის აღსარებად

ქცეულ მოგონებებში: - „რეალობა და გამონაგონი ბლოკსა და საკუთარ თავზე“. ამ მოგონებებმა ზოგის აღშფოთება, ზოგის ზიზღი, ხოლო ზოგიერთის დიდი მოწონება დაიმსახურა. ეს ის გრძნობებია, რომელთაც თავად ლიუბა ინვევდა სხვადასხვა ადამიანში. ლიუბას თხრობა ძალზე ეგოცენტრულია. ის უფრო მეტს თავის თავზე საუბრობს, ვიდრე გენიალურ ქმარზე. მისი მონათხრობი ზედმეტად გულახდილია. ლიუბა მსჯელობს ცოლქმრული და პირადი ცხოვრების ისეთ სფეროზე, რომელზედაც საუბარი მისთვის მაინცდამაინც სასიამოვნო არ უნდა ყოფილიყო. მან ბევრისთვის აღმაშფოთებელი, ზოგისთვის დაუჯერებელი და ზოგადად კი სკანდალური საქციელი ჩაიდინა, აღიარა მისი და ბლოკის „თეთრი ქორწინება“ (არარეალიზებული ქორწინება), აღიარა თავისი რომანებიც ანდრეი ბელისთან და მსახიობ კონსტანტინე დავიდოვსკისთან. მკითხველი გააღიზიანა, როგორც ამ გულახდილობამ, ასევე ლიუბას მიერ თავისი თავის წარმოჩენამაც. მის მემუარებს თვითდამკვიდრებისთვის ბრძოლა დაედო საფუძვლად, რაც მთელი მისი ცხოვრების მანძილზე საკმაოდ თვალში საცემი იყო. ეს სწრაფვა უპირველეს ყოვლისა „თეთრი ქორწინებით“ უნდა აიხსნას. ქალი გაოგნებული დარჩენილა თავისი მოულოდნელი და შეუბრალებელი ბედით. მიუხედავად ამისა, არაფერი შეუცვლია. არც მისი გრძნობები შეცვლილა ბლოკისადმი და, მით უმეტეს, არც მოვალეობები. ლიუბას თავისი სიცოცხლისმოყვარეობით ოპტიმიზმი შეჰქონდა ბლოკის ცხოვრებაში; როგორც შეეძლო, ეხმარებოდა პოეტს „წყევდიადთან“ და დარდთან ბრძოლაში. ამით თავის მოვალეობას ასრულებდა როგორც ქმრის, ასევე თავისი სიყვარულის წინაშე. და თუ როგორ ასრულებდა, ამის განსჯა ძნელია. განა თავად ბლოკი

არ იყო დამნაშავე მის წინაშე, როგორც ინიციატორი მათი უიღბლო ქორწინებისა?! ან ორივე ერთმანეთის წინაშე, როცა ლალატობდნენ ცოლქმრულ მოვალეობებს?! თუმცა, ზოგიერთის აზრით, ამას მაინც ლალატი არ ერქვა. როგორც გეორგ ბლოკი (პოეტის ბიძაშვილი) აღნიშნავს, ბლოკი ყოველთვის შინაგანად მუდამ ლიუბას ერთგული იყო. ასევე, ლიუბას მეგობრების აზრითაც, მიუხედავად მუდმივი რომანებისა, ლიუბას ბლოკთან თავგანწირული სიყვარული აკავშირებდა. ძნელია ამ ყოველივეს აღქმაცა და განსჯაც და მაინც, რაც არ უნდა გავამართლოთ ან გავამტყუნოთ ლიუბა, ერთი რამ ცხადია – ის ბედნიერი ქალი არ ყოფილა და თავის უბედურებასთან ბრძოლის დროს გამოდიოდა საზოგადოებრივი ნორმების ჩარჩოებიდან. თანდაყოლილ თვისებებთან ერთად ამითაც უნდა აიხსნას მისი ქცევების სიმკვეთრე, აგრესიულობა და, უპირველეს ყოვლისა კი, მისი მისწრაფება თვითდამკვიდრებისაკენ. რასაკვირველია, „თეთრმა ქორწინებამ“ ბევრი რამ შეცვალა მის ცხოვრებაში და, რაც მთავარია, გაულვივა თავის წარმოჩენის სურვილი ოჯახს გარეთ, რაც ერთობ ძნელი აღმოჩნდა ბლოკის ჩრდილქვეშ მყოფისთვის. ლიუბა ინდივიდუალური და მებრძოლი ბუნების ქალი იყო, მაგრამ მოსიყვარულე და მისდამი ყურადღებიანი ბლოკი გვერდით ყოფნის ფაქტითაც კი ზღუდავდა მის ინდივიდუალურობას, თავის ჩრდილში აყენებდა ქალს, რომელსაც არავის ჩრდილში ყოფნა არ სურდა. ნაცნობი თუ უცნობი მასში ყოველთვის ბლოკის ცოლს ხედავდა და არა ლიუბა მენდელეევას, რომლის ქმარიც ბლოკი იყო. მკითხველსაც ბლოკის მეუღლის მოგონებებში მხოლოდ ბლოკის დანახვა სურდა. ლიუბამ კი თავისი თავი წარმოაჩინა და დაუფარავად თქვა სიმართლე. მას არ შეეძლო, არ შეხე-

ბოდა თავისი ქორწინების ტრაგედიას. სინამდვილე მხოლოდ მან იცოდა და ეს რომ არ ეთქვა, არ იტყოდა მთავარ მიზეზს, რამაც მთელი მისი ცხოვრება განსაზღვრა; მაგრამ თქმაც ძნელი იყო და დიდ სიმამაცეს მოითხოვდა. ლიუბამ კი აღიარა სიმართლე მოკლედ და კონკრეტულად, შეულამაზებლად, მკაფიოდ და უშიშრად.

შეიძლება მის თხრობაში სკანდალური გამოხდომის წილიც ერიოს, ეპოქის ინდივიდუალისტურ მიმდინარეობებსაც ჰქონდეს ზეგავლენა, მაგრამ მთავარი მაინც ლიუბას პიროვნებაა, საიდანაც მომდინარეობს მისი სიმამაცეცა და სითამამეც. შესაძლებელია, სწორედ ამით იხიბლებოდა ბლოკი და ალბათ – არა მარტო ის!

„მერი, ჩემო შორეული“



საქართველოს
რესპუბლიკის
საგარეო
აფაირთა
მინისტროს
საგარეო
კავშირების
სამსახური

6
 ხოვრების დამლელ-დანვრილმანებულ ყოველდღიუ-
 რობასა და დღეთამონაცვლეობაში გარბენილ წლებში,
 არაორდინალობას განრიდებული საზოგადოებისათვის
 ხშირად ვერსაცნობია სულიერების ის შრეები, რასაც გენიოსთა
 სულიერი გრადაცია აღწევს – მათთვის კი ისეთივე ბუნებრივი
 როგორც დანარჩენთათვის თავიანთი წვრილმანი ყოველდღიუ-
 რობანი.

„გათენდა, გადმოვიხედე ჩემი ბინის აივნიდან, ჩემს ფერხთით
 თავიანთ პატარ-პატარა საქმეებზე მიმორბიან ადამიანები. ჩე-
 მთვის კი მათი ფუსფუსი აბსოლუტურად გაუგებარია“ – ჩაუნე-
 რია ერთ დილით თავის დღიურში გალაკტიონს.

„მარჯანიშვილის ქუჩაზე მცხოვრები მოქალაქე“ გალაკტიონ
 ტაბიძე მაშინ ჩვენ შორის დადიოდა, ყველა შემხვედრზე, „ერთი
 ტკივილით, ერთი ცრემლით, ერთი ღიმილით მეტი კაცი“ – პოეტი
 და ბავშვური გულუბრყვილობით ითხოვდა თანამოქალაქეთაგან
 თავის წილ სითბოს, სიყვარულსა და პატივს; უფლებაც ჰქონ-
 და, რადგან საქართველო უკვე იცნობდა ნიკორწმინდას, გურიის
 მთებს, ლურჯა ცხენებს, ეფემერასა და გეტერას, ვარდისფერ

თოვლს, სილაში ვარდს, დაბოლოს ყველაზე უფაქიზესსა და უსათნოეს ხატებას – ცისფერ ასულს – უმშვენიერეს მერის.

ლექსები და ფიქრები მერიზე გალაკტიონს კარგა ხნით ადრე სიჭაბუკეში ეწვია. „ჟღალწვერიანი“, „თვალეში ეშმაკებჩაბუდებული“, ქუჩაში „ამაყი რწვეით“ მიმავალი პოეტთა მეფე მხოლოდ ნღების შემდეგ გაიცნო თბილისმა, მაშინ კი მაშინ პირველად გრაფინია ზარნიკაუს სასახლესთან მუზათა სტუმრობით განებივრებულმა და შემოქმედებითი ემოციებით აღსავსე, ნათელთვალემა, მაღალშუბლიანმა, სუფთად პირგაპარსულმა, მომხიბლავმა ახალგაზრდა კაცმა იხილა სწორედ ის ქალი, მისი ოცნებების, იღუმალი ფიქრების, სევდის, ნატვრისა და სიხარულის ხორცშესხმული გამოხატულება – ეს იყო მერი შერვაშიძე, ეს მერი იყო

რუსეთის იმპერატორის დედის მარია ფეოდოროვნას ფრეილინა, რუსეთის დუმის წევრის – პროკოფი შერვაშიძის ასული.

გალაკტიონი კი, როგორც ჩანს, პირველი არ ყოფილა, ვინც მერი შერვაშიძის არაამქვეყნიურმა სილამაზემ მონუსხა. ამგვარივე შთაბეჭდილება დარჩენია მერიზე 1912 წელს საქართველოში ჩამოსულ ნიკოლოზ მეორესაც. სხვა მოგონებებიც არსებობს შერვაშიძეთა ნაბლისფერთმიან და თაფლისფერთვალემა მომღიმარე ასულზე, რომლის სილამაზეს კიდევ უფრო სრულყოფილს ხდიდა საოცარი დახვეწილობა, სათნოება და დიდებულება.

მაგრამ სულ სხვა იყო გალაკტიონის სიყვარული, ტოლფასი და მსგავსი ღვთიური სიყვარულისა; სიყვარული მიუწვდომელი და უცნობი ქალისა, რომელიც მუდამ ასეთივე დარჩა გალაკტიონისათვის: მხოლოდ რამდენჯერმე თვალმოკრული, შორეული, მაგრამ მაინც ძალიან ახლობელი, პოეტის ღამეულ ფიქრთა და ტკივილთა ხშირი სტუმარი, პოეტის მუზათა შორის ჩასახლებული სახება. იქნებ ესეც ბედისწერა იყო და არა მარტო გა-

ლაკტიონისთვის, რადგან შთამომავლობას გალაკტიონის გარეშე, მერი შერვაშიძის არსებობა მხოლოდ რამდენიმე ყურმოკრული მოგონებებითაა შემორჩეობდა. მაგრამ იგი XX საუკუნის ქართული პოეზიის უმნიშვნელოვანეს ხატებად იქცა, სიყვარულის, ლტოლვის და სილამაზის სიმბოლოდ და ამ ყოველივეს ერთი უბრალო მიზეზი ჰქონდა: უმშვენიერესი მერი პოეტს შეუყვარდა, უფრო სწორედ პოეტთა მეფეს

გალაკტიონი მთელი სიცოცხლე ინახავდა მერის სურათს, ხოლო შემდეგ ლადო გუდიაშვილისათვის გადაუცია დასახატად. მხატვარმა მერი შერვაშიძის პორტრეტი 1973 წელს დახატა, ამ დროს გალაკტიონი უკვე ცოცხალი აღარ იყო

დღეისთვის შემორჩენილია სწორედ ზემოხსენებული პორტრეტი, ასევე მოგვიანებით აღმოჩენილი მან რეისა და საველი სორინის მიერ შესრულებული მერი შერვაშიძის სურათები, ფოტოსურათები, მოგონებები და ლექსები. ლექსები, რომელიც ვფიქრობთ, ყველაზე სრულად ასახავს ამ მშვენიერი ბანოვანის არა მხოლოდ გარეგნულ, არამედ შინაგან მომხიბვლელობასაც.

მერისადმი მიძღვნილი ლექსები საზოგადოებამ 1915 წელს იხილა, აქ იმთავითვე გამოჩნდა პოეტის შორეული ტრფობის ადრესატი – ულამაზესი, სხივმოსილი, „ცისკრის ნამივით“ სათნო და მომღიმარი მერი; პოეტი კი იდგა და შორიდან უცქეროდა მას:

„შენ ზღვის პირად მიდიოდი მერი,
სხივექვეშ თრთოდა შენი ნაზი ტანი
და გფარავდა მწვანე სუროსფერი
ცაცხვისა და ალვის ხეივანი.
შენს ღიმილში მწუხარების ჩქერი
მოულოდნელ სიყვარულად ვცანი

როგორც მთვარის შუქი ალმაცერი,
როგორც სიოს უცხო მიმოხვრანი.
ამ ღიმილში კარგი, მშვენიერი
გამოკრთოდა სევდა კაეშანი,
როგორც სხივზე ყვავილების მტვერი
ცისკრის ნამით თრთოლვილ განაბანი.
იმ ღიმილზე, იმ სევდაზე ვმლერი
ბანს მაძლევენ ყვავილნი და მთანი
მერი, ჩემო შორეულო მერი
შენსკენ მოჰქრის ბედის იალქანი“.

საოცარია, მაგრამ გალაკტიონის ბედი და მუზაც აქაც განსაკუთრებული აღმოჩნდა. ჩვენ ვიცით ქართველ პოეტთა სიყვარულის თუ ნაცნობობის მშვენიერი ისტორიები, რომელთაც ასეთივე მშვენიერი პოეტიზირებული გამოხატულება ჰპოვეს. მერი შერვაშიძის თანამედროვენი იყვნენ მელიტა ჩოლოყაშვილი, თამუნია წერეთელი და ელენე ბაქრაძე (დარიანი) – მათ იცნობდნენ პოეტები (ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით), შეხვედრიან, უსაუბრიათ, მაგრამ მერი მარად უცნობი დარჩა იგი თავისი თაყვანისმცემლისათვის. მრავალი ნლის შემდეგ თავის ნათესავს პაბო დადიანს პარიზიდან მონერილ წერილში, კითხვაზე – იცნობდა თუ არა იგი პოეტ გალაკტიონ ტაბიძეს, მერი შერვაშიძე პასუხობდა: „ამბობენ ვინმე გალაკტიონ ტაბიძე ლექსებს წერს ჩემზე. მე მას არ ვიცნობ“ – რუსულ ენაზე მონერილ ამ ბარათს ქართულად აქვს მიწერილი სახელი „მერი“ იქნებ თვით მერი შერვაშიძისათვის ის ფაქტი, რომ მასზე პოეტი ლექსებს წერდა, ძალიან უცხო და გასაკვირი არ იყო, თითქოს მან თავისი სილამაზის მრავალრიცხოვან თაყვანისმცემელთა შორის ერთ-ერთი ვერ

გაიხსენა, მაგრამ ეტყობა, მაშინ ვერც მან გააცნობიერა ერთხელ უკვე ხსენებული ფაქტი – იგი პოეტს უყვარდა და თანაც გალაკტიონ ტაბიძეს, ეს კი, რასაკვირველია, უკვდავებას ნიშნავს.

ამ დროიდან მოყოლებული, მერიმ გალაკტიონის პოეტურ სამყაროში გამორჩეული ადგილი დაიმკვიდრა. იგი პოეტის თეთრი ლამეების ხშირი სტუმარი გახდა. იმ ფურცელს, რომელსაც პოეტი ჩასჩერებოდა, ხშირად ეცემოდა მერის გრაციოზული აჩრდილი და მიუწვდომელი სილამაზის, დაკარგული სიყვარულის, ეულად შთენილი სატრფოს ამბავი სტრიქონიდან სტრიქონში, ლექსიდან ლექსში გადადიოდა.

ის რამდენიმე შეხვედრა კი თვალშეუდგამი ნათელის წუთიერ ხილვას, შეუმდგარი სიხარულის თუ ბედნიერების მკრთალ გაღვებებს გავდა. ყველაზე კარგად, ალბათ, თვით პოეტი გრძნობდა, რომ მერი მისთვის მარადიული, შორეული ოცნება იყო მხოლოდ, და იმთავითვე თხემით ტერფამდე გაისიგრძეგანა მასთან ვერმიახლოების და მისი დაკარგვის ტკივილი. ეს ტკივილი სევდიანი ამოძახილი და კენესა როდი იყო სულისა, ეს ტკივილი სულის კვილს უფრო გავდა პოეტის სულიერი მარტოობის დაუსაბამო დღესასწაულს რომ ამცნობდა ქვეყნიერებას. პოეტის სიყვარული მხოლოდ მის გულსა და ლექსებში დარჩა სამუდამო ჯვრად რომ უნდა ეტარებინა, რადგან მერის ხილვიდან სულ ცოტა ხანში პოეტისავე წარმოსახვაში შესდგა მისი ჯვრისწერა იმ სამყაროსთან, რომელმაც პოეტი სამუდამოდ დააშორა თავის სიყვარულს. დიახ, პოეტმა მერის ჯვრისწერა იხილა, ეს იყო მარადიული განშორების წარმოსახვითი სურათი. ჯვრისწერის წარმოსახვით კი პოეტმა საბოლოოდ დაუსვა წერტილი საკუთარ სიხარულს, იმედსა და ბედნიერებას.

„შენ ჯვარს იწერდი იმ ლამეს მერი
 მერი, იმ ლამეს მაგ თვალთა კედომა
 სანდომიან ცის ელვა და ფერი
 მწუხარე იყო ვით შემოდგომა!
 აფეთქებული და მოცახცახე
 ინოდა ტაძრის ალთა კრებული,
 მაგრამ სანთლებზე უფრო ეგ სახე
 იყო იდუმალ გაფითრებული
 . . . მესმოდა შენი უგონო ფიცი
 მერი ძვირფასო! დღესაც არ მჯერა
 ვიცი წამება, მაგრამ არ ვიცი
 ეს გლოვა იყო თუ ჯვარისწერა?
 ლოდებთან ვილაც მწარედ გოდებდა
 და ბეჭდების თვალებს ცაში კარგავდა
 იყო ობლობა და შეცოდება
 დღესასწაულს კი ის დღე, არ ჰგავდა“.

საოცარია პოეტის ინტუიცია, უტყუარია გენიოსის წინათ-
 გრძნობა. პოეტმა საკუთარი მომავალი ცხოვრება ამ ლექსით
 განჭვრიტა, თითქოს ამ სტრიქონთა პრიზმაში გარდაიტება ერთი
 უიღბლო და უმომავლო სიყვარულის, ქართული ლექსის ერთი
 „თანამდევი სულის“, დიდი ბავშვის და დიდი პოეტის ისტორია –
 ცხოვრება და ცხოვრების წესი – მარტოსულობა.

„ტაძრიდან გასულს ნაბიჯი ჩქარი
 სად მატარებდა, ხედვა მიმძიმდა
 ქუჩაში მძაფრი დაჰქროდა ქარი
 და განუწყვეტილვ წვიმდა და წვიმდა

... და შრიალებდა ტოტი ვერხვისა
რაზედ ვინ იცის! ვინ იცის მერი!
ბედი, რომელიც მე არ მელირსა –
ქარს მიჰყვებოდა როგორც ნამქერი.

სთქვი, უეცარი გასხვივონება
სად გაჰქრა ასე ვის ვევედრები?
სად აშრიალდა ჩემი ოცნება
როგორც გაფრენილ არწივის ფრთები?
... ქარი და წვიმის წვეთები ხშირი
წყდებოდნენ, როგორც მწყდებოდა გული
და მე ავტირდი – ვით მეფე ლირი
ლირი, ყველასგან მიტოვებული“.

და კიდევ ერთი, წინასწარხედვა ამით არ დამთავრებულა: ეს ლექსი 1915 წლით არის დათარიღებული. 1918 წელს კი ქუთაისში მართლაც შედგა ჯვრისწერა: ნიკოლოზ მეორის ფლიგელ-ადიუტანტი გიგუშა ერისთავი პეტერბურგიდან ჩამოვიდა და მთავარანგელოზის ეკლესიაში ჯვარი დაინერა მერი შერვაშიძეზე. თურმე მთელი ქუთაისი ლაპარაკობდა ამ მშვენიერ წყვილზე. გალაკტიონმა სამი წლით ადრე იცოდა: „დღესასწაულს კი ის დღე არ ჰგავდა“.

ცხოვრება ერთნაირი მონოტონურობით ატრიალებს საკუთარ ბორბალში ცრემლებს, ტკივილს, სიხარულს და ბედნიერებას. მერი შერვაშიძემ ამის შემდეგ მხოლოდ სამი წელი იცხოვრა საქართველოში და საქართველოსთვის იმ ავადასახსენებელ 1921 წელს, როდესაც ქართველ ერს სასიცოცხლო არტერია გადაჭრილივით სისხლისაგან ნახევრად დაცლილი საქართველო დაუტოვეს, ფოთიდან და ბათუმიდან მიმავალ გემებს გაატანეს ქართველთა გვარიშვილობა, ინტე-

ლიგენტიურობა, სულიერი თუ ნივთიერი ფასეულობა, ისტორიული და მატერიალური მნიშვნელობის ღირებულებანი, სილამაზეც გაუყვა ამ გზას. ბათუმიდან მერი შერვაშიძე კონსტანტინეპოლს გაემგზავრა, იქ მას მეუღლე უკვე ელოდა. მშვენიერი ქალის ისტორია აქ არ დასრულებულა, ამ სილამაზემ ევროპელებიც დაატყვევა: მერი შერვაშიძე – სილამაზის კონკურსში გამარჯვებული, კოკო შანელის მოდელი, პარიზელ მხატვართა მუზა მან 97 წლამდე იცოცხლა, ბოლომდე არ მოჰკლებია არც სინატიფე, არც სათნოება, არც მომნიბვლელობა და ... არც თაყვანისმცემელი.

გალაკტიონისათვის კი 1921 წლის შემდეგ მერისთვის კიდევ ერთხელ თვალისშეელების ალბათობაც აღარ არსებობდა: წლები მიდიოდა, ცხოვრების მძიმე ლოგიკის კანონით, მერის სახე დღეთამონაცვლეობაში, ნელთა მიმოქცევაში ნელ-ნელა უნდა მიქრალიყო, გაცრეცილიყო, მაგრამ გულმა როდი იცის კანონი, ანდა სულმა აღმაფრენის დაეინყება. მერი კვალავ გალაკტიონთან ცხოვრობდა, მაგრამ ახლა იგი მხოლოდ მისი იყო, პოეტს შეეძლო მისთვის მიემართა, საკუთარი ფიქრები და ტკივილი გაეზიარებინა, წარმოესახა იგი საკუთარ გონებაში და მკითხველიც ეზიარებინა ამ უსათნოეს ხილვათათვის; გალაკტიონისათვის მერი მშვენიერების შესატყვისად იქცა. სიყვარული – სილამაზე – უკვდავება – მერი – აი ამგვარად წარმოსახა სიყვარულის საკუთარი კონცეფცია პოეტმა, დაწერა კიდევ:

„უსიყვარულოდ მზე არ სუფევს ცის კამარაზე
სიო არ დაჰქრის, ტყე არ კრთება სასიხარულოდ,
უსიყვარულოდ არ არსებობს არც სილამაზე
არც უკვდავება არ არსებობს უსიყვარულოდ“.

ეს არის ქრისტიანული სიყვარულის – აგაპეს პოეტური კონცეფცია, ერთმანეთში შერწყმული სულიერი და ხორციელი საწყისით. მისი, გალაკტიონისეული სიმბოლოა ცისფერი ქალი – მერი. მერის სახის შემდგომმა ერთგვარმა განზოგადებამ გალაკტიონის პოეზიაში ლიტერატურათმცოდნეთაგან ამგვარი ახსნა მიიღო*: მერი გალაკტიონისათვის არის რეალური ქალის სახეც (რაზეც უკვე ვისაუბრეთ) და თან რელიგიურ-ქარაგმული გამოხატულებაც აქვს. იგი არის ღვთისმშობლის განსახიერება - „დედო ღვთისავ მზეო მარიაამ“ ტრანსფორმირებული სახეა, ანუ ღვთისმშობლის სახის ემანაცია. ამგვარი ახსნა მერის სიმბოლური სახისა მხოლოდ გალაკტიონის პოეზიის ორიგინალური მონაპოვარი არ არის, იგი რომანტიკული – სიმბოლისტური აზროვნების ღრმა შრეებიდან მომდინარეობს. კონკრეტულად, მერის სახელი და სახე ბაირონისა და შელის პოეზიის განუყოფელი სიმბოლოა, იტალიური მარიას (მადონა) ანალოგი და რუსულ პოეზიაში გარდასული. რაც შეეხება რუსულ პოეზიას, მერის სახემ განსაკუთრებული აღქმა მიიღო ალექსანდრ ბლოკის პოეზიაში, მისი იტალიური ლექსების ციკლის სიმბოლური გმირი მერიც რეალურ და ირეალურ-მისტიკურ საწყისს აერთიანებს.

ამდენად, გალაკტიონის მერი სიმბოლური სახეა და, აქედან გამომდინარე, შელის, ბაირონის, ბლოკის და სოლოვიოვის პოეტურ მსოფლმხედველობათა მსგავსად, ერთგვარად ნაშლილია ზღვარი რეალურ ტრფობასა და ღვთაებრივ ტრფიალებას შორის. და თუკი გალაკტიონისთვის მზე არის ღმერთი („მზეო მარიაამ“) და ამასთან ერთად მშვენიერი, მაშინ, საზოგადოდ, მშვენიერი შეიძლება აღვიქვათ როგორც მერის სიმბოლური სახე, მითუმეტეს თუ კიდევ ერთხელ გავუსვავთ ხაზს მადონა – მარია – მერის

* გალაკტიონის სემინარის დღიურები., თბილისი, 1998 წ., გვ. 156-174.

როგორც სახელების (ამ შემთხვევაში ღვთისმშობლის სახელი) იდენტურობას.

„სახელი მერი მე არ გამომიგონებია; თუმცა ლექსის ობიექტად პირველი ეს ლექსია საქართველოში. მერი ხშირი სახელია ბაირონის ლირიკაში, მერი – ასულდგმულებს შელის, მერის აღტაცებაში მოჰყავს პუშკინი, ფრანგული სიმღერების გმირი ქალია. ჩამოთვლილი პოეტების არცერთი მერი ერთმანეთს არ ჰგავს“ – ეს ჩანაწერი გალაკტიონს 1939 წელს გაუკეთებია. ამ პერიოდში, მერი, როგორც პოეტის შემოქმედების ერთ-ერთი სიმბოლური სახე, უკვე ჩამოყალიბებული, გარკვეული და განზოგადებული მნიშვნელობის მატარებელია. თუმცა ერთი ფაქტი აქვე უნდა აღინიშნოს, კერძოდ, საოცარი მონატრების, ვერხილვის თუ ვერდაბრუნების მძაფრი ტკივილი მერიზე დაწერილ ყველა ლექსში ჩნდება:

„აი, გრიგალმა გაიტაცა ნითელი ლერწი
ვაზის – ბუნების!
მერი! მე ისევ მენატრება ჩემი ალერსი
არდაბრუნების
წყვილი ცხენები, ეტლი სწრაფი, ბრუნვა მზიანი,
რალაც სხვაგვარი“.
(„არდაბრუნება“)

და ეს მონატრება, ზოგჯერ უფრო მაქსიმალისტური განწყობით, ვიტყოდით, გარკვეული პროტესტისა და შეურიგებლობის გამოსხატულებით რეალიზდება:

„ეს რამდენიმე დღეა და რამდენიმე ღამე,
დახურულია გული, როგორც საგანი რამე

თითქო უმძიმეს კარებს კუპრის დაედო ლუქი,
 გულში ვერც ზეცა ატანს, ვერც სიხარულის შუქი
 ... ოჰ, მომეცალეთ კმარა, მხოლოდ სიკვდილი მინდა
 არც პოეზია მატკობს, არც მეგობრობა მინდა ...
 ჩამოიბუროს ზეცა, მისიცი აღარა მჯერა –
 მერის თვალებით იგი ვერ განათდება, ვერა“.
 („მერის თვალები“)

110

– ამგვარი განწყობა კი, ვფიქრობთ, სრულიად განსხვავებულია სიმბოლისტური მშვენიერი სამყაროს პანთეიზმისგან, ლირიულობისაგან, თუ აღტაცებისაგან. ლიტერატურათმცოდნეები, როდესაც გალაკტიონის მშვენიერი ქალის და რუსული სიმბოლისტური პოეზიისთვის ნიშნულ „Прекрасная дама“-ს აიგივებენ, ძირითადად ბლოკის პოეზიას იშველიებენ:

„Вхожу я в тёмные храмы
 Совершаю бедный обряд,
 Там жду я Прекрасной Дамы
 В мерцаньи красных лампад “

ან კიდევ:

„В кабаках, в переулках, в извивах
 В электрическом сне наяву
 Я искал бесконечно красивых и
 Бессмертно влюблённых в молву
 Но они уходили все мимо
 Смутно каждая в сердце таясь
 Чтоб навеки с одной несравнимой
 Отлетать в голубые края “

გალაკტიონი კი წერს:

„მიმაფრენდა ნაპირებზე ლურჯა ცხენი
გადვიჩეხე
უკურნებლად დაჭრილი ვარ...
დამეხსენი“.

„შეკიდებიან მთვარეს, როგორც მძიმე მტევნები
თეთრ-ვარდისფერი ალუჩები და შადრევნები,
ქანდაკებებმა ჩაიარეს მოხდენილ წყებად.
სადღაც შორს, მუსიკა ქარივით კითხულობდა:
ვინ არის ეს ქალი, ვინ არის ეს ქალი
ასეთი ცისფერი?..“

ბუნებრივია, ქალის ამგვარ განზოგადებულ ხილვაში უფრო სახიერდება გალაკტიონის და ბლოკის მშვენიერი ქალის პოეტური პარალელები, ეს განწყობილება მერის ციკლის ლექსებშიც საგრძნობლად ცნაურდება, თუმცა თავად „მერის“ ავტორი გადაჭრით უარყოფდა ამ ფაქტს: „ჩემი მერი რომანტიკულია, მაგრამ რეალური და ცხადია, კრიტიკოსებს კი სურთ გააბან არარსებული კავშირები ჩემსა და ბლოკს შორის“. – წერდა იგი.

განსაკუთრებული პასუხისმგებლობით და ხაზგასმით ეკიდებოდა პოეტი მერის ციკლის ლექსების „სავიზიტო ბარათს“ - ზემოთ მოტანილ ცნობილ ლექსს „მერის“. „ეს დამოუკიდებელი ლექსიაო“ - წერდა იგი. თვით ამ ლექსზეც, როგორც ჩანს, პოეტი დიდხანს მუშაობდა და შემდგომშიც არაერთხელ მიბრუნებია მას. როდესაც ყურნალში „თეატრი და ცხოვრება“ ეს ლექსი პირველად იხილა მკითხველმა (1915 წელს), მას შედარებით განსხვავებული სახე ჰქონდა:

„შენ ჯვარს იწერდი იმ ლამეს მერი
მერი, იმ ლამეს მაგ თვალთა კვდომა
მაგ უცხო სახის ელვა და ფერი
მწუხარე იყო ვით შემოდგომა“.

თვით ამგვარი სახეც ამ სტრიქონებისა წარმოადგენს ერთ-
გვარ ტრანსფორმაციას „მერის“ იმ ფრაგმენტებისას, რომელიც
გალაკტიონის არქივშია შემონახული. მაგალითად ასეთი:

„შენ იმ ლამეს ჯვარს იწერდი ჩემო მშვენიერო მერი
ვინ აღწეროს შენი სახის მაშინდელი ფერი
ვინ ასახოს მისი იმ ჟამს უცხო კრთომა და იერი
მაინც ტურფა, მაინც სათნო და უზომოდ მშვენიერი“

ანდა:

„შენ ჯვარს იწერდი იმ ლამეს მერი,
შენი იმ ლამეს მაგ თვალთა კრთომა,
მაგ უცხო სახის ელვა და ფერი,
გაფითრდა ვით შემოდგომა“

ამ ვარიანტში კი ლექსი „მერი“ ჩვენგან ნაცნობი ლექსისაგან
ერთგვარად განსხვავებულია:

„შენ ჯვარს იწერდი იმ ლამეს მერი . . .
მერი! იმ ლამეს გული მწყდებოდა,
ვიდექი სვეტთან და ყველაფერი
მწარე ოცნებად მეჩვენებოდა.
ნუთუ დავკარგე, ნუთუ არასდროს
ბედი ჩემთან არ გაგათანაბრებს.
სხვისმა ალერსმა უნდა დაგათბოს?

სხვამ უნდა მოგცეს იღუმალ ზღაპრებს?
 ნუთუ სხვამ უნდა დასწვას ეგ მკერდი
 თოვლივით თეთრი და მშვენიერი?
 დაბრუნდი, მერი! მერი, შეჩერდი!
 მე აქ ვარ, აქა ძვირფასო მერი!
 შენ ჯვარს იწერდი იმ ღამეს მერი!
 იმ ღამეს შენი სიცოცხლის ბედი
 გათავდა . . . ჩაქრა შუქთა ჩანჩქერი.
 ტაძრიდან მწარე გესლით გავედი“.

- მიუხედავად იმისა, რომ „მერის“ ამგვარი ვარიანტი თვით ავტორმა შეცვალა (ან ნაწილი ამოიღო) ცხადია, რომ ეს ვარიანტები ცალკე დამოუკიდებლად წარმოადგენს „მერის“ ციკლის ლექსების მშვენიერ სახესხვაობებს, მაგრამ, როგორც ჩანს, გალაკტიონი ჩვეულებისამებრ ხშირად უბრუნდებოდა თავის ადრე დაწერილ ლექსებს და არცთუ იშვიათად ჩაასწორებდა ხოლმე მათ, ეს ჩაასწორება კი ზოგჯერ ახალ ლექსსაც ბადებდა. ასევე არაერთხელ მიუბრუნდა პოეტი „მთანმინდის მთვარეს“ და შემდეგდროინდელ ლექსებშიც არაერთხელ ახსენა (ჩაასწორებაზე რომ არაფერი ვთქვათ). იგი პირდაპირ აცხადებდა, რომ ეს „ჩემი საპროგრამო ლექსია“, „ბევრმა ვერ გაიგო“. არსებობს ლექსის - „სილაჟვარდე ან ვარდი სილაში“ - ერთგვარი პარალელური ვარიანტი, ამგვარი მაგალითები არცთუ იშვიათად გვხვდება გალაკტიონის შემოქმედებით სამყაროში.

რაც შეეხება „მერის“ დღეს აღიარებულ და ცნობილ ვარიანტს, იგი პოეტმა „არტისტული ყვავილებისთვის“ კიდევ ერთხელ (და საბოლოოდ) ჩაასწორა 1919 წელს.

როგორც ჩანს, გალაკტიონმა თავად ყველაზე უკეთ უნყოდა თავის „ხელუქმნელ პოეტურ ქმნილებათა“ განსაკუთრებულობასა, ერთადერთობასა და უკვდავებაზე და ამიტომ საოცარი პასუხისმგებლობით, დაკვირვებითა და სიფაქიზით ეპყრობოდა საკუთარ პოეტურ შედევრებს.

აღბათ, ესეც გენიოსთა ზოგჯერ ძნელად შესაცნობი შინასამყაროსათვის დამახასიათებელი თვისება და გამოსახვის შესაძლებლობაა.

მერის უმშვენიერესი ხატება კი კვლავ ქართული ლექსის მარადიულ სამშვენისად რჩება.

“არც მყვარებია
მეტი არასვინ”





ოგორ იცხოვრა, რა ასაზრდოებდა და რა ბოჭავდა გა-
 ლაკტიონ ტაბიძეს?! გამოარჩია თუ არა „ნიჭმა“ ცხოვრების
 ყოველდღიურობიდან პოეტი? ყოველ შემთხვევაში ის ცდი-
 ლობდა, გარეშემყოფთათვის საკუთარი თავი გაეცნო, სამაგიეროდ კი
 სითბო და ყურადღება მოეკრიბა, მაგრამ გაუსაძლისმა, მძიმე რეალო-
 ბამ მას ყოველივე ნაპგვარა და დარჩა მხოლოდ ლექსები. გალაკტიო-
 ნის ბედისწერა სრული სიმბოლოა საკუთარი ეპოქის სამსხვერპლოზე
 მისული შემოქმედის ტანჯული სულისა. არასოდეს ყოფილა მის ლე-
 ქსში ცხოვრება და ყოფა გაუთვალისწინებელი, ან დრო აღუნიშნავი.

„სინამდვილეს არ ვემდური
 არ ყოფილა თითქმის
 არყოფილზე საყვედური
 არასოდეს ითქმის
 და არც შიში გაორების
 არ მიგრძენია მწარე
 მე ხომ მთელი გზა ცხოვრების
 ასე გავატარე“

ამგვარი განწყობილება, როგორც ჩანს, გალაკტიონის მხოლოდ პოეტური მანერა არ ყოფილა, მელანქოლია და მისტიკა ცხოვრებაშიც და პოეზიაშიც მუდამ თან სდევდა, ერთადერთი, რაც მისთვის სულიერი მოთხოვნილებისა თუ საღებუნის ტოლფასი იყო, ისევედასევე ლექსის წერას და შემოქმედებით მუშაობას წარმოადგენდა.

1912 წელი ქუთაისი... გალაკტიონის ცხოვრებაში საბედისწეროც და მნიშვნელოვანიც... ამ დროს მას უკვე იცნობდნენ, პირველი, მშვენიერი ლექსები უკვე ქვეყნდებოდა ქუთაისურ პრესაში, ხშირადაც ხედავდნენ ბაგრატიის ტაძარსთან, პოეტურ ფიქრებთან განმარტოებულს, ასეთი ყოფა ძალიან არც უკვირდით გალაკტიონის მაშინდელ ნაცნობებს, რომლებიც მის ღრმადჩამჯდარ თვალებში ამოუცნობ სევდასა და მელანქოლიას აცნობიერებდნენ.

სწორედ ამ დროს . პირველი კრებულის გამოცემისთვის ზრუნავდა, ამისათვის ხელმომწერთა შეგროვება იყო საჭირო. ორი წელიწადი (1912 და 1913) ეს საქმე ვერაფრით მოხერხდა, რადგან ახალგაზრდა პოეტის გვერდშიმდგომ ხელისმომწერთა რაოდენობა კატასტროფულად მცირერიცხოვანი აღმოჩნდა – მხოლოდ 15 კაცი – ეს სულიერი ტკივილების გამძაფრების მიზეზი გახდა. ბოლოს, 1914 წელს მოხერხდა გალაკტიონის პირველი მცირე კრებულის გამოცემა, ავტორი მას „მწუხარე ნიგნს“ ეძახდა, როგორც ჩანს, მაშინ "სიკვდილის გზის ვარდისფერობაც" უკვე გაცნობიერებული ჰქონდა. ამ წლებში პოეტი მარტოობის მატარებლის მგზავრიც იყო და პირველი სიყვარულის მასპინძელიც. – ოღლა ოკუჯავა გალაკტიონის სიცოცხლის ნაწილად და ტკივილად ადრიდანვე იქცა. „ოლი, ოლოლ, ოლკინ, ლოლი, ოლია“ – როგორც მას პოეტი სხვადასხვა დროს სიყვარულით მოიხსენიებდა ქუთაი-

სელი სტეფანე ოკუჯავას ასული და რევოლუციონერთა დიდი ოჯახის წევრი იყო. მათ ერთმანეთი პირველად 1912 წელს ნახეს და სიყვარულის ამბავიც დაიწყო, (საოცარია, მაგრამ მერიც პირველად 1912 წელს იხილა გალაკტიონმა).

წერილებს წერდნენ ერთმანეთს, საკუთარ გრძნობას არცერთი არ მალავდა. ოლია: „ზაფხული იდგა. ქუთაისის ბაღში ახალგაზრდა მწერლები შეკრებილიყვნენ. შენ მუქი ბლუზა გეცვა და გახუნებული ქუდი გეხურა. მხრებში მოხრილი ჩანდი. სახეზე გენერაცხოვრება ტანჯვად გადაგქცეოდა და ამიტომაც მიმიზიდე. შემდეგ სულ შენზე ვფიქრობდი ჩაივლიდი და აგედევნებოდი... აჩრდილივით დაგდევდი... მითხრეს, გაგაცნობთო, მაგრამ არ ვისურვე. გაცნობაც უცნაურად მოხდა, თითქოს იძულებით. მინდოდა სულ შენთან ვყოფილიყავი, გველაპარაკა („დღიურიდან“). ოლია ამ დროს ქუთაისის გიმნაზიაში სწავლობდა. გაცნობისას გალაკტიონს ტიციან ტაბიძეც ხლებია «у неё гениальные глаза» მაშინვე შეუნიშნავს ტიციანს..

გალაკტიონი ფიქრებსა და ოცნებებში იწვოდა: ოლია და მერი – მაშინ ორივენი ქუთაისში იყვნენ. ერთს იცნობდა, სასიყვარულო სიტყვებს ეუბნებოდა, ხვდებოდა, ეხებოდა, მეორეს კი მხოლოდ ფურცლებიდან ესაუბრებოდა, ფიქრებსა და ოცნებებში ხატავდა...

სტეფანე ოკუჯავას ცხრა შვილიდან შვიდი შემდგომში ცნობილი რევოლუციონერი გახდა (შალვა, მიხეილი, ნიკოლოზი, ვასილი, ოლია, მარიამი). როგორც ჩანს, რევოლუციურ რომანტიკასთან ერთად, ერთი მათგანი-ოლია სასიყვარულო რომან-

* წერილები ციტირებულია: საქართველოს გლეხონიძის სახ. ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის, გალაკტიონ ტაბიძის არქივისა და უბის წიგნაკის მასალების მიხედვით.

ტიკის სათუთი და ფაქიზი ნიჭითაც იყო დაჯილდოვებული.

გალაკტიონი ოკუჯავებთან ხშირად დადიოდა, თავდაპირველად ოლიას მკაცრი ოჯახის წევრები არ იწონებდნენ მათ ურთიერთობას და 1913 წელს ქუთაისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ოლიას ჭიათურასა და ბათუმში მასწავლებლად მუშაობის მომხრენიც იყვნენ, ხელსაც უწყობდნენ. თავად ოლიასაც უკრძალავდნენ უცნაურ "ქუჩის ბიჭთან" შეხვედრას. გალაკტიონი კი ალაფრთოვანა ამ ქალმა და სიყვარულმაც ფრთები გაშალა: „მას შემდეგ რაც შენ წადი, რაღაც საშინელმა სიცარიელემ მოიცვა მთელი ჩემი არსება, სიცარიელემ, რომლის განადგურებას არ ვიცი, რანაირი მდგომარეობა შეიძლება და რა არის ამის წამალი? როდესაც შენ აქ იყავი, მე შემეძლო დამენახე შენ... ჩემთვის უბრალოდ შენს ახლოს ყოფნა საკმარისი იყო, რომ შენს გარდა არაფერზე მეფიქრა. როდესაც მწარე ფიქრები, სევდიანი და სასონარკვეთილი სულიერი განწყობილება შემიპყრობდა, მე მოვქროდი შენსკენ.“-ეს ბარათი 1914 წლის 6 იანვარს მიუწერია გალაკტიონს.

“ შენ ეს მითხარი, გიყვარვარ ძველებურად? მე კი ისევ ძველებურად, გაგიყვებით და დიდი სიყვარულით მიყვარხარ! მე ვერ წარმომიდგენია რომ მე და ოლოლი ერთმანეთს დავცილდებით როდესმე. რაღაც ძნელი წარმოსადგენია ეს. შენ როგორ ფიქრობ ოლკინ? მომწერე ოლკინ, თუ რანაირად და როგორ გიყვარვარ, რისთვის გიყვარვარ... ყველაფერი, ყველაფერი მომწერე...“ - ეს წერილი კი იმავე წლის 31 აგვისტოთია დათარიღებული.

შეყვარებულებმა თავისი გაიტანეს და 1916 წელს შეუღლდნენ კიდევ. მალე ქუთაისიც დატოვეს და მოსკოვში წავიდნენ ოლიას ძმებიც იქ იყვნენ. ცოლ-ქმარს სწავლის გაგრძელება უნდოდა, აქ გალაკტიონისათვის ლიტერატურული საღამოც კი მოუწყვიათ ქართველ სტუდენტებს.

ერთი შეხედვით ყოველივე მშვენივრად იყო, მაგრამ „არყოფი-
ლი სინამდვილისა“ და „მირაჟული ბედნიერების“ განცდა ახლა
უფრო მძაფრად სდევდა თან:

„ფარულ ტკივილების ბალი დაბურული
ასეთ გრადაციით მოდის ფრთაზვიადი:
ღამე – მარტოობის მტევნით დახურული
ფარდა იღუმალი, სარკე იშვიათი“

1916 წელი გალაკტიონმა მძაფრ სულიერ მეტამორფოზებში
გაატარა ჯერ იყო და მერის „სიყვარული გამოიგლოვა“, ხოლო
შემდეგ მოსკოვიდან ქუთაისში დაბრუნდა (24 ნოემბერს), რადგან
სწავლა ველარ გააგრძელა და აღარც იქ ყოფნა შეეძლო. ეხლა თა-
ვის სიყვარულს ისევ წერილებითლა ესაუბრებოდა:

„მაგრამ მე რა ვქნა, მე ვისაც სული
მაქვს ანენილი მწარე ქარებით
ვინც აღტაცება არ ვიცი სრული
არც სიყვარულით, არც მწუხარებით“

გალაკტიონი ოლიას მონატრებამ და მოუწყობლობამ შეიპყრო,
ქუთაისიდან წერილებს ხშირად აგზავნიდა მოსკოვში, ცდილობდა, იქ
ჩასვლის შემდეგ საქმე თავადაც ჰქონოდა და მხოლოდ პარტიული
საქმეებით დაკავებული, სამუშაოდან მოგვიანებით შინდაბრუნებული
მეუღლის მომლოდონე არ ყოფილიყო, თავადაც ესწავლა ან ემუშ-
ავა: "ოლია, შეიძლება თუ არა იანვრიდან შანიავსკის უნივერსიტეტში
ჩანერა?" ...და ყველაზე მთავარი სათქმელი: - "მე ვოცნებობ ჩვენს
ერთად ყოფნაზე, პატარა ბავშვზე" (1917 წლის წერილებიდან).

1917 წლის ბოლოს გალაკტიონი მოსკოვში ჩავიდა, სცენისმოყვარეთა ლიგიის ექვსთვიან სარეჟისორო კურსებზე 1918 წლის 25 ივნისამდე სწავლობდა. 1918 წლის ისტორიული პერიოპტიების თვითმხილველი მოსკოვსა და პეტროგრადში გახდა და აღფრთოვანებულმა ყოველივე პოეტურ ხილვებში აღწერა, რევოლუციური რომანტიკა მას ცოლმაც გადასდო. ოლია ოკუჯავა მაუზერიტა და მხართან მიმაგრებული წითელი ლენტით დადიოდა; გამოცდილი პარტიული მუშაკი, ლენინური შაბათობების აქტივისტი, რომელიც არც მალავდა, რომ ის და მისი ძმები ლენინის პირადი მეგობრები და მისი იდეების ერთგულნი იყვნენ, ხოლო სტალინი - არ უყვარდათ.

ოლიას განსაკუთრებული სინაზით უყვარდა ქმარი, ბავშვით ეფერებოდა მის ხელნაწერებს, ზოგჯერ თურმე ეჭვიანობდა კიდეც, მაგრამ გალაკტიონი მაინც მარტო იყო, 1918 წელს საქართველოშიც მარტო დაბრუნდა, ამჯერად უკვე თბილისში.

რევოლუციური რომანტიკა ამის შემდეგ კიდეც კარგახანს გაგრძელდა, მაგრამ სამოქალაქო ლირიკის პარალელურად კვლავ ზეობდა გალაკტიონის შინასამყაროში ცისფერი მუზა. სიმბოლისტური ვნებათაღელვანი ვერ ჩააცხრო რევოლუციის წითელმა ქარიშხალმა.

„სტიროდა სული ცისფერ ღვინოებს
ღვინო ეძებდა სულ სხვას პირიქით
და შემდეგ უცნობ პიანინოებს
ატრიალებდა ტანჯვის ლირიკით“

(„სტიროდა სული ცისფერ ღვინოებს“ 1919 წ.)

„მარტოობის დღესასწაული“ კი მაინც გრძელდებოდა...

1919 წელს ოლიამ შაბათობაზე მუშაობისას ჟანგიანი ხერ-

ხით ხელი გაიჭრა ინფექციამ და სისხლის მონამვლამ მხარი და მკლავი დაუზიანა. გალაკტიონი ძლიერ წუხდა ცოლის ჯანმრთელობის გამო, თუმცა მხოლოდ შორიდან, ოლია კი გაბრაზებული ბავშვივით გალაკტიონს მოსკოვში დაბრუნებას თხოვდა.

...შემდეგ 21 წლის თებრელის დღეებმაც ჩაიარეს, გალაკტიონი თითქოს გვერდიდან შეპყურებდა მოვლენებს „25 მარტიდან 2 აპრილამდე ტფილისი ცოტათი გამოიცვალა კომუნისტები რეპრესიებს აღარ ხმარობენ. ჩვენთვის მოუციათ დიდებული „ხელოვნების სასახლე“... მთავრობა ხელოვნებას დიდი ყურადღებით ეპყრობა, უთუოდ არც მე დავიჩაგრები, რანაირი იქნება ჩემი მომავალი მუშაობა ჯერჯერობით არ ვიცი...“ _წერდა იგი ოლიას. ამ ვერგარკვეულობას პირადი ყოფის მოუნწყობლობაც ემატებოდა: „ოლია სწორედ მაშინ გაქრება, როდესაც ავად ვარ და წყლის მიმწოდებელი კაცი არ არის. ამასწინათ მთელი კვირა ვიყავი ავად, ვინეკი სანოლში და ჩემთან არავინ. მოსულა“.

განშორება 1922–ში ოლიას საქართველოში ჩამოსვლით დასრულდა, თუმცა ერთადყოფნის ბედნიერება თურმე ისევ “ხანიერი” იყო.

გალაკტიონი კი თითქოს გამოცოცხლდა, საყვარელი ქალი კვლავ გვერდით ჰყავდა, ამის შემდეგ ერთობლივი მუშაობაც შეიძლებოდა, თუნდაც ასეთი: "ჩვენ, ქვემოთე ამისა ხელისმომხრნი, ოლია ოკუფავა და გალაკტიონ ტაბიძე, ვსდებთ ხელშეკრულებას მას შინა, რომ სექტემბრის პირველი რიცხვებიდან ვინცებთ ერთად სალიტერატურო შრომას, ამ შემთხვევაში რომანის წერას, თუ რომელიმე ჩვენგანმა ან დაუდევრობით ან წინასწარგანძახულებით, ერთი სიტყვით, არაპატივისცემი მიზეზის გამო დაარღვია ეს ხელშეკრულება,დამრღვევი მხარე გადაიხდის ჯარიმას 300 მანეთს მეორე მხარის სასარგებლოდ,

სამი თვის განმავლობაში. ეს პირობა რომ იქნას შესრულებული, ამისათვის საჭიროა: ღრმა, ნაზი, ძლიერი, და სპეციაკი სული. ამას კი ართმევს გალი ოლიას დაუბრუნე ოლიას მისი იდეალი და ის კი შეასრულებს ამ პირობას. ხელს ვანერო ჩვენ ორნი: ოლე ოკუჯავა და გალ. ტაბიძე”.

–ეს ხანა გალაკტიონის შემოქმედებით ყოფაშიც განსაკუთრებული ნაყოფიერებით და ვიტყოდით, ოპტიმიზმითაც გამოირჩევა.

“ორი ზღვა შეხვდა ერთიმეორეს,
ერთი – ქარიშხლის, მეორე–მშვიდის,
მათ აღტაცებით გაიმეორეს,
რომ დრო ახალი იმედით მიდის.
ტალღები სთვლემენ, ვით შორი ბედი
და ნაპირებთან მოსული ნავი
ზვირთებთან ერთად ოხრავს მილედნი
და პოეზიის დაიძრა ნავი”.

ისინი ერთმანეთს ავსებდნენ, ამ სიტყვის ყველაზე საუკეთესო გაგებით. ეს არ იყო მხოლოდ სიყვარული ან მხოლოდ თანაცხოვრება, ეს ამქვეყნად ერთმანეთისთვის მოვლენილ ადამიანთა ყოფის ისტორია იყო. ცოლ–ქმარი ყოველდღიურობის მძიმე რეალობაში ზოგჯერ ერთმანეთს ეკარგებოდნენ, ეჭვიანობდნენ, ბრაზობდნენ, კინკლაობდნენ, და მაინც ერთმანეთისკენ ილტვოდნენ და სულ ერთმანეთზე ფიქრობდნენ. მათ ერთმანეთი მუდამ სჭირდებოდათ და მთელი ცხოვრება ერთმანეთს ეძებდნენ; მაშინაც კი როცა სხვადასხვა ქალაქებიდან მხოლოდ წერილებით საუბრობდნენ და მაშინაც, როცა ერთმანეთს სამუდამოდ დაშორდნენ.

შემდეგ ყველაფერი რალაცნაირად მეყსეულად მოხდა, “მარტოობის დღესასწაულმა” კვლავ გაახსენა თავი პოეტს. ამ შემთხვევაშიც ყოველივეს განსაკუთრებულობისა და მარტოსულობის ბედისწერა განაგებდა. როგორც ჩანს, შინაგანი შემოქმედებითი და ინტუიტიური მზაობა ამ დიდი სახეცვლილებისაკენ უკვე არსებობდა, საბაბი კი ცხოვრებისაგან ნაბოძები კიდევ ერთი მძიმე დარტყმა იყო...

ოლია ოკუჯავა 1929 წელს დააპატიმრეს ძმებთან ერთად და შუა აზიაში, უზბეკეთში გადაასახლეს. ოკუჯავეები (ოლიას მამა და ძმები) სტალინსა და ბერიას თავიანთ პირად მონინალმდეგედ მიაჩნდათ, არც ოკუჯავეები მალავდნენ მათთან აზრთა და დამოკიდებულებათა სხვადასხვაობას. გამარჯვებულმა სტალინის მომხრეებმა „უკლონისტობის“ ბრალდებით მაშინ ბევრი ძველი რევოლუციონერი დასაჯეს, მათ შორის პირველები ოკუჯავეები იყვნენ, როგორც ხდებოდა ხოლმე, ბრალდება მთელ ოჯახებზე, საგვარეულოზე ვრცელდებოდა, მით უმეტეს, რომ ოლია არ იყო მხოლოდ ოკუჯავეების ოჯახის წევრი, იგი თავადაც აქტიური პარტმუშაკი იყო.

გალაკტიონისათვის არავის არაფერი აუხსნია, მას შემდეგ, რაც ოლია მოსკოვიდან თბილისში დაბრუნდა გალაკტიონი თავს უკეთესად გრძნობდა... ამ დროიდან კვლავ ესტუმრა „ძველი ნაცნობი“ – მარტოობა. პირველ ხანებში ლექსებსაც აღარ წერდა, ჩუმად დადიოდა, სმას მოუხშირა, უფრო დაძაბული და ნერვიული გახდა:

„შენ ფოლადივით ცივი თვალებით
 უცქერ განვლილ გზას და არ ემდური
 რად გინდა იყო დიდი პოეტი
 თუ სიცოცხლეში ხარ უბედური?“

აქვეყნებ ლექსს, თუ თმას გაღვივარცხნი,
გამოსვლის უმალ, როგორც შურდული
მოგესევთან მარჯვნივ და მარცხნივ
და წუთის უმალ ხარ გაქურდული?“

ხანგრძლივ განშორებას ადამიანური სისუსტეები ვერას აკლებდ-
ნენ: “დადგებიან ხოლმე ჩემს პირდაპირ, გადაჰყურებენ ქვევით და
ალბათ ფიქრობენ, რომ მე ისინი მაინტერესებენ, ისინი მხოლოდ
შურს ძიობენ იმის გამო, რომ მე მათ არავითარ ყურადღებას არ
ვაქცევ როგორც ქალებს... ამიტომ ძალიან არიან გაბრაზებული“. „მე
არავისში არ გავცვლი ერთ ძვირფასს, ყველაზე უფრო საყვარელ ადა-
მიანს, ოლიას... არც მყვარებია მეტი არავინ...“ “ჩემს გვერდით დაჯდა
ქალი ძალიან ლამაზი, როდესაც დაბნელდა ქალმა არშიყოფა დამინყო,
რა თქმა უნდა ჩუმად, ხელი მომკიდა ხელში და მაგრად მომიჭირა...
ალბათ ძალიან მოვენონე-მეთქი...“ მაგრამ ოლიას აჩრდილი თითქოს
მუდამ თან სდევდა –“სიზმარი უკეთესია, ვინემ სინამდვილე“.

...უზბეკეთში გადასახლებული ოლია ოკუჯავა 1932 წელს
დაბრუნდა, მაგრამ მშვიდი ცხოვრება მაინც შორს იყო.

„როგორც ხანდახან ნივთს ეძებ დიდხანს
ნივთი კი თვალნინ ყოფილა თურმე —
გადამაჩვია ლექსების კითხვას
ამ ხმაურობამ ჯოჯოხეთურმა.
სიბერის ხანა გულს ეპარება
და ნათელ ღღეთა ჰქრება ფიცხობა
მას ხან ეშმაკი გადეფარება
ხან სასიკვდილო გულმაღვინყოფა“.

(„მეხსიერება“)

დაბრუნება ხანგრძლივი არ ყოფილა, ოლიას რევოლუციური ენთუზიაზმი და პიროვნული დამოკიდებულება რიგი პარტმუშაკებისადმი არ შეცვლილა, ოკუფაციებს კვლავ საშიშ მტრებად მიიჩნევდნენ. 1937 წელს გალაკტიონის ცოლისძმები დახვრიტეს, ოლია კი კვლავ გადაასახლეს, ამჯერად ვლადიმირის საპატიმროში, წითელი ტერორი გრძელდებოდა, გალაკტიონიც პატიმარი გახდა, ოლონდ საკუთარი ტკივილის, დარდისა და ბედისწერისა:

„ცხოვრების ეტლის სადარებელი
 საცაა გავა მატარებელი
 მიემგზავრება იმედი ჩემი
 ბედის ვარსკვლავის სადარებელი
 ვიცი, ამ წასვლას რაც ეწოდება —
 რა საჭიროა ახლა გოდება.
 მტრებლისაგან როს მიმიღია
 ან თანაგრძნობა ან შეცოდება?
 მატარებელი თვლემს, როგორც ლავა
 მატარებელი ხუთ წუთში გავა
 ვინც სხვებს აცილებს, დროა ჩასვლისა
 მატარებელი ხუთ წუთში გავა.
 აჰა, დაიძრა რკინის ბორბლები
 მისვლევ ვაგონებს, მალჩობს გრძნობები
 გემშვიდობები სამარადისოდ
 საამარადისოდ გემშვიდობები!
 გეტავ ასეთი სად მერგო ბედი
 ყოველჟამს ვკარგო თითო იმედი
 გამოსალმების ხელოვნებისთვის
 ნუთუ არვინ არს პოეტის მეტი?“

(„უკანასკნელი მატარებელი“)

გალაკტიონი ცოლს გადასახლებაში მხოლოდ ფულსა და ამანათს უგზავნიდა, ოლია კი სთხოვდა, წერილი გამომიგზავნეო, გალაკტიონი ჩუმად იყო, თითქოს აღარც კი ახსოვდა ის ხანგრძლივი ეპისტოლარული ურთიერთობა – სიყვარულის მშვენიერი წიგნივით რომ არსებობდა მათი სიყვარულისა და ცხოვრების მემატინად. 1941–ში ოლია ოკუჯავა, სხვა პოლიტპატიმრებთან ერთად, გაქცევის მცდელობისათვის ორიოლის მახლობლად, მედვედევის ტყეში დახვრიტეს, დასჯილებს საფლავებიც იქვე გაუთხარეს და შემდეგ მიწაც მოასწორეს, კონსპირაციისათვის.. გალაკტიონმა ეს, ბუნებრივია, არ იცოდა, უბრალოდ, ამანათი უკან დაუბრუნეს და შეატყობინეს, რომ ამ მისამართზე აღნიშნული პატიმარი აღარ იმყოფებოდა; ამ დროს გალაკტიონს უკვე სხვა ცოლი ჰყავდა ოლგა ტარიუსი, ოლგა ტარიუსს გალაკტიონის ამანათებიც თავად უგზავნია და წერილიც კი დაუწერია ოლიასათვის გალაკტიონის სახელით, მოვლა–პატრონობასაც არ აკლებდა პოეტს, თუმცა მათი ურთიერთობა ხანგრძლივი არ ყოფილა, შემდეგ გალაკტიონმა ცოლად შეირთო ნინო კვირიკაძე (რეპრესირებული გენერლის ქვრივი); მაგრამ ოლიას დაკარგვამ როგორც ჩანს, პოეტს მოუშუშებელი იარა დაუტოვა, მის ნაწერებს სიცოცხლის ბოლომდე ინახავდა, სულიერ საყრდენს სხვა ადამიანებში ამოდ ეძებდა, თავდავინწყება სურდა ხან ლექსებით და ხან ღვინით, სიკვდილის ლანდს ვერ იცილებდა და სულიერი წონასწორობის შენარჩუნებაც უჭირდა.

მკითხველებმა კი ეს არ იცოდნენ ისინი გალაკტიონისაგან ახალ პოეტურ შედევრებს კვლავ ელოდნენ, გალაკტიონიც ყოველმხრივ ცდილობდა კვლავ წარმოეჩინა ნატიფი პოეტური შთაგონებანი, თუმცა ყოველთვის არ გამოსდიოდა. ხულისუფლებას თითქოს „არ ახსოვდა“ გალაკტიონი რომ „ხალხის მტრის“ მეულ-

ლე იყო: კრებულები, სხვადასხვა გამოცემები, შემოქმედებით სა-
ლამოები, შეხვედრები, დელეგირებული შემოქმედებითი მივლი-
ნებები და არა მხოლოდ საბჭოთა კავშირში, ოკუფაციების ოჯახის
წევრისადმი წარმოუდგენელი იყო ასეთი დამოკიდებულება. სახე-
ლისუფლო მაღალჩინოსნები, როგორც ჩანს, ხალხის თვალში ხაზ-
გასმულ პოლიტიკას ატარებდნენ დიდი პოეტის მიმართ: სახალხო
პოეტი გალაკტიონი ტაბიძე არ უნდა დასჯილიყო თავისივე ახ-
ლობელთა საქციელის გამო, თუ ის მათი თანამოაზრე არ იქნე-
ბოდა. გალაკტიონიც ხმამაღალ პოეტურ განცხადებებს აკეთებდა
„საბჭოთა ცხოვრების მესაჭეებზე“ სოციალისტურ აღმშენებლო-
ბაზე, ეპოქის „უდარებელ და გადამწყვეტ“ გამარჯვებებზე, რიხით
კითხულობდა ლექსებს შემოქმედებით შეხვედრებსა, თუ რადიო-
ჩანერებზე.

მაგრამ როგორც კი საკუთარი ოთახის კარს შემოიხურა-
ვდა, კვლავ იწყებოდა „მარტოობის დღესასწაული და საბედისწე-
რო „ავი მუსიფები“ სიკვდილის ზმანებასთან:

„გული ჩემო მღელვარე,
სულო ჩემო მყივარო
ერთი დღეც არ გქონია
მშვიდი, უსატკივარო“.

ციხვარი ორდენის
სულიერი პრინცესა



„**მ**სოფლიო იღებს საყვარელ ქალის ფორმას“
 „შვიდასი წლის დედოფლის“ თამარის სახით მარადი ქალურობის იდეა პირველად გამოეცხადა ქართულ პოეზიას. სადაც არის ნამდვილი ხელოვნება, იქ არის მისტიური ნყურვილი, რომელიც უდრის უკვდავების წინაგრძობას.

ჩვენ პოეზიაში ვგრძნობთ ჯიოკონდას ღიმილს, ეს ღიმილი არის უკანასკნელი ბედნიერების დაპირება.

თანამედროვე პოეზია ამ ღიმილის ღერბის ქვეშ მიდის. ეს პოეზია აფასებს მინის ნოყიერებას, მაგრამ ვერ დაივიწყებს რომანტიულ ცას.

აფროდიტას შემდეგ პოეზიის ქალბატონად იყო გამოცხადებული თვით მადონა, მაგრამ მადონას იდეალი იყო მეტად მაღალი, პოეტებიც უფრო ხშირად უმღერდნენ „მშვენიერ დამას“ – წერდა ვალერიან გაფრინდაშვილი („ჯიოკონდას ღიმილი“ 1923 წელი).

ქართული პოეზიის მარადიული დედოფლის მინიერ მემკვიდრედ, XX საუკუნის ქართული ლექსის ქალური საწყისის განუყოფელ სიმბოლოდ უნდა მივიღოთ ელენე დარიანიც –

ქართული სიმბოლიზმის მშვენიერი ასული, ცისფერყანწელთა ორდენის ყველაზე სათუთი და საიდუმლოებით მოცული დობილი, სულიერი სიფაქიზის და მინიერი ლტოლვის საოცარი აპოლოგეტი, ცისფერყანწელთა ძმობისა და ერთაზრობის ერთ-ერთი მიზეზთაგანიც და, ბოლოს, სახელი, რომელმაც საკმაოდ ძლიერ შეანჯღრია დოგმებითა და სტერეოტიპებით დაღეჭილი განწყობილება-შეხედულებანი ფაქიზი სულის, სიცოცხლის წყურვილის უშუალო და მძაფრი გამოსატვის შესაძლებლობით.

„ისე მოვედი, რომ არვინ არ მომელოდა
მივეცი კოცნა მებაღეს და გაიღო კარი
მარტო ვიყავი! ჩემ გარშემო ლურჯად ბნელოდა,
მაგრამ შემომხსნა ქმრის ხელებმა ტანზე ქამარი! . .
გავყვეთ სიმღერებს! ჩემი ვნება აღდართულია,
და ის მახარებს, მამაისებს ბაღში შემოსულს,
რომ ჩემი კოცნა, სიყვარული, ხმაც ქართულია
ყოველთვის ციურს, ჯერ უცნობი სიშმაგე რომ მსურს.
ჩემი ცხოვრება ისეთია, როგორც ოცნება,
ჩემი ნუხილი, სიხარულიც ტრფობის ბრაღია
ჩემს სხეულს მეფობს ხან სინაზე, ხან საოცრება
დედოფლობს გული! ის ყოველთვის მომღერალია“.

(„უვერტიურა“, ცისფერი ყანწები, №2 1916. ქუთაისი).

ეს ლექსი – „დარიანული“ პოეზიის ერთგვარ სავიზიტო ბარათად რომ შეიძლება მივიჩნიოთ, არ იყო მისი პირველი გამოჩენა საზოგადოებაში. ელენე დარიანმა ერთგვარი „ლიტერატურული რევერანსი“ „ცისფერი ყანწების“ გამოსვლამდე ცოტა ადრე – გალაკტიონის ლიტერატურულ საღამოზე გააკეთა: 1915

საშიშია. მას ტემპერატურა ძლიერ აწეული აქვს. მისი ლიტერატურული აპოგეი უკვე გათავდა, მან წერა ბოლოდან დაიწყო, სულიერი საუნჯე ელენე დარიანის არ გააჩნია, ხოლო რაც მას აქვს, იმასაც ვილაც თავადი ბატონობს! ქალური მასში არაფერია არც სინაზე, არც უმანკოება, მოკრძალება. ტლანქია, ჩვენს პოეზიას ის ვერაფერს შემატებს, სულით ლატაკმა და ტანით შიშველმა ან კი რა უნდა მოგვცეს?!" (გაზეთი „სამშობლო“, 1916 №353). „ჩვენ ეჭვი გვეპარება, რომ ქართველი ქალი ამრიგად დაცემულიყოს და ვეჭვობთ რომ ის მართლა ელენე იყოს" (გაზეთი „სამშობლო“, 1916 წ.).

ერთი შეხედვით ეს რეაქცია არც იყო გასაკვირი ლიტერატურული კრიტიკისაგან, რადგან ეს გახლდათ ერთი ნაწილი იმ ანათემისა, რომელიც მან საზოგადოდ, გამოუცხადა ცისფერყანწელთა ორდენს და უხამსი, არაპროფესიული, მწერლობის მოსურნის ყალბმანტიამოსხმული პუბლიცისტური დემარშები იმდროინდელი პერიოდიკის („სამშობლო“, „ახალი კვალი“, „ემმაკის მათრახი“) ნომრიდან ნომერში გადადიოდა. განსაკუთრებული სიმძაფრით კი სწორედ ელენე დარიანს ესხმოდნენ თავს, რადგან მის ლექსებში მხოლოდ და მხოლოდ ქართველი ქალის „კდემამოსილებისა და საუკეთესო თვისებების" შეურაცხყოფას ხედავდნენ. ამიტომაც იყო, რომ ამ გამოცემათა ფურცლებიდან მიმართავდნენ „ყანწელთა ზოგიერთ ავტორს“, რათა ჩამოეხსნათ ნილაბი ელენე დარიანისათვის და დაენახებინათ მისი „ნამდვილი სახე" (როგორც ჩანს ეჭვი, რომ ელენე დარიანის სახელის უკან ვილაც სხვა პიროვნება იდგა, იმთავითვე არსებობდა). მაგრამ პოეზიის, სიმბოლოსა და მეგობრობის სიყვარულით შეკრულმა ახალგაზრდა ყანწელებმა ერთგულად შეინახეს თავიანთი ორდენის „სულიერი პრინციპის" ვინაობის საიდუმლოება და

არავინ უწყობდა, რომ ელენე დარიანის სახელის უკან ქართულ მწერლობაში იმდროისათვის სრულიად უცხო და უპრეცედენტო მოვლენა – ლიტერატურული მისტიფიკაცია იდგა.

ელენე დარიანის მითი ძალაში შედიოდა და მაინც იგი ისევ შინაურებმა „ნაახალისეს“. გრიგოლ რობაქიძე („სახალხო ფურცელი“, 1918 წ. №469): „ჩვენში ბევრი ლექსი ინერება „ვნების“ შესახებ, მაგრამ სულ ცოტა მათგანი თუ მოგვცემს ნამდვილი ვნების გრძნობას, ეს ლექსები კი ნამდვილის განცდას გადმოგვცემენ, გრძნობით „ვნებას“ და არა მშრალ სიტყვასა, კიდევ ორი-სამი ბიჯი და ავტორი, სინამდვილის, მხატვრულად განცდილის კრიტიკას მოგვცემს“, შალვა აფხაიძე („ბახტრიონი“, 1922 წ. №13): „ქართულ პოეზიაში არის ქალური სინაზის ხაზები უდაოდ. მაგრამ არ არის ის, რაც იძლევა პოეტი ქალის ნერვსა და ფოსფორს. ერთი ელენე დარიანი, რომელმაც ქალური ღიმილი შეიტანა სტრიქონებში არ არის საკმარისი, რომ შექმნას რკალი თავის თავში დასრულებული“. ტიცციან ტაბიძე („ციცფერი ყანები“, 1916 წ. № 2): „ვინ არის დამნაშავე იმაში, რომ ქართული მწერლობა ისე გაადაჭურისეს, რომ პორნოგრაფიად ითვლება გრიგოლ რობაქიძის და ელენე დარიანის ლექსები.“ ვალერიან გაფრინდაშვილი („მეოცნებე ნიამორები“, 1922 წ. № 7): „ელენე დარიანმა პირველი კლასიკური სონეტი დანერა ჩვენში“.

მიუხედავად მოგვიანებით მინიშნებული რამდენიმე კომენტარისა, რომელმაც აქა-იქ მაინც გაიელვა ელენე დარიანის ვინაობის თაობაზე, მისტიფიკაციამ თორმეტ წელიწადს გაუძლო და საოცარი პოპულარობა მოიხვეჭა. ეს იყო არა მხოლოდ მოვლენის პირველი ქართული ლიტერატურული მისტიფიკაციის წარმატებული ფაქტი, არამედ შემოქმედებითი გარდასახვის,

მხატვრული თვითგამოხატვის განუმეორებელი მაგალითი, რო-
დესაც მამაკაცი შეეცადა ქალის ინტიმური ბუნების, მისი ში-
ნაგანი ფსიქიკური წყობის ახსნას, მის შინასამყაროში ჩაღრმა-
ვებას, განცდილის ლექსად გადმოცემას. დარიანული ლექსები
სიცოცხლის პიმნია სავსე მხატვრული სახეებით და სიმბო-
ლოებით, ნატიფი პოეტური ხელოვანებით, საოცარი ესთეტიკუ-
რი მსოფლგანცდით. იქნებ ზემოთქმულის გამოძახილადაც მი-
ვიჩნით სიმბოლისტთა „სულიერი მამის“ ვლადიმერ სოლოვიო-
ვის ეს სიტყვებიც: „Ложная духовность есть отрицание плоти,
а истинная духовность есть её перерождение, спасение,
воскресение“.

ალბათ იმის გამოც, რომ ლიტერატურულ ცხოვრებაში სენ-
საციად იქცა ელენე დარიანის გამოჩენა, მისი გაბედული აზრე-
ბი და დაუფარავი განწყობილებანი, საზოგადოებამ საერთოდ
ვერ გააცნობიერა ის, რომ ელენე დარიანის დღიურები, უნი-
ნარეს ყოვლისა, სწორედ ლიტერატურული ფენომენი იყო. და
ბუნებრივია, აქედან გამომდინარე, კიდევ უფრო ძნელად შე-
სამჩნევი გახდებოდა ის ფაქტიც, რომ ამ ლექსების ავტორის
პაოლო იაშვილის სხვა პოეტური ქმნილებები თავისი პოეტუ-
რი ფორმით, მხატვრული აქსესუარით და ხელნერით ძალიან
ჰგავდნენ ერთმანეთს. „ქართველ ხალხში ცხოვრობს უკვდავი
აქტიორული სული. იმას მუდამ უნდა სხვა იყოს, იმას უყვარს
თეატრალიზაცია ცხოვრების, ქართველ ხალხს უყვარს ნილა-
ბი“ – ნერდა ტიცციან ტაბიძე (ყურნ. „ცისფერი ყანნები“, 1916
წ.). ე. ლანმაც ლიტერატურ მისტიფიკაციაში ნიღბის სიყვა-
რული, „ლიტერატურული თეატრალიზაციის სურვილი“ შე-

* В. Соловьев „Смысл любви“, собр. соч. т. VI, стр. 600

ნიშნა¹. რემი დე გურმონი კი „ნილაბთა ნიგნში“ (1913 წ. გვ. 61) სიმბოლისტის ანუ არტისტული სულის მქონე შემოქმედის თვითგამოხატვის მიზანზე მიუთითებს – „...Индивидуализм в литературе, свобода творчества, отречение от заученных формулировок, стремление ко всему новому, необычному, даже странному“.

ნაწილობრივ იქნებ სწორედ ამითაც აიხსნება ელენე დარია-ნის სახის შექმნაც, მაგრამ დარიაწული ლექსები არ იყო ოდენ თვითმიზნური ლიტერატურული თეატრალიზაციის სურვილი, მათი შექმნის მიზეზი პაოლო იაშვილის პიროვნებაში უნდა ვეძიოთ: ეს იყო უდიდესი პიროვნული ხიბლის მქონე ადამიანი, ექსპრომტების დიდოსტატი, ბუნტარული ხასიათის, მჭევრმეტყველი, იმპროვიზატორი, მისტიფიკაციის დიდი ოსტატი, დარდიმანდი, თეატრალური გარდასახვის საოცარი უნარის მქონე, რომანტიკულ-აქტიორული ბუნების შემოქმედი.

იყო კიდევ ერთი მიზეზი, რომელმაც არაერთ მისტიფიკაციას დაუდო სათავე – ეს იყო მითის შექმნა. გრიგოლ რობაქიძე სიმბოლიზმის საფუძველს სწორედ „მითთამთხველობაში“ ხედავდა: „არა მარტო ოდენ გარე სიტყვიერად არამედ შინა სამშვინისეულად უბრუნდება სიმბოლიზმი ქურუმობასა და მითთამთხველობას“ – წერდა იგი. ამ მომენტზე ვალერიან გაფრინდაშვილიც მიუთითებდა: „დღეს პოეზია ქმნის ახალ მითებს, ძველი მითები არავის არ სწამს, იმავე დროს ჩვენ გვწყურია მითი და ახალი დრო ქმნის ახალ მითს...“

ცისფერყანწელებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა კოლომბინას და პიეროს ნიღბებს, რამდენადაც ისინი გამოხატავდნენ პროტესტს ყოველგვარი ოფიციალურის, კლა-

¹ Е. Ланн, „Литературная Мистификация“, 1930

სიკურის, დამკვიდრებულის და საერთო გემოვნებით დაკანონებულის წინააღმდეგ. ცისფერყანელთა ყოფა მართლაც მალე იქცა მითად და მითის მთავარი სიმბოლო სწორედ ელენე დარიანი იყო (თუმცა ამ დროს გამოჩნდნენ აშორდიასა და ირუბაქიდის სახეები).

მართლაც, სიმბოლისტებმა სატრფიალო ისტორიები მისტიკრიებად აქციეს. თუმცა „დარიანულ“ პოეზიას საქართველოში სხვა პრეცედენტი არ ჰქონია, მაგრამ მსოფლიო ლიტერატურაში მას წინამორბედიც არაერთი ჰყავდა და თანამედროვეც. თუმცა საოცარია მაგრამ ფაქტია, რომ ელენე დარიანისნაირი პიროვნული სიცოცხლე არცერთ ლიტერატურულ მისტიფიკაციას არ ჰქონია. მაგალითისთვის შეიძლება ჩამოვთვალოთ ლიტერატურის ისტორიისათვის ცნობილი თუ ნაკლებად ცნობილი მისტიფიკაციის მაგალითები. კერძოდ, პუშკინის ცნობილი მისტიფიკაცია, რომელიც ინგლისელი მწერლის ჩენსტონის სახელს უკავშირდებოდა და რომელსაც „ძუნნი რაინდის“ ავტორად ასახელებდა. აგრეთვე, პროსპერ მერიმეს „ილირიული პოემები“, რომელთაც ხალხური დაარქვა ავტორმა და მისი მსხვერპლი თვით პუშკინი გახდა შემდგომ თავისი თარგმანით „Песни западных славян“, ასევე მერიმეს „კლარა გასულის თეატრი“, არარსებული კლარა გასულის ბიოგრაფიით; პ. ვიაზემსკის ცნობილი მისტიფიკაცია – ომერ დე გელლის „Письма и заметки“; ალექსეი ტოლსტოისა და ძმები ფემჩუჟნიკოვების „კოზმა პრუტკოვი“; განსაკუთრებით აღსანიშნავია ელიზავეტა დიმიტრიევასა და მისი სულიერი მეგობრის ვოლოშინის დახმარებით დაბადებული ჩერუბინა დე გაბრიაკი, რომელიც თავისი სულიერი დრამატიზმით თუ პოეტური განწყობილებებით ელენე დარიანის უმრწმეს დათ შეიძლება მივიჩნიოთ. ჩერუბინა ელენე

დარიანზე რამდენიმე წლით (1909) ადრე იშვა ლიტერატურაში, მაგრამ საოცარი პოპულარობისა და ფაქიზი პოეტური გემოვნების მიუხედავად მისი პიროვნება სულ 2-3 თვეს ცხოვრობდა პოეზიაში და საკმაოდ მალე გამომჟღავნდა. გარდა ამისა, ჩერუბინა დე გაბრიაკის პოეზია ელენე დარიანისაგან განსხვავებით ქალის შექმნილი იყო და შედარებით დღემოკლევ, თუმცა ერთგვარი იმპულსი ამ ლექსებისა შეიძლება „ელენე დარიანის დღიურებშიც“ გავაცნობიეროთ. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ელენე დარიანი პიროვნულად ახლოს არის ჩერუბინა დე გაბრიაკის ფაქიზ და მშვენიერ სულთან, მაგრამ არა იმდენად დავალებული როგორც ანა ახმატოვასა და მარინა ცვეტაევას პოეზია. არ შეიძლება არ გავიხსენოთ ასევე ვალერი ბრიუსოვის, ანდრეი ბელისა და ნინა პეტროვსკაიას მითად ქცეული ურთიერთობა. ბრიუსოვის რომანი, რომელმაც სათავე დაუდო „ცეცხლოვან ანგელოზს“. ან კიდევ ბლოკის მიერ საკუთარი სამიჯნურო ისტორიის გაზღაპრების ამბავი – ლიდია მენდელეევას წარმოსახვა სოლოვიოვის „მარად ქალურობის“ კულტის კვალობაზე „მშვენიერი ბანოვანის“ ციკლის ლექსებში. ანალოგიურ მოვლენად შეიძლება მივიჩნიოთ XVIII საუკუნის ფრანგი პოეტი დეფორჟე მაიარი, რომლის შემოქმედება საშუალო შესაძლებლობებიდან საოცრად დახვეწილ და მაღალმხატვრულ სახეებში გარდაისახა პოეტი ქალის მალკრე დე ვინის სახელით გამოქვეყნებულ ლექსებში. აღსანიშნავია 1909 წელს გიომ აპოლინერის მიერ მოგონილი პოეტი ქალი ლუიზა ლალანი.

პაოლო იაშვილის ელენე დარიანმა თითქოს ყველაზე ოსტატურად გაართვა თავი წინამორბედთა ნაკლოვანებებს. უნდა ითქვას, რომ პოეტური ძალმოსილებით პაოლო იაშვილის დანარჩენი ლექსები არაფრით ჩამოუვარდება „დარიანული“

ციკლის ლექსებს – იგივე პოეტური ექსპრესია, დრამატიზმი, სიმბოლური სახეები, მხატვრული გემოვნება. მხოლოდ ეს არის, რომ დარიანულ ლექსებში დანახულ სამყაროში განუყოფლად ბატონობს ქალის თვალი. გარდა ამისა, ელენე დარიანის სახელმა მისტიფიკაციის კვალობაზე საკმაოდ დიდხანს იარსება პოეტის შექმნილი ნიღბით და თუმცა დღიურების ციკლი სულ 14 ლექსისაგან შედგება, მას განსაკუთრებული ადგილი აქვს არა მარტო პაოლო იაშვილის შემოქმედებაში, არამედ მთელ ქართულ პოეზიაში.

მისტიფიკაციამ გაიმარჯვა, დარიანული ლექსების მკითხველს ერთი ნუთითაც არ შეჰპარვია ეჭვი, რომ ისინი სწორედ ქალის დანერილია. ამ ლექსებშია ის ქალური სამყარო, რაც მამაკაცისთვის შეუცნობადი და გამოუთქმელია. ეს არის მგრძნობიარე ქალის პოეტური აღსარება, რომლისთვისაც ორი რამ არის უპირველესი – სიყვარული და პოეზია. ქალის ფსიქიკის, მისი შინაგანი ბუნების, სულის დაფარული მოძრაობის, ქალური ინსტინქტის აღქმაში პაოლო იაშვილი არაფრით ჩამოუვარდება ქალის ხასითის აღიარებულ მცოდნეებს პროზაში – შტეფან ცვაიგს და ონორე დე ბალზაკს. „დარიანულ“ ლექსებში ბოლომდე გადაიშალა მისი ავტორის შინასამყარო, მთელი მისი პიროვნება და, როგორც ჩანს, თვით პაოლო იაშვილიც ფრიად გაიტაცა ამ ლექსებმა. ცხრა წელიწადი იგი საკუთარი გამოგონების ტყვეობაში იყო, მას თან დასდევდა თავისივე შექმნილი მომხიბლავი პერსონის იდუმალი სილუეტი.

ქართული პოეზიისათვის ეს ლექსები არა მხოლოდ დამუშავებელი, არამედ ერთგვარად აკრძალული თემატა კი იყო; სწორედ ამან გამოიწვია ენამწარე და გესლიანი კრიტიკა, ყუმბარის გავარდნის ტოლფასი რეაქცია საზოგადოებაში. მაგრამ

დაცხრა ვნებათაღელვანი. უსაფუძვლო ბრალდებანი და ემოციები გადააფასა დრომ – ყველაზე მკაცრმა და სამართლიანმარედაქტორმა. ქართულ პოეზიაში კი დარჩა ლეგენდა მშვენიერ ახალგაზრდა ქართველ ქალზე, რომელმაც საკუთარი სულის სინატიფესა და მომხიბვლელობას აზიარა ჭეშმარიტი შემოქმედების ყველა დამფასებელი. იქნებ სწორედ დარიანულ ლექსებს შეეფერება ფრანგი სიმბოლისტების პასუხი კითხვაზე თუ რა არის ახალი მათ პოეზიაში?

„ – ახალი ის არის რომ ჩვენ მოგვაქვს ის, რაც თქვენ გქონდათ გაუფრთხილებლობა დაგვეინყებინათ“ („ცისფერი ყანები“, 1916 წ. №2).

„ელენე დარიანის დღიურების“ მხატვრული ანალიზი არაბუნებრივად მიგვაჩნია სოლოვიოვის „მარადიული ქალურობის“ კონცეფციის გაუთვალისწინებლად. თუმცა, ქართულ კრიტიკაში არსებული მოსაზრებით (ლ. ავალიანი, გ. მერკვილაძე), „სოლოვიოვის მისტიციზმთან“ არა აქვს საერთო დარიანულ ლექსებს, მაგრამ ვლადიმერ სოლოვიოვის ფილოსოფიურ-მხატვრული ტრაქტატის გაცნობა ასე ცალსახად ამის უარყოფის საფუძველს არ გვაძლევს. სოლოვიოვის იდეალისტური სამყარო მატერიალურ მსოფლმხედველობაზეა აღმოცენებული. მისთვის ერთგვარად განუყრელია იდეა და მატერია – იგი ყოვლისმომცველ მთლიანობაში აღიქმება, რაც წარმოადგენს ფაქტობრივად სოლოვიოვის ფილოსოფიის საფუძველს (ВСЕЕДИНСТВО). ყველაფერი მყოფობს ყველაფერში, ყოველი ცალკეული ყოვლისმომცველი მთლიანობის გამოვლინებას წარმოადგენს, ეს მთლიანობა ყველაზე მაღლა დგას და ახლავს ყველა თავის გამოვლინებას. სოლოვიოვის ადამიანი როგორც მატერიალური სულის მექონი კოსმიურ ნესრიგში ანგელოზებზე მაღლა დგას,

რადგან მას ნების თავისუფლება გააჩნია, „მისტიკა“ კი არის სწავლა ყოვლისმომცველ მთლიანობისა. ყოველივე უმაღლესი, მაქსიმალური ინტიმურ-ადამიანური თვალსაზრისით, ამ მიზანს ემსახურება. მოძღვრება სოფიაზე – ეს არის სოლოვიოვისათვის იდეალურის მატერიალიზაცია, სავსე ინტიმურ-სატრფიალო განცდებით. სოფია ღვთის სხეულია და აქედან პირველი ხატება ყოველივე სხეულებრივისა, მატერიალურისა. სოფია განსახოვნდება უმშვენიერესი ქალით – ადამიანის სიყვარულის საგნით. ეს სოფიური სიმბოლიკა უნივერსალურია და ყოვლისმომცველი მთლიანობის ამგვარ კონცეფციასთან ავტორი აბსტრაქტულ-ლოგიკურ აღქმათა მიუღებლობამ მიიყვანა. მისი აზრით იდეა მოქმედებს რათა განხორციელდეს თავის სხვადაყოფნაში. თვით უმაღლესი იდეა – ღმერთიც კი განასხვავებს თავის სხვას და ღმერთის ეს „ალტერ ეგო“ არის მარადიული ქალურობა. ეს ცნება მოიცავს განხორციელებულ მშვენიერებას და სიკეთეს, რადგან მშვენიერების იდეას ღმერთი ქალში ანხორციელებს. იგივე აზრია გატარებული ესთეტიკაშიც: სილამაზე უნდა ვეძიოთ იდეალიზმის საგნობრივ არსებობაში. ქალისა და მამაკაცის ურთიერთლტოლვასაც სოლოვიოვი ყოვლისმომცველი მთლიანობის მოძღვრებასთან კავშირში განიხილავს, მას თანაბარ ანომალიებად მიაჩნია ასკეტური სიყვარულიც და სიძვაც. ჭეშმარიტი სიყვარული სულიერი სწრაფვისა და ხორციელი ლტოლვის შერწყმაა და ამ ლტოლვის აღქმისათვის იგი ცოლისა და ქმრის მაგალითს იშველიებს – „ისინი არიან ერთ სულ და ერთ ხორც, ერთიმეორის თავისი სხვა“. სიყვარული უმოკლესი გზაა ადამიანის ყოვლისმომცველ მთლიანობასთან შერწყმისა, სწორედ ამგვარი ხორციელი სიყვარულის გზით შეიძლება მოხდეს ინდივიდუალური ქალური არსების გარდაქმნა-გარდასახვა

ღვთაებრივი მარადიული ქალურობის განუყოფელ სხივად. მარადიული ქალურობა მოიცავს სიკეთეს, სათნოებას, ჭეშმარიტებას და უკვდავ სილამაზეს, რაც სოლოვიოვის აზრით იხსნის მსოფლიოს სულიერი კატასტროფისა და უნმინდურებისაგან.

სოლოვიოვის „შემოქმედებითი ფილოსოფია“ იმთავითვე აიტაცა რუსულმა სიმბოლისტურმა აზროვნებამ, განსაკუთრებით კი ბელისა და ბლოკის პოეზია დაესესხა სოლოვიოვის „მარადიული ბანოვანის“ მომხიბვლელ სიმბოლოს, ხოლო დოსტოევსკის ცნობილი თეზა „მშვენიერება იხსნის სამყაროს“ სოლოვიოვის ფილოსოფიის ერთგვარ ინტერპრეტაციადაც შეიძლება ჩავთვალოთ.

სოლოვიოვის „სოფიურ იდეალიზმზე“ ლოსევიც მიუთითებდა, მატერიისა და იდეის ამგვარი ამაღლებული თანაარსებობა კი არაერთ შემოქმედს ახედებდა თავისკენ.

ალბათ, ბუნებრივიცაა, რომ ქართველი შემოქმედის აქტიორულმა სულმა ერთგვარი სავანე და საკუთარი ახალი შემოქმედებითი გზათა ძიების გამართლებაც ყველაზე მეტად სოლოვიოვის ფილოსოფიურ შეხედულებებში გააცნობიერა და გრიგოლ რობაქიძის, პაოლო იაშვილის, ტიცვიან ტაბიძის, შალვა აფხაიძის, შალვა კარმელის, ნინო თარიშვილის და სხვათა პოეზიაში საოცარ ფორმებში განსხეულდა, მაგრამ „დარიანული“ ლექსების კრიტიკამ ყველაზე სრულფასოვანი ახსნა სწორედ სოლოვიოვის „მარადიულ ბანოვანში“ პოვა. თუმცა ფიზიკური ლტოლვა სრულებითაც არ ნიშნავდა სულიერების დაკნინებას როგორც ეს იმდროინდელ ლიტერატურულ კრიტიკაში აღინიშნა. თუკი სიმბოლისტების მესვეურთა თვალში „ელენე დარიანის დღიურებში“ განხორციელებული ზეციური და მიწიერი საწყისების ჰარმონია ვლადიმერ სოლოვიოვის ფილოსოფიურ მოძღვრებას უკავშირ-

დება, ნეგატიურად განწყობილმა ლიტერატურულმა კრიტიკამ მასში „სექსუალური რიაზანოვშიჩინა“ „აღმოაჩინა“, რადგან რიაზანოვმა სექსი ყოფიერების ძირითად პრინციპად ცნო და საბოლოო ჯამში ყოვლისმომცველ მთლიანობის სიმაღლეზე აიყვანა, ხოლო ამ ლექსებში დატრიალებული დიდი ვნებათაღელვის საფუძველს – სიყვარულს ისინი რატომღაც ვერ ხედავდნენ.

დარიანული სიყვარული კი „სოფიური სიყვარულის“ – ზეციური სიყვარულის კლასიკური ნიმუშია, მისი ნიშნეული კომპონენტებით ეს გახლავთ: სატრფო – იდეალი, მისი წმინდანად წარმოსახვა, მისი სიახლოვით გამოწვეული ამაღლებული სულიერი განწყობილება, შეხვედრის, ხილვის სიხარული, განშორების მწვავე ტკივილი, უნაპირო ბედნიერება, როდესაც საკუთარი ერთადერთობისა და სატრფოს თვალში სრულყოფილების განცდას ბადებს სევდა და ეჭვი იმის გაცნობიერებისას, რომ იგი გაცვლილია და მიტოვებული; იმედი, სასოება, მოთმინება, საკუთარი ზვიადობის მსხვერპლადმიტანა და, ბოლოს, განშორება, გაცლა, რასაც სულიერი საღბუნის ძიება და ერთად ყოფნის მოგონებათა მძაფრი განცდა აგვირგვინებს.

„დარიანულ“ თემატიკაში კი არაფერია პირველშობილი, უბრალოდ თანამედროვეებს თვალში მოხვდათ სხეულის სიშიშველე, ვნებაზე საუბარი და აზრის გამოხატვის ფორმა გარყვნილების ქადაგებად მიიჩნიეს. აქვე უნდა ითქვას, რომ ხორციელებაზე ხაზგასმა და მასზე საუბარი, საზოგადოდ, ამ პერიოდის შემოქმედებითი პროცესისათვისაც არ იყო უცხო. ვალერი ბრიუსოვი ჯერ კიდევ 1904 წელს ჟურნალ „Весы“ -ში წერდა „Существенная черта нового миропонимания - признание равноправности тела, телесного начала, как же было нашему времени, осветившему самую сущность тела, не освятить

თო, ვ ჩემ პოლნეე ვსეგო ვყრეჲაჲსეჲ ეგო მოჲჲ - სტრეჲჲ“.

„დარიანულ“ პოეზიას ამ თვალსაზრისით ერთი მნიშვნელოვანი თვისებაც აქვს - ეროსის კომპლექსი გააშკარავებულია არა როგორც განუსაზღვრელი ლტოლვა სქესისა, არამედ შემოფარგლულია ცოლქმრული ურთიერთობით. ვფიქრობთ ეს შემთხვევითი ფაქტი არაა და იგი ლირიკული გმირის მხოლოდ ბიოგრაფიულ მომენტზე არ მიუთითებს, ცოლი და ქმარი თითქმის ყველა ლექსის პერსონაჟები არიან. შესაძლოა აქ ძლიერი ვნების, ფიზიკური ლტოლვის ზნეობრივ კალაპოტში მოთავსების სურვილი იყოს, თუმცა უნდა ვაღიაროთ, რომ ცოლისა და ქმრის პოეტურმა სახეებმა ვერ შეუშალეს ხელი მავანთ ლექსები გარყვნილების ქადაგებად გამოეცხადებინათ.

მაგრამ სულიერი სრულყოფილების აღქმა ანალოგიური შინა სამყაროს, ნყობის ინდივიდს ძალუძს მხოლოდ. ამიტომაც, ალბათ, მხოლოდ დაკვირვებული თვალი თუ გააცნობიერებს ამ სახეებში უფრო სულიერი სწრაფვის, ლტოლვის გამოხატულებას, რაც უპირველესად სულიერ ცოლქმრობაზე მინიშნებაა უდაოდ; ჩვენ მხედველობაში გვაქვს „მისტერიონ მეგა“ - ერთ-ერთი უმაღლესი ბიბლიური საიდუმლო - ცოლქმრული სიყვარული, რომელსაც პავლე მოციქული წერილში ეფესელთა მიმართ ქრისტესა და ეკლესიის დამოკიდებულებას ადარებს: „ეკლესია, როგორც სძალი ქრისტესი საიდუმლო ესე დიდ არს“. (ეფესელთა მიმართ 5. 32.). ცოლქმრობა წმინდა ბიბლიური ურთიერთობაა ღვთისაგან კურთხეული და ნათლით განფენილი.

„ქართველისათვის ცა და მიწა სამუდამოდ არასოდეს გაყრილან. გულგრილად უცქერით ახლაც მატერიალიზმის და იდეალიზმის დუელს“ - წერდა ტიციან ტაბიძე („ცისფერი ყანწები“, 1916 წ. №2).

მაგრამ ყოველივე ამის გარდა იყო ის, რამაც რეალურ ცხოვრებაში ბიძგი მისცა და სათავე დაუდო ელენე დარიანის პოეზიაში დაბადებას და რაზეც ბოლო ხანებში ალაპარაკდა ჩვენი სალიტერატურო კრიტიკა.*

ყველაფერი 1912 წელს დაწყებულა, როდესაც საჩხერის მახლობლად ლესევეში დამსვენებელთა შორის იყო ოცი წლის პავლე იაშვილი და თხუთმეტიოდე წლის უმშვენიერესი ელენე ბაქრაძე. არტისტული ბუნების, გაბედულმა და იმპროვიზატორული უნარით დაჯილდოებულმა ყმაწვილმა კაცმა მოხიბლა ახალგაზრდა გოგონა და გრძნობაც „იმ ზაფხულში ცისფერ ყვავილად გაიშალა“. ამ სიყვარულს მშვენიერი სახელები დაერქვა ელლი და პაოლო. თუმცა ზაფხულიც მიიწურა და პაოლოს მგრძნობიარე სულისთვის განშორების შემდეგ დარჩენილი გაუნელებელი აფორიაქება ფიქრის, მოლოდინის და, ბოლოს, დიდი სათქმელის ერთგვარ მოსამზადებელ ხანად იქცა. 1915 წელს კი იმავე დროსა და ადგილას პაოლომ კვლავ იხილა ელლი, ოლონდ ამჯერად უკვე დაოჯახებული, მაგრამ გრძნობა არ მომკვდარიყო და ტალღებივით მომსკდარ სიყვარულს ხშირი შეხვედრები და უნახესი ნერილები მოყვა.

„არა მაქვს უფრო მშვენიერი ფიქრები, ვიდრე ფიქრები შენზე და რაც უფრო შორს ხარ, მით მეტად ვგრძნობ, რომ სიცოცხლე უშენოდ არის გამოუთქმელ სევდათა სასაფლაო.

მე ვლოცავ მთვარიან ღამეს. ჩვენი სულის აღსარების მოწმეს, ასეთი ღამის განმეორება სიშმაგემდე მიმიყვანს. მე მსურს ასეთი სიგიჟე.

* ნერილები მოტანილია გიორგი ჯავახიშვილის ნერილიდან „ცისფერყანწელთა ცისფერი დედოფალი“, ლიტერატურული საქართველო, 1997 წ., №34, 35.

ახალ შეხვედრამდე ჩემი სული დაიტანჯება. გამომეცხადე სასურველო!

ბნელი ღამე ჩამჩურჩულებს განახლებული ბედნიერების წუთებზე, მე ყურს ვუგდებ ღამის ზღაპრებს. შენც მოუსმინე ღამეულ ხმებს და მათში მოუსმენ ჩემს ძახილს.

. სწორედ იმ შემოდგომაზე იყო 20 სექტემბერის ცნობილი ლიტერატურული საღამო და შთაგონებული პაოლო იაშვილი სცენაზე რომ იდგა და კითხულობდა:

„ჩუმად ვკითხულობ შენს ძველ წერილს
ყვითელს, დახეულს . . .
სხვა რა მაქვს მეტი მე ამის გარდა?
მე თვითონ ვკოცნი, ჩემს თეთრ მკლავებს,
ჩემს დამწვარ სხეულს
შენ რომ გიყვარდა . . .
მაგიჟებს სითბო, ვერ ვიგუე ფარჩის საბანი
ჩემს ოთახს ავსებს შენი ლანდები
დაღლილი არის სანატრელო დღეს ჩემი ტანი,
ნუ გვიანდები. . .“

. და სწორედ აქედან აღიმართა პაოლო იაშვილსა და ელენე დარიანის პოეზიის თავზე კრიტიკის ორღესული მახვილი, მიმართული „პირველთქმის“ „თავხედი“ ავტორისა და „უზნეო ელენე დარიანის“ მიმართ.

სწორედ იმ საღამოს დაიცალა ნახევრად დარბაზი; შეურაცხყოფილ ბანოვანთ დემონსტრაციულად დაუტოვებიათ იქაურობა, ცისფერებში მოსილი პაოლო კი იდუმალი ხმით, ექსტაზში შესული კითხულობდა:

„მარგალიტები მოვიხვიე ყელზე სამწყება
მარგალიტები, იაგუნდები . . .
არ შემიძლია შენი სახის გადავიწყება
არ დაბრუნდები? . . .“

ასე დაიბადა ელენე დარიანი – იღუმალი, მიმზიდველი, ვნებიანი და ფაქიზი. თუმცა საზოგადოება მის ლექსებს აღიქვამდა როგორც შიშველ და ბინძურ ეროტიკას და უარყოფდა მას, მაგრამ გულის სიღრმეში ყველა მამაკაცი ეძებდა ამ ქალს და ყველა ქალი ჩუმად დარიანობას იბრალეზდა. ეს იყო სიყვარულის უმშვენიერესი აპოლოგია, რომელიც ადამიანთა სამყარომ გარეგნულად უარყო, რადგან იგი მათ შინაგან მესამზეურებდა.

მითი კი გრძელდებოდა, გრძელდებოდა ცხოვრებასა და პოეზიაში; მიმონერამ პაოლოსა და ელლის შორის მთელ წელიწადს გასტანა:

„ელლი მშვენიერება ჩვენ უნდა გვიყვარდეს, რამდენადაც ამ მშვენიერებაში ავისახებით თვითონ ჩვენ.“

ჩემთვის შეგრძნებათა საშინელი ნუთებია, არ ვიცი როგორ მოვალწიო შენამდე! ჩემი ცხოვრების მარად მანათობელო სხივო, ჩემო, ჩემო ელლი!“

. ელლი, შენი ცხოვრება უნდა გაცისკროვნდეს სიყვარულის მარადიული, შუქით და სანამ მე შემეძლება ყმანვილური ცეცხლით. ამ ცეცხლის შუქი შეაღწევს შენს შეყვარებულ არსებაში

„ . . . მე ვცოცხლობ!
მე ახალგაზრდა ვარ!
მე მიხარია!

მე ბედნიერი ვარ!
გიგზავნი მწველ კოცნას!

მე შენთან ვარ, მე შენში ვარ, იცოცხლე შენც, იხარე შენც!
ბედნიერება გვინვდის ჩვენ მარადიული სიყვარულის
რტოებს".

შენი პრინცი იწვის შენი ტროფობით".

ეს უფაქიზესი სიტყვები და დამოკიდებულება, ლექსებში კი-
დევე უფრო მძაფრ და ექსპრესიულ განცდებში ვლინდება:

„ჩემი ოთახი ცისფერია, ნაზი ფერია,
ცისფრად მორთული დაგიხვდები, გააღე კარი,
ლოდინის ნუთი დღეს ისეთი მშვენიერია –
ვით პირველ კოცნის, პირველ კოცნის ჭაბუკი ქმარი –
რად დაღალულა ყვავილები ვენერას მკერდით
მზის სიხარული ჩემს ფანჯარას რად ერიდება?
შიშით გადავშლი ერთმანეთს რომ წერილებს ვწერდით
და ჩემს არსებას ძველი ალი მოეკიდება“.

როგორც ჩანს, არც ელლი იყო ოდენ პაოლოს მიერ შექმნილი
და „მალლა, ღრუბლებზე შემოსმული“ ხატება საყვარელი ქალი-
სა. ეს იყო საოცარი პოეტური სულის ადამიანი, რომელიც პაო-
ლოს თვალებით აღიქვამდა გარესამყაროს. მისი ჩანახატების,
ესკიზების, მინიატურების და ლექსების მხატვრულ ინტერპრე-
ტაციად ან ერთგვარ შემოქმედებით ბიძგად უნდა ჩავთვალოთ
პაოლო იაშვილის პოეზიის გარკვეული ნაწილი, განსაკუთრე-
ბით კი „დარიანული“ ლექსები.

აი, ელენე ბაქრაძის ერთი ჩანახატთაგანი: „ხელი მიკანკალე-

ბს, სული მეხუთება, ოთახი თანდათან კარგავს მოხაზულობას, განიერდება და აჰა, კედლები დაიკარგა სადღაც სივრცეში. ვხედავ მხოლოდ ოქროსფერ მიუწვდომელ მინდორს და იქ. ცეკვავენ მარიონეტები. ჯგუფი ჯგუფსა სცელის, იკარგებიან ჰაერში, მელოდიათა ღვთიური აკორდები: ერთი, მეორე, მესამე, მეოთხე. . . შემდეგ განახლებული ჩუმად კაკანებს, კაკანებს. ჰკარგავს სივრცეს. კაკანებს, კვნესის იზრდება მალლა. მარიონეტები ჯერ შეკრებიან, წუთნი ლამობენ. უკანასკნელი დაბნედილი აკორდი და გონებადაკარგული ვეცემი ძირს. ჩემს წინ აწყვია არეული, დაჭმუჭვნილი ძველი გაყვითლებული წერილები". მოგვიანებით, 1922 წელს კი გაზეთ „ბახტრიონში“ ჩნდება ლექსი „თავად დარიანს“, რომელსაც ხელს აწერს ელენე ბერიშვილი. აქვე უნდა აღინიშნოს რამდენიმე წლის წინ ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში გამოქვეყნებული რამდენიმე მოსაზრების თაობაზე, რომელთა მიხედვითაც „სადავო გახდა“ დარიანული ლექსების ავტორობა, რადგან ელენე ბაქრაძე-ბერიშვილის (ქართველიშვილი) გვიანდელი წერილების მიხედვით, სწორედ იგი იყო დარიანული ლექსების ავტორი. მხოლოდ იმის გამო, რომ დარიანულ ციკლს მიმოვიხილავთ, გვინდა კიდევ ერთხელ აღვნიშნოთ, რომ თავისი მხატვრული სახით, ლექსალური ფორმით, სიმბოლური სახეებით დარიანული ლექსები წარმოადგენს, საზოგადოდ, სიმბოლური მსოფლალქმის, კონკრეტულად კი პაოლო იაშვილის მთელი პოეზიის ერთ ლოგიკურ განშტოებას (ყოფილა შემთხვევები ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში, როცა სწორედ სტილით, ფორმით და მხატვრული ნიშნით დაუდგე-

* გიორგი ჯავახიშვილის მიერ მოკლეული მასალების მიხედვით მის მიერვე გამოქვეყნებული წერილების „ცისფერყანწელთა ცისფერი დედოფალი“, ლიტერატურული საქართველო, 1997 წ., №34, 35; „ელენე დარიანის შითის სინამდვილე“, „კალმასობა“, 1998 წ., №7 და სხვა.

ნიათ ზოგიერთი ლექსის ავტორი. (მაგ., გალაკტიონი).

უბრალოდ, ვარაუდის ფორმით, შეიძლება ითქვას, რომ იქნებ წერდა კიდევ ელენე ბაქრაძე ლექსებს, ან პაოლოს უზიარებდა თავის გულისნადებს, ტკივილებს და სწორედ ამ სიტყვებზე, ლექსებზე იქმნებოდა „დარიანულები“. დიდი პოეტის ხელში რედაქტირებაც დასაშვებია (თუმცა კრიტიკოსი ლალი ავალიანი აღნიშნავდა, პაოლო ამას არ იკადრებდაო), მაგრამ რედაქტირებაში ზოგჯერ მცირეფორმიანი ესკიზიდან ახლის და ბევრად მნიშვნელოვანის შექმნაც იგულისხმება, რაც პოეტისა და პოეზიისთვის ახალი სახის შექმნის ან რამდენიმე სტრიქონზე მთელი ლექსის აგების ტოლფასია – არც ესაა გამორიცხული. ისიც ბუნებრივია, რომ პაოლოს მეგობარი ყოფილიყო შემოქმედი ქალი, რომელსაც პაოლოსა და მისი მეგობრების გავლენით მათივე სტილში ეწერა ლექსები და ეს ლექსები, წერილები, სიტყვები და სიყვარული შესაძლოა „დარიანული“ პოეზიის შთამაგონებელნიც გახდნენ.

სამწუხაროდ, პაოლოსა და ელლის სიყვარულს და მეგობრობას მარადიულობა მხოლოდ პოეზიაში ეწერა.

„ელლი, მე ვეცადე შემეყვანე ზეიმისა და სიხარულის ყვავილოვან სამეფოში, გეფერებოდი, როგორც მზის სხივი ეალერსება ახლადგამოღვიძებულ იებსა და შრომანებს. ჩემს ყმანვილურ ოცნებებში შენ ცხოვრობდი, როგორც გვირგვინოსანი დედოფალი. მაგრამ შენ მწერ ბარათს, რომელშიც თავს თვლი „ღრმად უბედურად“ და ამ სიტყვების ნამდვილი აზრის შეცნობისას მე სრულიად ვიბნევი“.

„შენ მიცნობდი მარად მხიარულს, ცეცხლოვანს, მუდამ ექსტაზურს მაგრამ აი, ქუთაისში ჩვენი ერთად ყოფნის ბოლო წუთებში დამშვიდობებისას შენს გამოხედვაში ამოვიკითხე ამოუც-

ნობი ნალველი და ვიგარძენი, რომ ჩემს ირგვლივ გამეფდა შენი ნალველის მსგავსი ამოუცნობი სევდა.

დიდხანს ვფიქრობდი სევდიან ელლიზე და დიდხანს ვირნ-მუნებდი თავს, რომ არ შეგიძლია იყო უბედური, რადგან შენ მოგიძღვენი ჩემი ტრფობა და ოცნებები“.

ვტირი მე და ჩემთან ერთად გოდებს მთელი მშვენიერი სამყარო, რომელშიც სულ ცოტა ხნის წინ შევხვდით ერთმანეთს ჩვენ – მე და შენ სიყვარულით ანთებული გულებით“.

1916 წელს ელენე ბაქრაძე-ბერიშვილი-ქართველიშვილი ახლა უკვე მეორე ქმართან ერთად განჯაში გადასახლდა. პოეტიკა და მისი ცისფერი ქალბატონის გზებიც გაიყარა. ამ დროს კი პაოლოს უმრწამსმა ძმებმა „დარიანული“ ლექსების კიდევ რამდენიმე უმშვენიერესი ნიმუში იხილეს:

„იქ, სადაც სდუმან პირამიდები,
მზის ქორწილის დროს მე დავწვები
მზისფერ სილაზე
იქ, სადაც სდუმან პირამიდები
შენ მომინდები –
შენი თვალები, შენი მკლავები, შენი სინაზე. . .
შენ მოგაფრენს ცხენი არაბული, თვალებდანაბული
საყვარელ ხელებს მივეცემი, როგორც ნახ სანოლს,
და შენ დამკოცნი ვით მეგობარს, ვით მხევალს
და ცოლს. . .“

ეს ალბათ მონატრებით გამოწვეული ტკივილისა და სევდის ამოხეთქვაც იყო და „გედის სიმღერაც“, „დარიანული“ რამდენიმეწლიანი დუმილის წინ. როგორც ჩანს, განშორებამ თავისი

ქნა: პაოლო ელლის მოშორებამ დარიანულ ლექსებსაც დააშორა. მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ კვლავ ამოტივტივდა პოეტურ წარმოსახვაში მშვენიერი ელლის სახე, მაგრამ ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ სამუდამოდ დამშვიდობებოდა მას, დამშვიდობებოდა ლექსებსა და ცხოვრებაში. პოეტის წარმოსახვაში ელლიმ პარიზს მიაშურა, სულიერი საეანის სახილველად, სულიერ ტკივილთა დასაამებლად. მშვენიერმა ელლიმ პარიზისაკენ გასწია, პაოლოს საყვარელი და მარადიული ქალაქისაკენ. იქ, სადაც გაიშალა პოეტის არტისტული ყვავილი და სადაც ეზიარა ჭაბუკი პაოლო სიტყვისა და სიყვარულის საიდუმლოს:

„უნდა აყვავდეს მალე ქვიშნები
უნდა ბალახი დილამ დართვილოს,
მე ამ ზაფხულში დავინიშნები
და მივატოვებ ჩემს საქართველოს

აქ ჩემს სულს კიდევ მზე მოუვლიდა
დაშორებულს კი ველარ მიშველი
იქნებ დაინყოს ცოდვა ლუვრიდან
და გადავიქცე მე ბულ მიშელი.
მაგრამ არ მინდა ლხინი ჭიქების
მინდა მივიდე შეუცდომელი
ყრუ მონასტერში კათოლიკების,
სადაც მიკითხავს ლოცვას კლოდელი“.

ელენე დარიანი კი დარჩა ფურცლებზე, ფიქრებსა და მოგონებებში. პაოლოს შემდეგაც მრავალჯერ „აყვავდნენ ქვიშნები“, იყო „მზის ქორწილები“ და „ტყემლის ყვავილთა თოვა“,

რადგან მშვენიერება და სიყვარული ისევე მარადიულია, იგი ისევე არ კვდება, არ იღვევა და არ მთავრდება როგორც თვით მზე, გაზაფხული და სიცოცხლე.

II

1913 წელს პაოლო იაშვილი პარიზში ფერწერის შესწავლის სურვილმა წაიყვანა, მაგრამ საკუთარი ავტოპორტრეტისა და მეგობრების პორტრეტული ჩანახატების გარდა, მისმა პოეზიამ მხატვრობიდან შეისისხლხორცა სამყაროს საოცარი ფერწერული ხედვა, მხატვრული დრო, ფერთა სიუხვე და სიმბოლური აღქმა, პეიზაჟების აღწერა, მხატვრულ სახეთა ფეიერვერკი – პოეტის ამგვარი ხელწერა სწორედ სამყაროს მხატვრის თვალთ ხედვაზეა აქცენტირებული.

[პაოლო იაშვილი] – „узнал его сразу: сказало мне имя: один из крупнейших художников и не только слова, краса поэтической Грузии, старший среди братьев культурной семьи, о которой не раз слышал прежде от Городецкого и от Есенина“ – წერდა ანდრეი ბელი „Ветер с Кавказа“-ში. და, ალბათ, გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ „ელენე დარიანის დღიურები“ პოეტის მიერ გარესამყაროს მხატვრული აღქმის უპირველესი გამოხატულებაა.

ელენე დარიანი სრულყოფილი პერსონაჟია. ქალი, რომელსაც განგებამ განუმეორებელი ბედისწერა არგუნა წილად. ქალი საოცარი ბიოგრაფიით, საკუთარი ხაზგასმული შეხედულებებით, ხასიათით, გარე სამყაროსადმი საკუთარი დამოკიდებულებით. მისი დღიურები არის ამბოხი, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, დაპირისპირება შაბლონის, უფერულობის, უემოციობის და თუნ-

დაც უფანტაზიობის წინააღმდეგ, რომელსაც ადამიანი გონება-დახშობის და უაზრობის საშიში სინდრომისაკენ მიჰყავს. კიდევ ანტითეზაა, ყოველგვარი პროვინციალური ეტიკეტის, ცუდად ნათამაშები როლისა, თუ სასაცილოდ შენიღბული გაუბედაობისა. „დღიურები“ წარმოადგენს ლირიკული გმირის უშუალო შთაბეჭდილებათა და განწყობილებათა ანაბეჭდს, შემკულს მხატვრული აქსესუარით. თოთხმეტივე ლექსის საფუძველი სიყვარული, სიმართლის წმინდა გრძნობა და განწყობილების უშუალობაა. სწორედ აქ უნდა ვეძიოთ „დღიურების“ ზნეობრივი კრედოც.

„ჩემი ცხოვრება ისეთია, როგორც ოცნება,
ჩემი ნუხილი, სიხარულიც ტრფობის ბრალია,
ჩემს სხეულს მეფობს ხან სინაზე, ხან საოცრება,
დედოფლობს გული! ის ყოველთვის მომღერალია“.

(„უვერტიურა“)

„დღიურები“ თეორიულადაც და კომპოზიციურადაც ზუსტად განასახიერებს მხატვრული ნაწარმოების ამ ჟანრის ნიშნებს: განცდაზე და განწყობილებაზე აგებული ლექსები, ერთ თემატურ ძირზე შემდგარი, სხვადასხვა ემოციური ვარიაციებით იჩენს სახეს. ლირიკული გმირისთვის ცხოვრება არის მონატრება სატრფოსთან (თავადი, გმირი) შეხვედრასა და განშორებას შორის. ბედნიერება მას ენიჭება საყვარელ ადამიანთან ყოფნით, მასთან სულიერი და ფიზიკური სიახლოვით და ერთმევა ამ ჰარმონიის დარღვევით. ამიტომაც ბუნებრივია, დღიურები ამ ემოციებიდან გამომდინარე განწყობილებით არის ნაკარნახევი: შეხვედრა, ოცნება, მოგონება, განშორება, ლოდინი, სე-

ვდა, ტკივილი თუ ალტაცება. საპირისპირო განცდათა ამგვარი მონაცვლეობა ლექსიდან ლექსში გადადის, რასაც დაახლოებით ამგვარი სახე ეძლევა: „ძახილი“ – მოლოდინით გამონვეული სევდა, „გათავდა ნადიმი“ – ალტაცება და ბედნიერება, „ზამთარში“ – მოლოდინის მძიმე ტკივილი, „უვერტიურა“ – სიყვარულის, ერთად ყოფნის „ამაისებური“ განცდა, „პირამიდებში“ – ლოდინი, ერთად ყოფნის ზეიმით დასრულებული, „უკანასკნელი მოვიხსენი ტანსაფარავი“ – იმედითა და სასოებით აღსავსე განწყობილება, „ფერადი სონეტი“ – კვლავ მწვავე განცდა საყვარელი ადამიანის დაკარგვის გამო, „ელენე დარიანი ნერს უბრალოდ და აბნეულად“ – განშორებით და მიტოვებით გამონვეული ტკივილი, „ცისფერი ქოლგა“ – მონატრება, „ნერილი ანა ახმატოვას“ – თანაგრძნობა, „დარიანული“ – კვლავ განშორება და მოთმინება, „პარიზისაკენ“ – დამშვიდობება.

და ნელ-ნელა იკვეთება ლირიკული გმირის ფაქიზი შინა სამყარო, სავსე მძაფრი ემოციებით, ტკივილით, სევდით თუ სიხარულით; იკვეთება ცხოვრება ქალისა მისი ზნეობრივი იდეალი, მისი ღმერთი, მისი სიყვარულის ლაბირინთებით დაქსაქსული გზა, სავსე არა მხოლოდ კათარზისებით, არამედ სულიერი მეტამორფოზებითაც.

ალბათ ორიოდ სიტყვით ელენე დარიანის არასულიერ საუფლოზეც უნდა ითქვას, რაც, ვფიქრობთ, მნიშვნელოვანი იმპულსია როგორც მისი პიროვნების შინასამყაროს გასათვალისწინებლად და რაც ერთი თვალის შევლებითაც შეიმჩნევა ეს გახლავთ სიმდიდრე, მატერიალური კეთილდღეობა, თავადის ტიტული, ძვირფასი სამკაული, ფარჩის ქვეშაგები, ცხენები, მდიდრულად შერჩეული რეკვიზიტი. მიუხედავად იმისა, რომ ელენე დარიანის ყოველი გარემომცველი საგანი ლექსებში

გარკვეული სიმბოლოს, ან უფრო ზუსტად პერსონიფიცირებული საგნის მნიშვნელობის მტვირთველია, მთლიანობაში მაინც ეს საგნები ყოველდღიური ყოფითი დეტალებისაგან შორს მდგომი, განებივრებული, მშვენიერ ოთახში, ძვირფას ლოგინზე მდიდრულად შემოსილი ქალის საკუთრებას წარმოადგენს, რომლის ერთადერთი საზრუნავი საკუთარ გრძნობებში ჩაღრმავებაა, ოცნება და ფიქრია. „ბედში ვცხოვრობ და ტრფობისთვის მაინც არ კმარა“ – ამ სიტყვებით ელენე დარიანი ბედში სწორედ მატერიალურ უზრუნველყოფას უნდა გულისხმობდეს და რადგან ლირიკული გმირი ფიქრობს, რომ მხოლოდ სიმდიდრე ვერ მიანიჭებს ბედნიერებას, მაშინ იქნებ ამ მშვენიერი ნივთებით მხოლოდ იმიტომ შემოღობა პაოლო იაშვილმა თავისი ლირიკული გმირი, რომ მან მარტო სულიერ ფასეულობებზე და სიყვარულზე იფიქროს? ან იქნებ „ბედში“ იგულისხმება ქმარი – „სანატრელი მოყმე“ სხვა ლექსებში ზოგჯერ მთვრალი თავადი, რომელმაც მამაკაცური სიტლანქით და უხეში ვნებით გაახუნა ელენე დარიანის მოზეიმე ალტაცება, ხოლო ზემოთ თქმული სტრიქონები (ლექსიდან „ფერადი სონეტი“) მისი მოლოდინით გამოწვეულ განცდაზეა აღმოცენებული? ფაქტი ერთია, ამ მშვენიერ გარემოში სული ვერ ზეიმობს, ქალი ბედნიერი არ არის, რადგან ყველა ამ ნივთს, ამ ლამაზ გარემოს აკლია ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანი – საყვარელი ადამიანი. ბედნიერებაც გმირისთვის მასთან ყოფნაშია მხოლოდ. ეს ერთი და იგივე პიროვნებაა: „თავადი“, „ქმარი“, „უცხო მოყმე“, „სატრფო“, „საყვარელი“ და ეს სახელებიც განწყობილებათა ნაყოფია. მაგრამ ერთად ყოფნის ზეიმი მუდმივი არ არის. ლირიკული გმირი ხშირად მარტო რჩება, ელოდება, იტანჯება, ამდენად იგი მარტოსულია. უფრო მეტიც, ზოგჯერ მიტოვებული და გაცვლილიც,

მისი ტკივილი გაუსაძლისია, მისი სული გაძარცვული, გრძნობა გათელილი, მაგრამ ეს მხოლოდ სულიერად და არა გარეგნულად. ყველაზე დეპრესიულ და მტკივნეულ მომენტში, ე.ი. მაშინაც კი, როცა იწყება ლირიკული გმირის მიერ იმისი გაცნობიერება, რომ იგი გაცვლილია და მიტოვებული, და მისი სიყვარული სამუდამო განშორებისთვისაა განწირული, ქალს არა აქვს სურვილი თავი მიუსაფარ ლატაკ, უსახლკარო მწირად წარმოიდგინოს, რაც ესოდენ ახასიათებს ანა ახმატოვას ლირიკულ გმირს. ელენე დარიანის ლირიკული გმირი ამ დროსაც მდიდარია. იგი კვლავ თავისი სამშვენიისებით სავსე სამყაროშია და ეს პირდაპირი მინიშნებაა იმისაკენ, რომ მას არც სული გალატაკებია, ლალატს სული არ დაუცლია, იგი კვლავ სავსეა სიყვარულით და დიდი გრძნობით, ისევე როგორც მისი გარემომცველი სამყარო ძვირფასი და ლამაზი (და არა უგემოვნო) ნივთებით. აქ ელენე დარიანი ჩერუბინა დე გაბრიაკის ლირიკულ გმირს უფრო გავს, რომელთანაც საკუთარ ფაქიზ სულიერ განწყობასა და საოცრად მშვენიერ შინა სამყაროსთან ჰარმონიაშია მისივე ლამაზი ნივთებით მორთული გარემო. უფრო მეტიც, ჩერუბინა დე გაბრიაკი არა მხოლოდ მატერიალურად უზრუნველყოფილია, არამედ მაღალი ტიტულოვანი ნოდების წარმომადგენელიცაა და საგვარეულო ღერბიც კი გააჩნია.

ელენე დარიანის გარემომცველი ნივთებიდან რამდენიმე მათგანს განსაკუთრებული სიმბოლური მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ ლექსის მხატვრული სამყაროს, არამედ თვით ლირიკული გმირის ხასიათისა და მისი სულიერი განწყობის სახილველად. ლირიკული გმირი საკუთარ განწყობილებას სატრფოსადმი ხშირად გამოხატავს წერილებით, რომელიც მისი ფიქრისა და ტკივილის მეტყველი მატჩანეა. ფიქრი ზოგჯერ სიზმარულ ჩვენებაშიც გა-

დადის. სატრფოს ალერსი, მისი სახე და მასთან ყოფნა ქალისთვის არაერთ საგანში თუ მოვლენაშია ასოცირებული. ეს ხან კატის ცინდალია, ხან წერილი, ხან სამკაული, ხანაც უბრალოდ სიჩუმე, რომელსაც აძლიერებს ფანჯრის მიღმა წვიმის წვეთების წკაპუნი, ზოგჯერ ბუხარში ცეცხლის ალი, რაც, თავისთავად, ვნების სიმბოლურ გააზრებაზე მიგვანიშნებს. ალისფერი ვნების ფერია, ქალის ოთახი კი ცისფერია და მას თეთრი ტანისამოსი მოსავეს; ცისფერი – ოცნებაა, მას წითლად აელვარებს ცეცხლი – ვნება, თვით ალიც ბოლოში ცისფრდება, შემდეგ თეთრდება და თუ ალი ვნების სიმბოლოა, შესაძლოა უმწვერვალესი ვნების ფერი სწორედ ცისფერი და თეთრი იყოს. ანა ახმატოვა იტყვის „Из страсти раскалённой души“ და დარიანულ უმწვერვალეს ვნებას ზოგჯერ ეწვევა „ზამთრის სიჩუმე“ – მარტოობა. ქალი არ ნანობს წარსულს და მოგონების მწვავე ტკივილი ხანდახან სასურველ განცდათაც ალიქმება: „არავის კოცნას არ ვიგონებ მე დანანებით“ – იტყვის იგი.

ლექსში – „ელენე დარიანი წერს უბრალოდ და აბნეულად“ – განწყობილება კიდევ უფრო გამძაფრებულია. ქალს საკუთარი მომხიბვლელობა, პატივმოყვარეობა თუ ზვიადობა ფეხითით გაუფენია ქმრისათვის. აქ უკვე ბუხრის ალი მისი იმედის დამწველის სიმბოლოდ გვევლინება, „დედოფალ ტყემალთა“ ხსენება აქ არ არის მინიშნება წელიწადის დროზე. თეთრი ტყემლის ხე ლირიკული გმირის ქალწულებრივი სინმინდის ან პატიოსნების მეტაფორაა. სადედოფლოდ შემოსილ ტყემალს იმ ღამით ქარი განუძარცვავს მშვენიერ სამოსს და ქმარი წრფელ გულს, „ცოდვილ პატიოსნებას“ მომღერალ ქალში ცვლის, ხოლო ცოლი კი რჩება, ვითარცა ნადედოფლარი ტყემლის ხე, ქარისაგან განძარცული, მაგრამ მორჩილი და მომლოდინე „ამალამ მგონი იქნება ქარი, ვაი, დედოფალ ტყემლების ბრალი.“

დარიანული ციკლის ლექსები არაჩვეულებრივად მკაფიო, ლაკონური და ზუსტი სტრიქონებისაგან შემდგარი ფრაზებია. ზოგჯერ იგი მოპასანის უკიდურესობამდე შემჭიდროებული ნოველების ლექსიკასაც უახლოვდება. ყოველი რიტმული ერთეული უდიდესი აზრითაა დატვირთული, მაგალითისთვის „დარიანულიც“ კმარა.

ციკლის ლოგიკურ ფინალს წარმოადგენს მისი ბოლო ლექსი „უნდა აყვავდეს მალე ქვიშნები“. ქალი პარიზში მიდის, თან მიაქვს „ცისფერ ქოლგაში“ აღძრული მშობლიური სამყაროს სევდა და ვაჟას კრებული. იგი მიდის ცოდვილთა ქალაქში, მაგრამ ბოჰემურ ცხოვრებას არ მიეღტვის, მისი ვნებით დაღლილი სხეული ყრუ მონასტერში და კლოდელის ლოცვებში პოვებს სავანეს. მოდის გაზაფხული. „აყვავდება ქვიშნები“, მაგრამ სამშობლოს მზე ველარ მიწვდება ლუვრში ჩაკეტილ მშვენიერ სულს. ამ ტკივილიან ფინალს კარგად შესამჩნევი თუ ცუდად შენიღბული სურვილი ახლავს – სურვილი სიყვარულისა. გული კვლავაც მზადაა სიყვარულისთვის, თუ სატრფო – თავადი კვლავ მასთან იქნება, მძიმე განცდები „სიზმარივით განქარდება“, კვლავ „ამაისდება“ სული, მოვა სიყვარულის სიმბოლური დრო – გაზაფხული. გაზაფხულის ლოდინი, მისი აღქმა თუ განცდა ელენე დარიანის სულიერ განწყობილებათა განუყოფელი ნაწილია:

„რად დაღალულა ყვავილები ვენერას ფერით
მზის სიხარული ჩემს ფანჯარას რად ერიდება?“

ან

„ჩვენმა ოცნებამ გაზაფხულში იმხიარულა
ახლა კი მესმის ის არ მოვა, მას ნულარ ელი“.

ნელინადის დროთა ათვლას გმირი სწორედ გაზაფხულიდან იწყებს, რომელთანაც განუყოფელი ცნებაა ნათელი: მზე, მზიანი, მზიური, მზის სხივი, მზის აღმური.

მზის ხატს „ელენე დარიანის დღიურებში“ განსაკუთრებული დატვირთვა აქვს. მისი სითბო და ძალა სხვადასხვა ფორმით და სიმბოლური დატვირთვით ვლინდება. უპირველესად, ალბათ, პაოლო იაშვილის პოეზიისათვის განსაკუთრებულად ნიშნეული „მშობლიური მზე“ უნდა აღინიშნოს: „ჩვენი მზე, ჩვენი მხარე ლურჯი. ან კიდევ „აქ ჩემს სულს კიდევ მზე მოუვლიდა, დაშორებულს კი ველარ მიშველი“. – ეს მშობლიური მზე არის გზააბნეულთა და მარტოსულთა გზისა და სულის განმანათებელი, გამათბობელი.

მზის სიმბოლო განსაკუთრებულ გამოხატულებას იძენს ლექსში „პირამიდები“. აქ მზე უფრო განსხვავებულ გარემოში გვევლინება: უდაბნო, პირამიდები, მზისფერი ქვიშა, ზღვა, ცხენი, საყვარელი ადამიანის მომლოდინე ქალი და ბოლოს ისიც – სანატრელი და სასურველი სატრფო. ამ ყველაფერს კი ათბობს და ანათებს დიდი, კაშკაშა მზე. მეტიც შეიძლება ითქვას, ამ ლექსში დროც კია დაკონკრეტებული – ეს არის „მზის ქორწილის დრო“, ანუ „დიდი შუადღის დრო, როცა საგნები თავის ლანდებს ჰკარგავენ“ (გრ. რობაქიძე). ამ ლექსში ყოველ ზემოთ ჩამოთვლილ სახეს თავისი განსაკუთრებული სიმბოლიკა აქვს. პირამიდები – მარადიულობისა და საუკუნოვანი იდუმალების ხატი, მზისფერი ქვიშა მზისაგან მიღებული ენერჯითა და სიმხურვალით, ზღვა – წყალი განახლების, სამყაროს მთლიანობის და მუდმივობის სიმბოლო, უდაბნო – დუმილისა და უკიდევანობის ამსახველი, ცხენი – ხატი და სახე ბედისწერისა. დაბოლოს, ადამიანი ამ მარადიულობის, იდუმალების, სიცოცხლისა და ჰარმონიის შემად-

გენელი ნანილი. ლექსში ორნი ხვდებიან ერთმანეთს და მათი შეხვედრა (საყვარელ მამაკაცს ქალთან ცხენი „მოაფრენს“) სიყვარულის ჭეშმარიტი ზეიმია, სიყვარულისა, რომელიც არასოდეს თავდება სანამ ცოცხალია ადამიანი, ისევე მარადიული და უკვდავი როგორც მზე, პირამიდა, ზღვა და ქვიშა. ლექსშიც სწორედ ეს ნამია აღნიშნული: მოზეიმე სიყვარული, რომელიც თავისი არსით, მნიშვნელობით მარადიულობასთან არის წილნაყარი, ვითარცა დასაბამი ადამიანთა არსებობისა, სიცოცხლისა და ბედნიერებისა. ამ დროს შეყვარებულთა მფარველია მარადისობა – მზე. ისინი „მზიურები“ ხდებიან – მზით აღვსილნი, მისგან მონათლულნი და გამთბარნი. ალბათ, აქ ცნობიერდება არსი „მზის ქორნილისა“. მზის ქორნილი ანუ მზის ზეიმი, მზის დღესასწაული. „პირამიდების“ მზეს იმთავითვე ვაჟურ სანყისად რაცხდა ლიტერატურული აზრი. „გრიგოლ რობაქიძე და პაოლო იაშვილი იღებს მზეს, როგორც ვაჟურს“ – ნერდა შალვა აფხაიძე („რუბიკონი“, 1928 წ. №8). ეს არის ზედროულის და ზესივრცულის ხაზგასმა. ამასთან ერთად, ამ სამყაროში მზის ჰეგემონიის ცალსახად დაფიქსირებაც, ანუ ქართული ტრადიციული „მზე დედა“ პაოლო იაშვილთან ვაჟური სანყისით იცვლება. უფრო ადრე ამაზე გრიგოლ რობაქიძეც ამახვილებდა ყურადღებას – „მზე მას ისე აწვალებს როგორც არცერთ პოეტსო“ („რუბიკონი“, 1923 წ. №1). ამ აზრს მხოლოდ „დარიანული ლექსები“ არ ადასტურებს (მაგალითად, „ფარშევანგები ქალაქში“, „წითელი ხარი“) უბრალოდ, „დარიანული მზე“, სხვა ლექსებისაგან განსხვავებით, სიცოცხლის, მარადიულობის, იმედის და მგზნებარე სიყვარულის სიმბოლოდ მოიაზრება.

მზის ხატთან ერთად დარიანული სიმბოლიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სახეა ძვირფასი ქვებიც (თითქმის ყველა ლე-

ქსში ჩნდება ლირიკული გმირის გარეგნული ატრიბუტიკის მნიშვნელოვანი ნიშანი), ძვირფასი სამკაული, ანუ პატიოსანი თვლებით მორთული სამშვენისი. ეს ქვებია: ზურმუხტი, ლალი, მარგალიტი, მარჯანი, მაგრამ მხოლოდ თვლები და არა, თუნდაც, ძვირფასი ლითონი.

ელენე დარიანის ძვირფასთვლიანი სამკაულები ასახავს და იტევს ყველა იმ ისტორიულად ცნობილ და უძველეს სიმბოლურ დატვირთვას, რაც თითოეულ მათგანზე არსებობს; იაგუნდი (იაკითნა სპარს.) – სიყვარულში არცთუ ყოველთვის ბედნიერების მომტანი, სამაგიეროდ მამაკაცის მომზიდველი ძალის მქონე ქვა, მარგალიტი – სინმინდის, სილამაზის, ცოლქმრული ერთგულების, ფიზიკური სიახლოვის, ამასთან ერთად, მთვარის ენერჯიის ფლობის გამო ცრემლისა და სევდის სიმბოლოც, ლალი – ვნების, ბედნიერების, მომზიბვლელობის და აღტაცების მომტანი, ზურმუხტი – იდუმალების ნიშნის მატარებელი, სიმართლისა და ერთგულების დამცველი თვალი, მარჯანი – დაუვინყარი სიყვარულის და ვნების სიმბოლო, ავი თვალისაგან დამცველი, სულიერ იარათა მკურნალი ქვა. ეს პატიოსანი თვლები თავიანთი მნიშვნელობით სრულიად ასახავენ დარიანული ლექსების ლირიკული გმირის სამყაროს, იდეალს, განწყობილებას, ფიქრს და გრძნობას.

დარიანული ლექსების პერსონაჟის შინა სამყაროს შესაცნობად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ფერთა სიმბოლიკას. ამ ლექსებში ხშირად ჩნდება პოეტისათვის რჩეული ფერები: თეთრი, ცისფერი, ლურჯი, მწვანე, წითელი და ეს ფერები ლექსებში არა მხოლოდ სიმბოლური, არამედ მხატვრული დატვირთვითაც გამოირჩევა. ამდენად, ფერი ხშირად გმირის ხასიათის გასახსნელად, მის მიერ სამყაროს აღქმის გასარკვე-

ვად გამოიყენება. ლირიკული გმირის თვალი გარე სამყაროს აღიქვამს საკუთარი შინაგანი ბუნებიდან თუ სულიერი მრწამსიდან გამომდინარე და ამ სამყაროს თავისი ფერები გააჩნია. ფერი ფონს უქმნის გარკვეულ განწყობილებასაც. ამასთან ერთად ის მოვლენებსა და საგნებზე ქალური რეაგირების, ქალის თვალის, თუნდაც მისი ილუზიის გამომხატველიცაა.

ხშირად მარტოსული ქალი თეთრ ფერთა შორის ჩნდება, თეთრი – მტრედისფერი (მტრედისფერი ოთახი) – სინმინდის, მყუდროების, იმედის ფერი, ცისფერი – სიყვარულის და სილაყვარდის ფერი (ცისფერი ქოლგა, ცისფერი ოთახი), ლურჯი – იდუმალება, მარადიულობა (ლურჯი სიბნელე, ლურჯი სამშობლო, ლურჯი სფინქსი), მწვანე – განახლება და აღორძინება (მწვანე გაზაფხული, მწვანე მდინარის ტალღები), წითელი, მზისფერი, ლალისფერი, მარჯნისფერი, ალისფერი, ოქროსფერი მარადიულობა, სიყვარული. ლირიკული გმირი სამყაროს უმთავრესად ფერებში აღიქვამს. ლექსები სავსეა ფერებით და საგნებით, ნაკლებად ადამიანებით, საგნები, მოვლენები, ფერები, განწყობილებები, ხმები, მუსიკა და სიტყვები. – თავად პოეტიც ასე ფიქრობდა: „მე მოვიტანე ელვარება ფერადი ჰანგის“.

დაბოლოს, დრო. . დარიანული დრო არის მხატვრული დრო გარდა ერთი გამონაკლისისა („წერილი ანნა ახმატოვას“), ლირიკული გმირი თავისი ფიქრებით და გრძნობებით ცხოვრობს საკუთარ წარმოსახვით სამყაროში და მის სულზე არ აისახება ყოველივე დანარჩენი, რაც მის გარშემო ხდება. მოვლენათა და გარდატეხათა ისტორიული ეპოქიდან ელენე დარიანის სამყაროში მხოლოდ ალექსანდრ ბლოკის სიკვდილი იჭრება და ამ სამნუხარო ცნობას ლირიკული გმირი კვლავაც და კვლავაც ლექსით ეხმაურება. ეს კიდევ ერთი მინიშნებაა იმისა, რომ ის

განწყობილება, ფიქრი თუ იდეალი რასაც ლირიკული გმირი წარმოსახავს მარადიულობასთან არის წილნაყარი და ვერავითარი ეპოქა, მოვლენა თუ გარდატეხა ვერ სძლევს სიყვარული-სა და ერთგულების მარადიულ იდეას.

ასეთად წარმოგვიდგება „ელენე დარიანის დღიურების“ იდეურ-ფილოსოფიური და მხატვრული საფუძველი. საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ იმ სიღრმის, რაფინირებული ესთეტიზმის, შემოქმედებითი თავისუფლების, სულიერი სიმაღლის, საოცარი ექსპრესიის და დრამატიზმის, უმშვენიერესი პოეტური აზროვნების თუ ხელოვნების აღმოჩენას და გაცნობიერებას მრავალი წელი დასჭირდა ქართველი მკითხველისათვის და, ვფიქრობთ, ეს პროცესი ჯერაც არ დასრულებულა.

ცისფერი ორდენის სულიერი პრინციპის - ელენე დარიანის მშვენიერი სული და სახელი კვლავაც დედოფლობს ქართულ პოეზიაში.

„საიდან მოდის
სილამაზე?“



მ სიყვარულის ისტორიათა შორის, რომელიც XX საუკუნის ქართულმა პოეზიამ შემოინახა, არის ერთი ფრიად მშვენიერი და სევდიანი ამბავიც პოეტისა, რომელიც თბილისის ქუჩებში სეირნობისას გადააწყდა ულამაზეს ასულს, მას შემდეგ კი ყველაფერი ისე მოხდა როგორც უნდა მომხდარიყო: პოეტის ცხოვრებაში უსათუთესი გრძნობა სიტყვებში განსხეულდა, სიტყვები კი მძივებივით აიწყო და ლექსებად იქცა; ეს ლექსები ტიცციან ტაბიძეს ეკუთვნოდა, თავად ტიცციან ტაბიძე და მისი ლექსები კი უკვე კარგა ხანია მარადისობის კუთვნილებას ნარმოადგენს.

თამუნია წერეთლის სახითა და თვალებით ტიცციანის მუზა 1925 წლის ზაფხულიდან ალაპარაკდა. სწორედ ამ დროს უხილავს მას რუსთაველის პროსპექტზე დიმიტრი ქებაძის მინერალური ნყლების პავილიონის მომხიბლავი მოლარე, მისთვის უცნობი თამუნია წერეთელი*, რომელიც ორ სხვა მშვენიერ თავადიშვილთან ციციშვილთან და ხარიდბეგაშვილთან ერთად ახლად მიღებული

* ძირითადი მასალები თამარ წერეთლის ცხოვრებაზე, მის ოჯახზე, ასევე ხელნაწერები, ავტოგრაფები, ფოტოები და მისადმი მიძღვნილი კრებულები ვიხილეთ და მოვიძიეთ თამარ წერეთლის პირად არქივში, რომელიც მისმა გულისხმიერმა ქალიშვილმა რუსუდან კახიძემ მოგვანოდა და გვიამბო.

ჰყავდა პავილიონის პატრონს სამუშაოდ, რათა მათ გარეგნობას უფრო მეტი მყიდველი მოეზიდა. ასეც მოხდა, ახალგაზრდა ვაჟები თითქმის „თავის დახოცვამდე“ სვამდნენ ბორჯომის წყალს პავილიონში (პ. ნემსაძის მოგონებიდან). განსაკუთრებული მიმზიდველობით სწორედ თამუნია წერეთელი გამოირჩეოდა, მისი არამინიერი სილამაზე და გამომეტყველება საოცარ შთაბეჭდილებას ახდენდა ადამიანებზე. თამუნია წერეთელზე არსებულ თითქმის ყველა წერილში ვხვდებით თამარ ციციშვილისეულ კომენტარს: „ყველა რეჟისორი ტყუისო ქართველი ერის წინაშე, რომ კინოს არ შემორჩა მისი სახე, რადგან ვინც ამ დროს კინოვარსკვლავად ვითვლებოდით, მხოლოდ თამუნიას ჩრდილს წარმოვადგენდით“. ალბათ ასეც იყო, ამდენი აღტაცება და ერთსულოვნება მისი სილამაზის გამო ჩვენთვის, ძირითადად, მხოლოდ სიტყვებში ცნაურდება და რადგან თამუნიას სურათის გადაღება არ ჰყვარებია, მისი მხოლოდ ბავშვობისდროინდელი ფოტოები და მოგვიანებით ჯგუფური სურათებიდან ამოღებული ასლები თუ გვაზიარებენ ამ სილამაზის ანარეკლს.

თუმცა, თამუნია წერეთელი ტიციან ტაბიძის პოეტური აღმოჩენა არ ყოფილა და არც მხოლოდ მისი მუზა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ თამარ წერეთლის სახე მეოცე საუკუნის დასაწყისის ქართული ლირიკული პოეზიის ერთ-ერთი მუზა, სტიმული და სიმბოლო იყო. ამ შთაგონებას ბევრად უფრო ადრინდელი ფესვები აქვს, ვიდრე 1925 წლის ტიციანის შეხვედრას მინერალური წყლების პავილიონში. ტიციან ტაბიძემ ერთგვარად თითქოს გააგრძელა, თუ უფრო გაამძაფრა ის განწყობილება, რომელსაც თამუნია წერეთელი ჯერ კიდევ ბავშვობაში უქმნიდა მეცხრამეტე საუკუნის ქართული პოეტური სიტყვის სიმბოლოს – აკაკი წერეთელს. სწორედ აკაკი

წერეთელმა აღმოაჩინა თავისი ახლობელი ოჯახის უმცროს ასულში საოცარი სილამაზე და მშვენიერი სამყარო:

„უცხო სტუმარი მოულოდნელი
დედის ნუგეში, ცუცუნ პატარა,
ტიტინებს პირმზე რაც მოადგება,
ტრიალებს მთელ დღეს, როგორც რომ ჯარა!
ვითა პეპელა, ცელქობს ნელ-ნელა
მომართული აქვს გული ვით ქნარი,
თავის ნებაა, ისრულებს სურვილს
თვალცრემლიანი, ხან მომღიმარი . . .“

(„ანგელოზის ნანინა“)

ეს ლექსი სამი წლის თამუნას მიუძღვნა აკაკი წერეთელმა. თამუნა წერეთელი იმ ოჯახის შთამომავალი იყო, რომლის სახელთანაცაა დაკავშირებული საქართველოს ისტორიაც, მეცხრამეტე საუკუნის საზოგადოებრივი ყოფაც და ქართული არისტოკრატიის წარმომავლობაც. ერეკლე მეფის ასულის ანასტასია ბატონიშვილის შთამომავლების ალექსანდრე და დარია ბაგრატიონ-დავითაშვილების უფროსი ასულის ნიცასა და ბეჟან წერეთლის ნაბოლარა ქალიშვილისთვის სახელი აკაკის დაურქმევია. ნიცა ბაგრატიონის დედმამისშვილებიც: გიორგი, ტასო (ივანე მაჩაბლის მეუღლე), ბაბო და დავით ბაგრატიონ-დავითაშვილები იმ დროს ცნობილი პიროვნებები ყოფილან. აკაკი წერეთლის მათთან ურთიერთობაზე ეპისტოლარული მასალაც არსებობს. ამ ოჯახის წევრებთან ახლო ურთიერთობა ჰქონიათ ოლივერ და მარჯორი უორდროპებსაც.

* ბაგრატიონ-დავითაშვილთა ოჯახის ისტორიაზე და აკაკი წერეთლის მათთან ურთიერთობაზე მასალები მოვიძიეთ მურად მთვარელიძის წიგნში „მათი ბედნიერი და უბედური დღეები“, თბილისი, 2000 წელი.

1903 წელს, როდესაც აკაკიმ გაიგო, რომ ნიცა წერეთელი შვილს ელოდებოდა, უძღვნა ლექსი „შვილის დამკარგავ ორსულ დედას“ (ნიცა წერეთელს ამ დროს ორი შვილი ჰყავდა გარდაცვლილი – ივლიტა და ალექსანდრე). ხოლო შემდეგ, 1903 წელს პატარა თამუნის დაბადებისთანავე უძღვნა ლექსი „ლამის თევა“.

თამუნია წერეთლით შემდგომაც არაერთხელ მოხიბლულა აკაკი წერეთელი. თუ იმასაც ვიტყვით, რომ ბავშვობაში თამუნია წერეთელის მიერ ლიტერატურულ სალამოებსა თუ ოჯახურ თავყრილობებზე არაერთხელ გამომჟღავნებულმა პოეზიის სიყვარულმა, აკაკის ლექსების ცოდნამ და მშვენიერმა დეკლამაციამ პოეტს თურმე მრავალჯერ მოჰგვარა სიხარულის და აღტაცების ცრემლი. ათი წლის თამუნისთვის (1912წ. 5.III) ასევე უძღვნია მშვენიერი ლექსი ილიკო ნიუარაძეს:

* * *

(უძღვნი კნიაჟნა თამარას)

„ტურფათ მოსჩანს ტყე-მინდორი,
იფურჩქნება ია-ვარდი,
ნაზ ყვავილებს თავს აწონებს
მზის სიცხოვლე მთვარის ბადრი.
ბულბული სტვენს, მერცხალს ართობს,
არე-მარეს თავს ევლება,
და ბუნების სანუგეშოდ
ბუზ-პეპლები გარს ედება.“

* ეს ლექსი და კიდევ ჩვენ მიერ თამუნია წერეთლის არქივში მოძიებული ზოგიერთი მასალა დადასტურებულია გურამ შარაძის ნიგნში „საქართველოს მზე და სიყვარული ალბიონის კუნძულზე“, თბილისი, 1986 წელი.

ქარი დაჰქრის ჯეჯილსა შლის,
ოქროს ფერად აბრიალებს!
და პატარა ჩვენს თამარას
თმებს უვარცხნის, ალამაზებს“.

ყოველივე ეს თამუნის ბავშვობაში ხდებოდა. დრო კი გადიოდა და ქართულ არისტოკრატიულ ოჯახებში პოპულარული თვალხატულა და სიცოცხლით სავსე თამუნია მალე ღვთაებრივი სილამაზისა და დახვეწილი მანერების მქონე უმშვენიერეს ბანოვანად იქცა. მან წმინდა ნინოს სასწავლებელი დაამთავრა. ქართულთან ერთად რუსულად, ფრანგულად და ინგლისურად საუბრობდა. ხორცშესხმული ღვთაებრიობა, სისპეტაკე, დახვეწილობა ასეთად ხედავდნენ თავადის ნებიერ ასულს – თამარ წერეთელს თანამედროვენი.

ეს იყო ოციანი წლები, როდესაც „სიკვდილის ცელი“ მოუსვენს ქართულ არისტოკრატის: მათ ვინც ფოთიდან გამავალ თეთროშიან გემებზე ასვლა ვერ მოახერხა, საკუთარ სახლში სიკვდილისმოსურნე მოხუცი მშობლები ვერ მიატოვა, ან კიდევ ნოსტალგიითა და მშობლიური მინა-წყლის დატოვებით სავსე სევდიანი დღეების სიმშვიდეში გატარებას, თავის ტანჯულ მამულში რევოლუციურ-რეპრესიული ტალღების პირისპირ ვაჟკაცურად შეგებება არჩია. „სიკვდილის ცელის“ ამ უღმობელ ტრიალს ვერც ბაგრატიონ-დავითაშვილთა და წერეთელთა გვარი გადაურჩა: თამუნია წერეთლის ძმები და ბიძა-ბიძაშვილებიც ამ წელთა მსხვერპლნი გახდნენ. ნიცა წერეთელმა და მისმა ქალიშვილმა თბილისს შეაფარეს თავი. შიმშილისა და სიღატაკისაგან თავის დასაღწევად თამუნია მამუშაოს ძებნა დაიწყო, რაც მაშინ არც ისე ადვილი იყო ცნობილი არისტოკრატიული ოჯახისშვილისათვის. იმ დროს

და სწორედ მაშინ აღმოჩნდა მინერალური წყლების მალაზიაში, ითვლებოდა რომ მრავალმხრივი განათლებისა და უძველესი გვარის უმშვენიერეს მემკვიდრეს ბედმა გაუღიმა.

მაგრამ შემდეგ რაც მოხდა, ის მართლა ჰგავდა უფლის გაღიმებას, ტიცციან ტაბიძე და მისი მეგობრები ბორჯომის წყლის დასალევეად შევიდნენ პავილიონში და

„ბედნიერი ვარ როგორც არასდროს,
თვითონ არ ვიცი, რა მიხარია,
არ მინდა გული ცეცხლმა დაღაროს,
თუ ცეცხლი ლექსად მე მაფარია.
ტაშისკარიდან მოჰქრის გრიგალი
დიდმოურავის მუზარადებით,
ცას მოგრეხია თავის ნამგალი,
მთვარე სავსეა გულის ზადებით.
დარღვეულ ციხეს მე გათანგული
ვეღარ ვაშორებ ოცნებას ოჩანს.
ვიცი, მარტყია ხმალი ფრანგული,
მაგრამ თათარი კი აღარ მოჩანს.
ვტირი და ვამბობ სანყალ მამაის,
„თამარს, ვინ ეტყვის, მართლა რა იყო?“
ჩემი ცხოვრება ისაც წამია
და სხვა თამარმა შვაზე გამიყო,
თამარს ვინ ეტყვის, რა იყო მართლაც,
თამარს, ვინ ეტყვის მართლა რა არის! . .
თავზე დამნათის მე ძველი ქართლი,
„მოდი-ნახეს“ კი ვარ პატიმარი“.

(„თამუნია ნერეთელს“)

ეს ლექსი თამუნია წერეთლის გაცნობიდან სულ მალე დაიბადა (1925 წ. ივლისი). ეს არ იყო იდუმალებით მოცული, უსიტყვო გრძნობა. ტიცციანი თავის გრძნობას არ მალავდა, მისმა მეგობრებმა იმთავითვე იცოდნენ თავიანთი „ცისფერ-ყანწელი ძმის“ თავდავიწყებულ გატაცებაზე, ბორჯომში მყოფი ნინო მაყაშვილისთვისაც შეუთვლია მეუღლეს თავისი გატაცების შესახებ და ჩამოსვლაც უთხოვნია. მეგობრებსაც ხშირად თხოვდა წაყოლას ბორჯომის დასალევად, რათა თამუნიათვის თვალი შეეველო. მალე ლექსებიც დაიბეჭდა და თამუნია წერეთელს ტიცციან ტაბიძემ საჯაროდ გამოუცხადა თაყვანისცემა. მაგრამ ყოველივე ეს მხოლოდ ტიცციანსა და მის ლექსებში ხდებოდა, ერთმანეთს კი მხოლოდ ესალმებოდნენ, არც მაშინ და არც შემდეგ თამუნია წერეთელი ტიცციანსა და მის სიყვარულზე არ საუბრობდა: „Я ничего не знала“ – ასე პასუხობდა იგი ახლობლებს შეკითხვებზე – ეს პასუხი მისი საოცრად მოკრძალებული ხასიათიდან გამომდინარეობდა. მას თურმე არასოდეს უყვარდა პოპულარობა, არც თავის სილამაზეზე უსაუბრია ოდესმე.

ტიცციან ტაბიძე კი წერდა:

„ . . . არ შეგიკერავს შენ ჩემთვის ჩოხა,
 მაგრამ ვატარებ ობობას პერანგს,
 რაც სხვას სიცოცხლე მიაჩნდეს ოხვრად,
 ასეთი სისხლით ველარ შეღებავს –
 ბევრი დაგყვება დღეს აბეზარი,
 მაგრამ არ გვანან იმ ძველ რაინდებს,
 რა საჭიროა იმ დროთ მეზარე,

დრო უმისოდაც არავის ინდობს.
ამ სიბნელეში მოდის ნათელა, –
ძველი წერეთლის ამაყი ქალი,
მე თუ ცხოვრებამ მართლა გამთელა,
მლელვარე გულის დამრჩა ფართქალი.
მაგარი არი ხომ „მოდინახე“,
ლექსს უფრო მტკიცე აქვს გალავანი
და ეს პოემაც შენ შეინახე,
მეც პოეტების ვარ ფალავანი . . . “

(„თამუნია წერეთელს“, 1926 წ.)

მეგობრები სულ თან დაჰყვებოდნენ და უარს არ ეუბნებოდნენ, რომ კიდევ ერთხელ დაენახა პოეტს თავისი მუზა. „თავის გატაცებას ის არც მალავდა, ეს გატაცება იყო სუფთა, რომანტიკული, ციური, მოკრძალებული და ამიტომ ამთავრებდა ლექსს „შენს გარდა ალბათ სხვაც მომიტყეებს, რომ შენზე ვფიქრობ დღეს, თამუნია“. ამ სხვის მიერ მართლაც მიტყეებული ჰქონდა „ცოდვა“. ეს „სხვა“ იყო მისი მუდმივი მეგობარი, მისი კოლომბინა ნინო მაცაშვილი“ – წერდა შალვა აფხაიძე. „ტიციანს გატაცებით მოსწონდა და უყვარდა ეს მართლაც მშვენიერი ქალი თამუნია წერეთელი. პავლიონში რომ შევიდოდით, მხოლოდ მივესალმებოდით, არ დაველაპარაკებოდით, მაგრამ ტიციანს მისი ცქერით კმაცოფილს სახეზე ბედნიერების შუქი ეფინებოდა“ – იგონებდა გრიგოლ ცეცხლაძე.

მაგრამ ტიციანი არც აქ იყო მარტო, თამუნია წერეთელს მხოლოდ იგი არ მოუხიბლავს. თბილისისა და თბილისელებისათვის, რომელთაც იმხანობას ლამაზმანებით ნამდვილად

ვერავინ გააკვირვებდა, თამუნისას გამოჩენა განსაკუთრებულ მოვლენად იქცა. „ფრთაშესხმული ანგელოზის“ გამოჩენამ თბილისი ფეხზე დააყენა.

„თამუნია ჩვენი ღვთაება იყო“ – აცხადებდა სიმონ ჩიქოვანი. „მისი გამოჩენა და ატყდებოდა ქუჩაში ჩოჩქოლი, აგერ თამუნია წერეთელი მოდისო“. „თამარი თბილისის ქუჩების ეშხი და სილაგაზე იყო. გვიყვარდა, პოეტური სული ჰქონდა, პოეზიის დიდი პატივისმცემელი იყო. ყოველთვის თავისი მომაჯადოებელი ღიმილით გვხვდებოდა“ – წერდა იოსებ გრიშაშვილი.

თავად კი მუდამ ერიდებოდა ხალხმრავლობას: „Не надо по Головинскому, я поеду по переулкам“ – ასე პასუხობდა, როცა ქუჩაში გასვლას შესთავაზებდნენ ხოლმე.

1925 წელს გიორგი ლეონიძემ თამუნია წერეთელს უძღვნა ექსპრომტად ლექსი. ამ ლექსის ავტოგრაფი თამარ წერეთლის ოჯახში დღესაც ინახება და საოცარი შეგრძნების გარეშე შეუძლებელია ნაიკითხო ფარატინა ფურცელზე გიორგი ლეონიძის ხელით, ფანქრით დანერილი „ღამე ივერიისა“, კუთხეში გაკეთებული მინაწერით „დაუბეჭდავი ლექსი, ვუძღვნი თამუნია წერეთელს“.

„ისევ აყვავდა გული ვარდივით
მინდა მწუხარე ლექსი დავწერო,
დარიალიდან გადავარდნილი,
ხაზარეთისკენ მიცურავს წერო“*

* უნდა აღინიშნოს, რომ გიორგი ლეონიძის ლექსების გამოცემებში ეს მიძღვნა არ გვხვდება. ამასთან ერთად, თამუნია წერეთლის არქივში დაცული ამ ლექსის ვარიანტი ოდნავ განსხვავებულია ცნობილი და გამოცემული ვარიანტისაგან.

1925 წელს გამოცემული „დიონისეს ღიმილი“ ავტორს თამუნია წერეთლისათვის მიუძღვნია ასეთი წარწერით „ძველი საქართველოს ცოცხალ ფრესკას“ – ავტორი კონსტანტინე გამსახურდია.

1926 წლის „გველის პერანგის“ გამოცემას კი ამგვარი წარწერა აქვს: „თამარ წერეთელს, თუ შევძელი ამ რომანით ქართველი ქალის ასახვა, მაშინ კი ვიფიქრებდი, რომ თქვენს ნაცნობობას ჩემთვის ტყუილად არ ჩაუვლია. გრიგოლ რობაქიძე 1926. ოქტომბერი თაფლიანი მზე. ტფილისი“.

თამუნია კი ხშირად ამბობდა თურმე: „ლამაზი არ ვყოფილვარ, ერთმა თქვა და მერე ყველამ გაიმეორაო“. თავად კი ყველა ადამიანში თურმე მხოლოდ სილამაზეს და სათნოებას ეძებდა მუდამ და თავისიანებსაც თხოვდა ასე მოქცეულიყვნენ, ასე აღექვათ ადამიანი. „ცისფერყანწელები“ კი დასდევდნენ, პავილიონთან თუ სადარბაზოსთან ელოდნენ, ყვავილებსა და ლექსებს უძღვნიდნენ „პოეზიის საღამოების დედოფალს“ წერეთლის ამაყ, მიუწვდომელ და უკარება ქალს, რომელიც სიყვარულზე არავის პასუხობდა

მხოლოდ 1928 წელს გამოჩნდა, თუ ვინ იყო მშვენიერი თამარ წერეთლის რჩეული, როდესაც მან ექიმ და იურისტ ნიკოლოზ კახიძეზე იქორწინა. ნიკოლოზ კახიძე თბილისში ცნობილი პიროვნება იყო, ქართული სატირული თეატრის დამაარსებელი და მისი პირველი მთავარი რეჟისორი. სწორედ ამის შემდეგ მოხდა თამუნიას ცხოვრებაში ფრიად ცნობილი და ფატალური შემთხვევა. მისი მშვენიერება დედობის ბედნიერებას შეეწირა: 1929 წლის 1 მარტს მას ერთადერთი ქალიშვილი შეეძინა, ხოლო 16 მარტს, სწორედ იმ დღეს, როდესაც 26 წლის გახდა, „ირმის ფეხება გოგონა“ „ფეხმოტეხილ

ლრუბლად" იქცა - მშობიარობის შემდგომ განვითარებული ტრომბოსა და განგრენის გამო, მას ფეხი მოკვეთეს. ამ ამბავმა თვალცრემლიანი მნახველებითა და ყვავილებით გაავსო საავადმყოფოს დერეფანი.

გაოგნებულმა ტიცციანმა კი თავისი მუხის ტრაგედია საკუთარ სასჯელად აღიქვა. დამწუხრებულმა და სულატკივებულმა დაბეჯითებით მოსთხოვა თურმე თავის ახლობელს, თამუნას დეიდაშვილის ელენე მაჩაბლის (ტასო და ივანე მაჩაბლის ქალიშვილი) მეუღლეს - ივანე ჩერქეზიშვილს, ეჩვენებინა მისთვის საავადმყოფოდან ახლადგამოსული თამუნია, რომელიც იმხანად სწორედ ელენე მაჩაბლის სახლში ცხოვრობდა საბჭოს ქუჩაზე. შეხვედრა შედგა, ადრეული გაზაფხულის იმ დღეს ტიცციანმა კვლავ იხილა თავისი ფერმიხდილი და მშვენიერი მუზა, პოეტს ხელში თავისი ლექსების კრებული ეჭირა წარწერით „თამუნია წერეთელს, მისი შთაგონებით დაინერა მეორე წიგნი ლექსებისა“, თვალები კი ცრემლებით ჰქონია სავსე.

გაზაფხულის იმ საღამოზე, იმ სევდიან შეხვედრაზე, გულისტკივილზე, დანანებულ ბედნიერებასა და სიყვარულზე მხოლოდ ლექსებმა ილაღადეს, სიტყვები იმ შეხვედრაზე არ ყოფილა. პოეტი უსიტყვოდ, ცრემლმორეული უცქერდა ულამაზეს თამუნას, რომელიც მოგვიანებით კვლავდაკვლავ საკუთარი მოკრძალებულობისა და სისადავის გამო ასე იგონებდა იმ უსიტყვო შეხვედრას: „Была глупая ситуация.

„რა დამავინყებს იმ შავ გაზაფხულს,
ბედი უბედურს სხვას რაღას უზამს,
ვტირი სიცოცხლის კუბოს დამარხულს,

გაუხარებელ, დაფლეთილ მუზას.
რა საჭიროა კითხვა პასუხი,
ეს უმისოდაც გახდა აშკარა,
არ იყო ბედი არასდროს უხვი,
მოდენის ნაღველს ახლა ლაშქარად.
ნულარ მეტყვიან, „მოდინახეო“
უნახავადაც მე მჯერა ერთ წამს.
გულის მაგიერ გული არ მოვა
არ მოებმება არც ფეხი ლერწამს.
სხვები მოვლენ და სხვები ნახავენ
ამ ჯოჯოხეთის ავარდნილ აღმურს,
მე არ მინდოდა სხვა სიხარული,
ჩემთვის ლერწმიდან ქრიან სალამურს.
მანუხებს მხოლოდ, ვერ მოვასწარი,
თავის დროს შენთვის მეთქვა მეამბო,
თუ როგორ არის დაუვინყარი
სხვა პოეტებში უფეხო რემბო“.

– ამ დროიდან თამუნია წერეთელის სახელი თითქოს უნდა გაფერმკრთალებულიყო, რადგან თბილისმა დაკარგა თავისი მშვენება, მაგრამ მშვენიერი ქალის ამბავს ასე ადვილად ვერ დაივიწყებდა ქალაქი და, ბუნებრივია, რომ, მითუმეტეს, ვერ დაივიწყებდა მას პოეტი. ტიცვიანი კვლავ ძველებური გატაცებით წერდა თამუნია წერეთელზე, „მაინც მისი ერთგული დარჩა, ისევ უმღეროდა“ – წერდა გრიგოლ ცეცხლაძე. „თამუნია წერეთელს, იმ სიხარულით, რომლითაც იწერებოდა ამ სათაურით ლექსი, ქ. ტფილისი 22/7–929 წელი“ – ამ ავტოგრაფით კიდევ ერთ კრებულს უძღვნის პოეტი მას.

არც ამ სამწუხარო შემთხვევის შემდეგ დაუკლია თამუნია წერეთლისათვის ბედისწერას „ტკივილიანი საჩუქრები“. პირველად 1932 წელს, ხოლო შემდეგ 1935-ში ჯანმრთელობა-შერყეულმა, ყავარჯნიანმა თამუნია მხელი მოჰკიდა თავის ქალიშვილს და ჯერ როსტოვში, შემდეგ სოლოვკებსა და „მედვეუაია გორა“-ში გაჰყვა ეკონომიური კონტრრევოლუციონერის ბრალდებით დაპატიმრებულ მეუღლეს. როსტოვში ყოფნისას თურმე კვლავ დაეძრა ტრომბი. მეორე ფეხის მოჭრასაც უპირებდნენ, მაგრამ თამუნია არ დათანხმებულა. უფეხოდ დარჩენას იგი ალბათ ველარ გადაიტანდა, ტკივილებს ბედად თავისით გადაუვლია. გადასახლებიდან 1936 წელს დაბრუნდნენ, ხოლო ოცდაჩვიდმეტში ნიკოლოზ კახიძე კვლავ გადაუსახლებიათ. მეორე გადასახლებაში თამუნია ველარ გაჰყვა მეუღლეს, რადგან კვლავ გაახსენა თავი ტკივილებმა, ფეხიც წაერთვა და ორი წელი ლოგინს მიაჯაჭვა. ოცდაცხრამეტ წელს გადასახლებიდან დაბრუნებული ნიკოლოზ კახიძე სამხატვრო აკადემიის დირექტორად დაინიშნა, ხოლო ომის დაწყების შემდგომ სამხედრო სამსახურში მუშაობდა („Всесоюз“), 1942 წლამდე, სანამ გულისხმიერებისა და თავმდაბლობის გამო ჩადენილ სიკეთეს არ ემსხვერპლა. თამუნია მსაყვარელი ადამიანი დაკარგა და იგი მარტო დარჩა მცირეწლოვან გოგონასთან, საკუთარ ტკივილებთან, სევდასთან და გატეხილ ჯანმრთელობასთან პირისპირ. თუმცა „დაფლეთილი მუზა“ ცხოვრებას აგრძელებდა. უხმაუროდ, სადად, მშვიდად მისდევდა დღეები დღეებს, კეთილშობილება, სიყვარული და სულიერი სიმხნევე არასოდეს ტოვებდა მას და, ალბათ, ამის გამო არც გარეგნული მომხიბვლელობა, საოცარი მიმზიდველობა და კდემამოსილება დაჰკლებია ბოლომდე. სწორედ ცხოვრებისეული საკ-

მაოდ შეუვალი და შესასრულებელი კანონზომიერებით, რომ სიცოცხლე ადამიანებისადმი სიყვარულის და საქმის კეთების საჭიროებაში მოიაზრება 1952 წლამდე იგი „სახკომსაბჭო-სა“ და „გრუზუგოლში“ ეკონომისტად მუშაობდა. ხოლო 1968 წლის 16 დეკემბერს „ძველი საქართველოს ცოცხალი ფრეს-კა“ მარადისობაში გადასახლდა, ცათა სასუფეველს შეერია ოციანი წლების თბილისის მუზა. პოეტების რჩეული თმებდა-თოვლილი ბანოვანი, რომელსაც ზეციურ საუფლოში მისი ლე-გენდადქცეული ოჯახის წევრების გარდა კარგა ხანია პოეტიც ელოდა, რადგან სიცოცხლის ბოლომდე ტიციანის პოეზიაში არ გამქრალა თამარ წერეთლის სახე, მისი არისტოკრატიული პროფილი კვლავ იკვეთებოდა ფურცლებზე, რომელსაც პოე-ტი ჩაჰყურებდა:

„შენ აქ რა გინდა, მაგრამ ყოველთვის
მომაგონდები ამ ანანურთან,
შავი არაგვი თეთრ არაგვს ერთვის,
ჩვენი გათიშვა კი ყველას სურდა.
არც კი გიცნობდი არც კი მენახე,
ისე გხატავდა თამარს ვრუბელი,
ხარ დანგრეული შენ, „მოდინახე“,
„ფეხ-მოტეხილი“, შენ ხარ ღრუბელი.
ისე ნაზია ეს მოგონება,
როგორც დემონის ფრთების შეხება,
სჯობს გაიხარონ სხვა გოგონებმა,
მოიბან შენი ირმის ფეხები.
დე! გაიხარონ იმათ მგოსნებმაც,
მათი ცხოვრება ხვალე იწყება,

ჩვენ მგლოვიარე მნუხარ ოცნებას
 დაფარავს მინა და დავინყუბა.
 გარჩენილი ვარ ქვებზე კალმახი
 და ახეული მაქვს ლაყურები,
 შემართულია ფეხზე ჩახმახი
 და უსიკვდილოდ ვერ გადვურჩები.
 ასე კვდებოდა ალბათ ათასი
 და მონმედ ჰყავდათ ეს ანანური,
 ეს არის ჩემი მგოსნობის ფასი
 და თვითმკვლელობის იავნანური“.

(„ანანურთან“)

ტიციან ტაბიძის 1934 წლის კრებულის თავფურცელზე კვლავ ჩნდება მიძღვნა „თამუნია წერეთელს“.

ერთიც უნდა ითქვას, იმ ლექსებს რომელთა ადრესატადც კონკრეტულად თამუნია წერეთელია გამოცხადებული, ლიტერატურულ-მხატვრული აღქმის თვალსაზრისითაც აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა, რადგან ისინი, როგორც ცნობილია, 1925-29 წლებშია შექმნილი და ეს ეტაპი ტიციანის შემოქმედებით ცხოვრებაში სიმბოლისტური ორთოდოქსალიზმიდან კლასიკური ფორმირებისაკენ გადასვლის პერიოდად მიიჩნევა როგორც აზრობრივი, ისე მხატვრული რაკურსიდან და, მიუხედავად ამისა, უნდა ითქვას, რომ ამ ლექსებს გარდამავლობის პრინციპთან არაფერი აქვთ საერთო. ისინი წარმოსდგებიან როგორც ჩამოყალიბებული სახე ქართული კლასიკური პოეზიისა (განსაკუთრებით „თამუნია წერეთელს“ – მესამე ლექსი და „ანანურთან“), თუმცა ცისფერყანწელთა და ამ შემთხვევაში ტიციან ტაბიძის პოეზიისთვის დამახასია-

თებელი მხატვრული პასაჟები, მოქნილი სიმბოლური სახეები ამ ლექსებშიც აღიქმება. მაგალითად, „არ შეგიკერავს შენ ჩემთვის ჩოხა, მაგრამ ვატარებ ობობას პერანგს“, „თუ როგორ არის დაუფინყარი სხვა პოეტებში უფეხო რემბო“, „ფეხმოტეხილი შენ ხარ ღრუბელი“ და სხვა. შეუძლებელია არ აღინიშნოს „მოდინახეს“ ციხის პოეტისეული გასიმბოლოურება – წერეთლის ქალის სულიერი სამყაროსა და მრწამსის ხაზგასასმელად. ვფიქრობთ, არც აკაკის „ნათელას“ მხატვრული სახის ხილვა და მასთან თამარ წერეთლის სახის განზოგადებაა შემთხვევითი. პოეტური განწყობა და ხილვა, ამ შემთხვევაში, ლექსის გმირისადმი, ქალისადმი გრძნობის გამოხატვა არა მხოლოდ მისი გარეგნული მომხიბვლელობის, არამედ საერთო შთაბეჭდილების, მისი ცხოვრების, მისი შინასამყაროს ერთ მთლიანობაში აღქმითა და განზოგადებით ხდება.

თამუნია წერეთელზე საუბრისას, ალბათ ბუნებრივია მისივე ერთი თაყვანისმცემლის გიორგი ლეონიძის სიტყვების გახსენება: „საიდან მოდის სილამაზე? ან სად მიდის? სად იკარგება თუ დროებით მიეფარება? ვინ იცის!?“

ამ კითხვას მხოლოდ ამგვარი პასუხი აქვს: სილამაზე სიყვარულში სახიერდება, იგი უკვალოდ არ ჩაივლის, მშვენიერებისა და სიყვარულის ერთარსება მარადიულია, იგი მოვლენებსა და საგნებს ელექება, მაგრამ ყველაზე კარგად იგი ფურცლებზე ჩნდება და იქ, გაცრეცილ ფოტოსურათებში და, იქნებ, ფოტოებზე მეტად გაცრეცილ ფურცლებზე დაწერილ სიტყვებში არაფერი არ არის ძველი და დავინყებულის, რადგან ამ ფურცლებს პოეტი ჩაჰყურებდა; პოეტი, რომელსაც უყვარდა და თავის მფეთქავ გულსა და გახურებულ გონებაში გატარებულ გრძნობასა და სიტყვებზე ქვეყნიერებას ხმამაღლა

აუწყებდა, რომ არსებობდა ამქვეყნად ერთი მშვენიერი ამბავი სიყვარულისა, სათნოებისა და მშვენიერებისა.

და არა არის რა დრო და არცა სიშორე ამ ადამიანებსა და იმ ადამიანებს შორის, რომელთაც ცათა სასუფეველი გვაშორებს, რადგან სიტყვები მათ გრძნობებზე არა მხოლოდ დღევანდელი, არამედ მრავალი შემდეგდროინდელი თაობების კუთვნილებაა.

„სიყვარული არსადა დავარდების, გინა თუ წინასწარმეტყველებანი განქარდენ, ანუ თუ ენანი დავე-სცხრენ, გინა თუ მეცნიერებანი განქარდენ“ (პავლე მოციქული, I კორ. 13, 18).

“ღურჯი თვალები...
ისევ მოგელის”



მციანი წლების თბილისს კარგად ახსოვს ერთი შთამაგონებელი და სევდიანი ნაწილი მისი ბოჰემური ისტორისა. კარგად ახსოვს სამგლოვიარო პროცესიების ხშირი გამცილებელი, ახალგაზრდა კაცი, არცთუ სათუთად და საკმაოდ ღარიბულად ჩაცმული, თეთრი ტილოს ტანსაცმელში გამონყობილი, თავდახრილი და მიცვალებულის ჭირისუფალივით შეწუხებული, შორიახლოს რომ მიაცილებდა სასაფლაოსკენ ხშირად მისთვის სრულიად უცნობს... ან კიდევ ეკლესიის ეზოებში, საფლავებს შორის ლანდივით მოსიარულე, ჩუმად მობუტბუტე, ეპიტაფიებთან ჩამუხლული; უეცარ შემხვედრს საოცარ ლურჯ თვლებს, რომ შეანათებდა, რომელთაგანაც მუდამ სევდა და ტკივილი მოჩანდა, ქერა თმებს კი ქარი უწენავდა... ზოგჯერ რუსთაველზე გამოჩნდებოდა ახალ აფიშებს, გაზეთებსა და ალამანახებს ყურადღებით ათვალიერებდა, ხელში მუდამ ფურცლების დასტა ეჭირა, გზადმემხვედრთ (განსაკუთრებით პოეტებს) ხან ღიმილით ესალმებოდა, ხან კი არცთუ კორექტული საქციელით აკვირებდა; მას კარგად იცნობდნენ თბილისელები, მისი ლექსები ზეპირად იცოდნენ, ქუჩაში მიმავალს ღიმილითა და თანაგრძნობით აცილებდნენ...

თავისი ხანმოკლე ცხოვრების მანძილზე მხოლოდ ორ რამეს ეთაყვანებოდა პოეზიას და თბილისს. მისთვის სხვა ყველაფერი მეორეხარისხოვანი იყო. თუმცა არასოდეს ყოფლა გამთბარი, მაძლარი, არც საკუთარი ჭერი ღირსებია, არც სამსახური ჰქონია და არც ჰონორარებით ყოფილა განებივრებული. მის სევდიან და შეჭირვებულ ყოფაში მხოლოდ რამდენიმე მცირეხნიანი გამონათება თუ მოხდა და ისიც თავის საყვარელ ქალაქში. მისივე წიგნის გამოცემასთან, ლიტერატურულ საღამოსთან, ან მკითხველთა აღიარებასთან იყო დაკავშირებული.

ტერენტი გრანელის ყოფისა და შინასამყაროს უძირითადესი ფორმაც და მდგომარეობაც უპირველესად მარტოობა და მარტოსულობა იყო, ამ სიტყვების ყველაზე პირდაპირი თუ კლასიკური გაგებით. გულჩათხრობილი და ჩაფიქრებული იგი თითქმის არასოდეს საუბრობდა თავის ცხოვრებაზე. თბილისში არავინ იცოდა მისი ოჯახის შესახებ, არც ის იცოდნენ სად ცხოვრობდა, ან რით ცხოვრობდა.

„ცხოვრობდა იგი მთრთოლვარე, ცივი,
და ბედისაგან შეწუხებული
თითქოს საეჭვო ქურდი კაცით
უყვარდა ღამის შავი ხვეული...
უნდოდა შველა და სწუხდა დღისით.
სწამდა თბილისი, უდაბნო დარდის.
ასეთი იყო იღბალი მისი
დღესაც ასეთი მოკლეული დადის“.

ეს კი დილიდან ეჩვენებოდა თბილისის ქუჩებს ჩაფიქრებული დაბნეული, იშვიათად ცოცხალი და გახარებული (როცა ლექსს შეუქებდნენ), აჩერებდა გამვლელებს და თავის ლექსებს უკითხავდა მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ტონითა და აქცენტით. შემხვედრნი კი სე-

ვდანარევი ღიმილით უსმენდნენ, ხშირად მის ლექსებს თავადაც ზეპირად ეუბნებოდნენ, რასაც პოეტის უსაზღვრო კმაყოფილება და აღტაცება მოჰყვებოდა ხოლმე.

ტერენტი გრანელი თბილისის ერთ ძველ უბანში, იტალიური ეზოს კიბის ქვეშ ცხოვრობდა, ნიკო ფიროსმანივით, როგორც მხატვრის ბედის პოეტური გამგრძელებელი, მასავით ადამიანების სითბოსა და სიყვარულს დანატრებული მასავით დიდი სულისა და ნიჭის პატრონი, მასავით დაუფასებელი, სადა და უბრალო, როგორც ყოველივე დიდი, მართალი და ნამდვილი. ეს იყო მისი ერთადერთი საკუთრება თბილისში, ამ ცივ და პატარა ოთახში ტახტის, მაგიდის, სკამის, პატარა ნავთქურის გარდა არა გააჩნდა რა, თუ არ ჩავთვლით იმ მშვენიერ ლექსებს, იმ პატარა ოთახის პატარა მაგიდაზე დანყობილ ფურცლებზე რომ იქმნებოდნენ, და პოეტისავე განუმორებელ უბის წიგნაკს, რომელსაც იგი მუდამ თან ატარებდა მეტწილად ხელში გაშლილს და ხშირად ქუჩაში ხეტიალისას აკეთებდა მასში ჩანანერებს:

„ეს შემოდგომა და ეს მინდორი
მიხმობს უმიზნო ხეტიალისთვის
მალლა გაფრენა მე მოვიწოდო
რადგან მინაზე სული არ იცდის...
შენ დედამინაე! უფრო მაშინებ
როცა ოცნებით ზეცას მივიარ,
ნმინდაო ღმერთო! რად გამაჩინე
მე ხომ სიცოცხლე არ მითხოვია“.

ასეთად ახსოვთ ტერენტი გრანელი, მაგრამ ვინ იყო ტერენტი კვირკველია (კვირკვია)? ნალენჯიხელი ხარაზის ერთადერთი ვაჟი, დედით ადრე დაობლებული, დედინაცვლისა და დების სითბოში გა-

ზრდილი, რომელიც ყმანვილკაცობიდანვე პოეტური შთაგონებისა და ფიქრის სამყაროში ცხოვრობდა.

შემოქმედებითი დამკვიდრების, ლიტერატურული ფორმის ძიების, საკუთარი ხელწერისა თუ მხატვრული პროფილის შემუშავების ძირითადი პროცესი გარკვეულ დროსთან კავშირში მოიაზრება. დრო, რომელიც საზღვრავს მწერლის შემოქმედებითი განვითარების შესაძლებლობებს (არეალს) და ლიტერატურული ეპოგეისა თუ გამომსახველობითი შესაძლებლობის მაქსიმალიზმსაც ააშკარავებს, თუმცა ლიტერატურული სრულყოფის ეს საზოგადო წესი ტერენტი გრანელთან მიმართებაში არ განხორციელებულა. მისი შემოქმედებითი ცხოვრების ბედისწერაც მისივე არეული, განუსაზღვრელი, ყოველგვარ ჩარჩოსა და კანონზომიერებას განრიდებულ ფიზიკურ ყოფასავით წარიმართა. იქნებ აქაც არ ჰქონდა ბედი, ან კიდევ წარმოუდგენელიც იყო ტერენტი გრანელის პოეტური ტალანტის გამოვლინება შემოქმედებითი განვითარების საფეხურებრივ ლოგიკას დაქვემდებარებოდა.

სწორედ პირიქით მოხდა, ტერენტი გრანელი თავისი შემოქმედებითი ცხოვრების ადრეულ წლებში (1920–1928) უფრო პოპულარული იყო ვიდრე შემდგომ, როცა თბილისმა თითქოს უცებ და ერთპიროვნულად შეიცნო სულიერი დეპრესიითა და მძიმე ფსიქიკური აშლილობით დაავადებული ტერენტი გრანელი, თუმცა ისევ პოეტი, მუზათა და ლანდთა სტუმრობით შთაგონებულიც და გატანჯულიც.

ფაქტია, რომ იმთავითვე (1918 წლიდან) იგი ორგანულად ჩანერა თბილისის ლიტერატურულ-ბოჰემურ ყოფაში, მაშინვე შეამჩნიეს მისი ღარიბული გარეგნობა და ლირიკული ლექსები, დაუბეჭდეს, შეაქვს კიდევ; სულ მალე თბილისელებმა ეს ლექსები დაიზეპირეს და დაიწყო გზა აღიარებისა, თუმცა „აღიარება“ ამ შემთხვევაში სრულიად პირობითი ცნებაა, რადგან ამ პროცესს პოეტისთვის ცხოვრების სტილი არ შეუცვლია და არც კეთილდღეობის რაიმე ნიშანწყალი დატყობა,

უბრალოდ იგი გაიცნეს და პირველ გულშემატკივართა (იაკობ შანავა, ზაქარია ჭიჭინაძე, იოსებ იმედაშვილი, დარია ახვლედიანი) და მეგობართა თანადგომით 1920 წელს ლექსების პირველი კრებულისც გამოიცა ფრიად სევდიანი და მოულოდნელი სათაურით. „პანაშვიდები“. ამ პერიოდში მხოლოდ შემოქმედებით ძიებაში არ ყოფილა, ცხოვრების გზისა და არსის შეცნობასაც ცდილობდა. ხან საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საქმიანობას მიეკედლა, პუბლიცისტიკაშიც სცადა ბედი, უნივერსიტეტში მეგობართა რჩევით ფილოსოფიის ლექციებს ესწრებოდა, საგამომცემლო საქმიანობითაც დაინტერესდა მეგობრებთან ერთად გაზეთი „ია“ და ჟურნალი „კრინოსის სარკე“ გამოსცა. თურმე შემდგომაც უცდია საკუთარი თავი და შინასამყარო გამოეგლიჯა უსისტემობის, ქაოსისა და მოუნყობლობის ნიალიდან, მაგრამ ამ დროს ტერენტი გრანელი საკუთარ თავს აღარ ჰგავდა და დიდხანს ის თავის თავსა და ბუნებას, ბუნებრივია ვერ დამალავდა. და ისევ ბრუნდებოდა ბოჰემურ ყოფაში, როცა მშვიერი პოეტი უკანასკნელი ნასესხები გროშებით ხან მეგობრებს უმასპინძლებოდა, ხანაც დაქირავებული ეტლით გოლოვინსკზე ჩაიგრიანებდა, ხოლო იქ, სადაც პოეტები იკრიბებოდნენ, ფეხზე დგებოდა, გაქანებული ეტლიდან ხმამაღლა ესალმებოდა მათ საკუთარი სახელის ძახილით – „გახლავართ პოეტი ტერენტი გრანელიო“. რა იყო ეს? ალბათ სურვილი და ნატვრა იქ მდგარი პაოლო იაშვილის, ტიცინან ტაბიძის, ვალერიან გაფრინდაშვილის, კონსტანტინე გამსახურდიას, ვასილ ბარნოვისა და რაც მთავარია გალაკტიონის გვერდით ეგულისხმათ. მარადიული ძიების თუ ვერშეგუების მქროლავ ტაიქზე შემომჯდარი, შეუცნობელი სამყაროსკენ, მესამე გზისკენ გეზაღებული.

„პანაშვიდებს“ სხვა პოეტური კრებულებიც მოჰყვა: „სამგლოვიარო ხაზები“ (1921), „სულიდან საფლავები“ (1922), „Memento mori“ (1924), „ლექსები“ (1926). სწორედ ამ ხანებში აინია პოპულარობის ამპლიტუდამ. ტერენტი გრანელის შემოქმედებას ყურადღება იმ დროის ლიტე-

რატურული პროცესის მესურვეებმა მიაქციეს: ვალერიან გაფრინდამ-ვილმა, ვასილ ბარნოვმა, ივანე გომართელმა, პაატა ორბელიანმა, ვალ-ნერ დაისელმა, კონსტანტინე გამსახურდიამ და სხვებმა იგი ქართული მწერლობის ახალ სახედ, ლირიკული პოეზიის ნიაღში საინტერესო მიგნებათა წარმომჩენად მიიჩნიეს და მისი შემოქმედებითი პოტენციაც აღიარეს. გამოიცა გაზეთი "ტერენტი გრანელი", რომელშიც ზემოხსე-ნებული გამოხმაურებებიც დააიბეჭდა და პოეტის ლექსების ნაწილიც.

ტერენტი გრანელის ლექსები განსაკუთრებით ახალგაზრდებს მოსწონდათ, ამ დამოკიდებულებას ისინი არცთუ იშვიათად პოეტ-საც უზიარებდნენ, არა მხოლოდ ფურცლებზე ან ლიტერატურულ შეხვედრებზე, არამედ ქუჩაში და პირად წერილებშიც, მათ შორის მანდილოსნებიც მრავლად იყვნენ. ტერენტი გრანელი ბედნიერი და თვალვებდახრილი უსმენდა მათ, საპასუხოდ ლექსებსაც ჩუქნიდა და იმასაც ცდილობდა, მისი პერსონით ზედმეტად არავინ მოეხიბლა, თითქოს გაურბოდა ქალბატონებთან ურთიერთობებს. მის ცხოვრე-ბაში არ ყოფილა მღელვარე რომანები, ყველაზე უკეთ თვითონ გრძ-ნობდა, რომ მისნაირი ცხოვრებით მცხოვრები, იმგვარ ყოფით და მატერიალურ მდგომარეობაში მყოფი კაცისთვის ქალის მოხიბვლა, შეყვარებული კაცის როლის მორგება წარმოუდგენელიც იყო და საფრთხილოც; ოჯახის შექმნაზე ხომ ფიქრიც ზედმეტი იყო, პირადი ცხოვრება პოეტს არასოდეს ჰქონია.

თუმცა იყო ერთი ისტორია ტერენტი გრანელის ცხოვრებაში, რომელმაც პოეტის ბიოგრაფიაშიც და სულშიც უცნაური კვალი დატოვა. მისი პოეზიის თაყვანისმცემელთა წერილებს შორის იყო ერთი, კიევიდან გამოგზავნილი: "მე ვარ თქვენი პოეზიის თაყვანისმ-ცემელი. თქვენი ლექსების კითხვა ყოველდღიურ სულიერ საზრდოდ გადამექცა... ზეპირად ვიცი თქვენი ბევრი ლექსი. მე თქვენ თბილის-ში გხვდებოდით და საიდუმლოდ, ფრიად საიდუმლოდ მიყვარდით

კიდევ... ახლა, როცა ასე შორს ვარ თბილისიდან, ქართულ ენასთან მაკავშირებს თქვენი ნაზი ლექსები”- წერდა უცნობი ქალი.

ტერენტი გრანელი გაოცებული იყო, გაოცებული და ბედნიერი: ვის უნდა მოეწერა წერილი კიევიდან?! ის იქ არავის იცნობდა. თავდაპირველად კვლავ ფრთხილად იყო, ეკრძალებოდა მის ცხოვრებაში გაჩენილ მშვენიერ უცნობს, მაგრამ როდესაც პირველ წერილს მეორე და მესამე მოჰყვა, მაშინ გრანელმა უმშვენიერესი სიტყვებით და გრძნობით აღსავსე წერილი მისწერა მასზე შეყვარებულ ქალს. მიწერა- მოწერა გახშირდა, ტერენტი გრანელი ბედნიერებისა და აღტაცებისაგან “ცაში ნავარდობდა”, მას მთელი არსებით შეუყვარდა უცნობი და უნახავი ქალი. დრო გადიოდა, წერილები ერთმანეთს ცვლიდნენ, ტერენტი გრანელი მოუთმენლობამ შეიპყრო, თავის სიყვარულთან შეხვედრის ფიქრი და ნატვრა პოეტს არ ასვენებდა, ეს ლექსიც თავის სიყვარულს უძღვნა:

შენს მოლოდინში

“მე შენზე ვფიქრობ და თითქო ვხედავ,
 ვფიქრობ და ისევ დღეა მზიანი.
 ძვირფასო! მოსვლა რად გაგიძნელდა
 ძვირფასო! რატომ დაიგვიანე.
 ეხლა ეს გრძნობა უფრო მეტია,
 ეხლა ქარები არხევენ ტირიფს.
 მე შენ გაიმბობ ჩემს ტრაგედიას
 და როგორც ბავშვი დავინყებ ტირილს.
 ასე გაივლის ნამება ოხვრა,
 შენ მოხვალ ჩემთან თეთრი ხელებით.
 მოხვალ დაღლილი, მეტყევი: როგორ ხარ,

მოხვალ და ვიცი მომეფერები.
თუმცა იქნება ღამე წვალების
ღამე სასტიკი და უღმობელი
და ეს თვალები, ლურჯი თვალები
ჩემი თვალები ისევ მოგელის”.

–ეს ლექსი ტერენტი გრანელმა კიევში გაუგზავნა ქალს.

თამარ ჯაფარიძე კიევში თავის მეუღლეს, სამხედრო ოფიცერს გაჰყვა, მას ტერენტი გრანელის ლექსების კრებულები თან წაუღია. როგორც ჩანს, პოეტისადმი გრძობა ქალს თბილისიდან წასვლის შემდეგაც არ განელებია. თამარმა სატრფოს თავისი ფოტოსურათიც გამოუგზავნა, გრანელი მოხიბლულა ქალის გარეგნობით.

შეყვარებულმა ქალმა ლოდინს და მონატრებას დიდხანს ვერ გაუძლო და ერთ წერილში ტერენტი გრანელის ნატვრაც ახდა: ქალი აუნყებდა, ჩამოგდივარ და სადგურის ბაქანზე დამხვიდო.

თამარ ჯაფარიძე ქმარს გაშორდა და თბილისში გამოიქცა.

ტერენტი გრანელი იმ ხანებში შეიცვალა, სიცოცხლე შეუყვარდა, ფიქრობდა, რომ ამიერიდან სხვანაირ ლექსებს დანერდა, ლექსებს სიყვარულზე, სინათლეზე, ბედნიერებაზე.

შეხვედრის დღეს ადგილს ვერ პოულობდა, მღელვარებამ და მოლოდინმა ერთთავად აიტანა... მარტო ყოფნა არ შეეძლო, სადგურზე მეგობარიც იახლა. ამ შეხვედრას პოეტის მეგობარი ასე იგონებს:

დანიშნულ ადგილას ადრე მივიდნენ, სადგურის ბაქანზე, ქალაქის გასასვლელთან ორნი იდგნენ– ტერენტი გრანელი და მისი მეგობარი გენო ქელბაქიანი. მატარებელი ჩამოდგა, უცნობი ქალი მხოლოდ მაშინლა შენიშნეს, როცა ბაქანი ხალხისაგან სრულიად დაიცალა. ...ის იდგა ბაქანზე მარტო, რალაცნაირად შემცბარი ღიმილით და დიდი ჩემოდნით.

ამ ნუთებადმდე "ციურ ლაჟვარდთა მხილავი" ტერენტი გრანელი უცებ დაუბრუნდა მიწას- გაფითრებული, გამშრალი და გამოფიტული ის გაუნძრევლად იდგა და შეჰყურებდა ქალს, რომელიც არაფრით არ შეიძლებოდა ყოფილიყო ის "ოცნების ასული"- ვისაც ელოდა პოეტი. ეს იყო "უზარმაზარი ჩემოდნით მდედრობითი სქესის მოქალაქე", ძალიან მალალი, გამხდარი სილუეტის ქალი, რომლის შედარება მისსივე ფოტოსურათთან თითქოს წარმოუდგენელიც იყო და ამასთან შესაძლებელიც.

ქალმაც იგრძნო, რაც ხდებოდა მის თავს, ისიც იდგა უსიცოცხლო და დამცირებული. "მას არ ეყო გამბედაობა გზა განეგრძო, არ ეყო სიამაყე თავი მალლა აელო და ეთქვა მე ის არა ვარ, თქვენ რომ ელოდებით - და გაგვცლოდა. პირიქით, იდგა საცოდავი, უბედური, ელოდა სასწაულს, მონყალებას, შებრალებას, პატიებას...

გამარჯობათ ტერენტი! - ძლივს გასაგონად წარმოთქვა მან და ხელი გაუნოდა. ტერენტიმ მეტად გულგრილად ჩამოართვა ხელი, მაშინვე გაუშვა და მომიბრუნდა:

- ჩვენ გვაგვიანდება!

ეს თქვა და წავიდა.

რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ ისევ მომიბრუნდა:

- არ გესმის? გვაგვიანდება!... და ტერენტი გრანელი წავიდა.

ქალი იდგა უძრავად, თითქოს ეშინოდა ნაბიჯის გადადგმისა, თითქოს ერთი ნაბიჯის იქით უფსკრული ყოფილიყო.

მერე შემოძხედა და თითო წამნამზე თითო შვიდფერი ცრემლი დაეკიდა.

მე არ მინახავს უფრო ნატანჯი სახე, მე არ მინახავს უფრო მწუხარე თვალები..."(გ. ქელბაქიანის მოგონებიდან)*.

* გ.ქელბაქიანი "ის მხოლოდ პოეზიით ცხოვრობდა" ცისკარი №5 1961.

ქალი ჩემოდანზე იჯდა და ტიროდა, ტერენტის მეგობარმა ის ეტლამდე მიაცილა...

ტერენტი გრანელი კი სადგურიდან მოშორებით, ფიროსმანის ქუჩაზე ბოძს მიყრდნობოდა, "ქანდაკებასავით თეთრი და მგლოვია-რე": "ვაიძე რამხელა ჩემოდანი ჰქონდა, სად იყო ის ქალი მე რომ მიყვარდა?" – პოეტი თითქოს ცოცხლებში აღარ ეწერა. "რატომ მწერდა ისეთ ნაზ წერილებს, რად მივწერე მე წერილები, რად დავწერე ლექსი, რად მოვტყუედი, ახ რად მემტერება მუხთალი ბედი"... ტერენტი გრანელი შინ წავიდა, მისვლისთანავე მოწყვეტით დაეცა სანოლზე და კარგახანს ასე იწვა გაუნძრევლად...

შემდეგ ერთი მეგობრისთვის ისიც უთქვამს: "მას ალბათ მდიდარი და სახლკარიანი კაცი ვეგონე, თორემ ქმარს ასე როგორ გამოედებოდაო..."

თამარ ჯაფარიძე კიევში აღარ დაბრუნებულა. ის საცხოვრებლად თბილისში დარჩა. ტერენტი გრანელი მის დანახვაზე ყოველთვის კრთებოდა და ოდესღაც წარმოსახვით სიყვარულს ელდანაკრავივით გაუბოდა. თავისი სიყვარული კი ამ სტრიქონებით გამოიტირა:

"...და სევდა მიპყრობს ისევ და ისევ
დაბნელდა ჩემი ოცნების მხარე
არყოფნის ღამე, შენ დამიფარე
არყოფნის ღამე, შენ დამიფარე".

ამის შემდეგ ტერენტი გრანელი თითქოს ერთგვარად ჩაიფერფლა კიდეც. დრო გავიდა, სასიყვარულო აღტაცება მის ცხოვრებაში აღარ მოსულა.

პოპულარობაც ნელ-ნელა მიინავლა. ბოლო კრებულის გამოცემის შემდეგ კი ტერენტი გრანელის პოეზიას გამომცემელთა ყუ-

რადღება თითქმის ოცდათხუთმეტი წელი აღარ ღირსებია, ის არც მაშინდელ, ყბადალებულ „სამშობლოს მტერთა“ სიაში მოხვედრილა, ამასაც ადვილად დააბრალებდნენ, მაშინდელი ხელისუფლებისათვის იმთავითვე ძნელამოსანონ „ცრემლისა“ და „მწუხარების პოეტს“, მაგრამ სულიერი ავადმყოფისა და შემდგომ სურამის ფსიქიატრიული საავადმყოფოს პაციენტის ამგვარი დადანაშაულება სხვა რომ არაფერი ვთქვათ, თვით დამბრალებლის იდეოლოგიური უსუსურობის უთუო გამოვლინება იქნებოდა: არც მისი ლიტერატურული ნაღვანის განხილვა მოუწყვიათ მკაცრ „წითელ კრიტიკოსებს“, მისსავე მკითხველთა შიშით დასაადუმებლად, ყველაფერი ძალიან უბრალოდ და ბუნებრივად მოხდა: ტერენტი გრანელი თავად გაეცალა მათ, თავის საყვარელ ქალაქს, მეგობრებს; თითქოს მისივე სულიერი ძმების – „ცისფერყანწელების“ პოეტური ქადაგების: პოეტისათვის – სიგიჟის კარიერის ნამდვილობა ირწმუნა და სხვადქცეული, მისივე მკითხველებისაგან, მეგობრებისაგან თუ თავყვანისმცემლებისაგან ახლა უკვე მკვეთრად განსხვავებული უზიარა „მარადისობის ლაჟვარდებს“

„ცრემლი არ მომდის, მაინც მე ვტირი
და შორეული სივრცე მიტაცებს.
სული გაფრინდა თეთრი მტრედით,
სხეული დარჩა ცოდვილ მიწაზე.
აღბათ იქ, ჩემზე ვილაც ნაღვლობდა
მაშინ, როდესაც მე არ ვიცოდი
ასე მგონია სულთან ახლოა,
ცისფერი შუქი მარადისობის“.

“శ్రీ కృష్ణుని చిత్రం”



ოსებ გრიშაშვილის ლექსები მაშინდელი რომანტიკული განწყობილების, სატრფიალო ემოციის, ჭაბუკური გატაცების, ხოლო ზოგჯერ, ეროტიკული განცდებისა და მსუბუქი ფლირტის სიმბოლოდ იქცა. მისი ადრინდელი პოეზია საპნის ოპერის განცდებით იყო სავსე, ამ ლექსების ლირიკულ გმირად კი თავად პოეტი წარმოდგებოდა: მოქეიფე, რაყიფი, ზოგჯერ ქალის აღერსითა და სიყვარულით განებივრებული, ზოგჯერ კი მისგან ზურგშექცეული, მწარედ ატირებული, ხან გულუბრყვილო, ხან კი ქალის ბუნების მცოდნე არშიყი; მისი ლექსები იმ დროს ძალიან მოდურ საფლირტო ლიტოს ჰგავდა ჟუნჟრუკოს, ნარგიზისა და ზამბახ-სუმბულის ტრიფიალური განცდა-დიალოგებით. და მაინც მკითხველი ხშირად მისი სტრიქონებით გამოხატავდა ემოციასაც, პოეზიის ცოდნასაც და სიყვარულსაც.

არსებობდა მეორე მხარეც მის შემოქმედებაში: მძიმე ყოველდღიურობის ასახვა იმ დროის მწერლის მოვალეობად, ხალხის სიყვარულის გამოვლინებად და შეიძლება ითქვას, პატრიოტული გრძნობის რეალიზაციადაც ითვლებოდა. განსხვავებით, მოგვიანო 20-იანი წლების პოლიტიზირებული პოეტური ნაკადისაგან, სადაც სევდა და აპათია „მუშური მარჯვენის სიმტკიცით აღფრთოვანებამ“, „სოციალისტური შრომით აღმაფრენამ“ და პათეტიკამ შეცვალა, რადგან საბჭოთა ეპოქაში „აღარ არსებობდნენ“ უბედური ადამიანები.

პოლიტიზირებული მწერლობის მთელი ეს ისტორია იოსებ გრიშაშვილმა თავიდან ბოლომდე გაიარა. სატრფიალო პოეზიის გვერდით მის ადრეულ შემოქმედებაში ამგვარი ლექსებიც მრავლადაა. ამ დროის პოეტური ქმნილებები უბრალოდ კრიტიკას ვერ უძლებს, ისინი არც მხატვრულად გამოირჩევა, რითმული სურათიც საკმაოდ სუსტია, ამას ემატება ლიტერატურული გადახრები – თუ გავლენები, რომელშიც ხშირად ინდივიდუალური ხელწერაც კი ნაშლილია. ხოლო სატრფიალო პოეზია კი მიუღებლად ნატურალისტურ ან იაფფასიან ბაიათურ სტრიქონებში სახიერდებოდა.

ამის მიუხედავად, პოპულარობა მაინც თან სდევდა ერთადერთი, რაც მისი ლექსებიდან არასოდეს დაკარგულია, გულწრფელობა (ზოგჯერ გულუბრყვილობამდე მისული) იყო. გულწრფელი გრძნობა, გულწრფელი სინანული, გულწრფელი ნუხილი – ამ ყოველივეს კარგად აცნობიერებდა მკითხველი და ახალგაზრდა პოეტს ყურადღებითა და სითბოთი პასუხობდა იქნებ სწორედ ეს სიმართლე იყო იოსებ გრიშაშვილის შემდგომი პოეტური სრულყოფის მთავარი მიზეზი,

სრულყოფილება და მხატვრული დახვეწილობა კი მოგვიანებით მოვიდა, ვითარცა პოეტურ – ესთეტიკური და შემოქმედებითი ტრფობის შედეგი. ეს პროცესი ათიანი წლების შუა ხანებიდან დაიწყო და უპირველესად სატრფიალო სტრიქონებში გამოიხატა.

იოსებ გრიშაშვილის პოეზია სიყვარულის აპოლოგიაა, ამ სატრფიალო სტრიქონთა, შექმნა მშვენიერმა ქალბატონებმა განაპირობეს: ოლია ლეჟავა, მარიჯანი, მარუსია ფრანგიშვილი, ნუცა ჩხეიძე, ქეთო ჯაფარიძე... – ყოველი ლამაზი ქალის გაცნობა, ახალ ლექსს ნიშნავდა, ამ სახეებმაც პოეტის შემოქმედებაში მშვენიერი ლექსების სახელით დაიდეს ბინა, მათ სხვადასხვა თარიღი ადევთ, პოეტის და შემოქმედებითი სახეცვლილების სხვადასხვა პერიოდს

ნარმოსახვენ. ამ ლექსთაგან მრავალი იმდენად პოპულარული ყოფილა, რომ ზოგჯერ ხალხურიც კი ეგონათ.

„მოგიახლოვდი,.... შენ კი გეძინა
ბურანში თრთოდი, ილიმებოდი
ცის წამს შენს ყუნწზე ეპოვნა ბინა
გეხუტებოდა ეხუტებოდი!
მოგხვით ხელი... მომხვდა ეკალი
შენ შეკრთი, ჩემსკერ გადმოიხარე,
დაგკოცნე... და მყის ცვრები სპეკალი
ზედ დამაფრქვითე, გადმომაყარე!...“

(„მოგიახლოვდი“, 1908 წ.)

ისიც უნდა ითქვას, რომ ამ ლექსებში აქა-იქ ეროტიკული პასაჟებიც კი გამოჩნდა ვნებისა თუ ლტოლვის ნატურალისტურ ფერებში ნარმოსახვა („მანოლა“, „ოქროს ფეხი“) მაშინდელი ლიტერატურული ყოფისთვის უცხო ხილი იყო,

სატრფილო ლირიკით იოსებ გრიშაშვილის სახელი იმ პერიოდის რჩეული პოეტური კოჰორტის რიგებში „ჩაინერა“.

ცისფერთვალემა მგოსანს სასიყვარულო წერილებს წერდნენ ბანოვნები, თვითონაც არაერთი მშვენიერი ცხოვრებისეული რომანი ჰქონდა, თუმცა ოჯახს გვიან მოეკიდა. მისი ყველა სიყვარული მისივე ლექსებში აისახა. ის წერდა იმაზე რასაც გრძნობდა, ფიქრობდა და განიცდიდა, და ლიტერატურული ვარჯიშის შედეგებიც მალე საცნაური გახდა.

„რა კარგი ხარ, რა კარგი! კოხტა

ზღვისფერთვალემა,

თმებზე ღამე მიცინის, პირზე – დღის ბრწყინვალემა,

რა კარგი ხარ, რა კარგი! შუშპარა და მჩქეფარე!

როცა მოვკვდე გენაცვალე, ძეგლად გადამეფარე!

...სუნთქავ – და მაგ სუნთქვისგან რომ მიბრძანო შენს მწერალს ფსალმუნს დავეწერ, ღვთის ფსალმუნს საგალობელ–სამღერალს, მზე შიშობს, რომ მასზე წინ იას არ შეეყარო!

შენს სიარულს აჯავრებს დარბეული მთის წყარო;
რა კარგი ხარ, რა კარგი! კობცა, ცელქი, მჩქეფარე,
როცა მოვკვდე ლამაზო, ცრემლად გადამეფარე“.

ეს ლექსი 1914 წლითაა დათარიღებული და მას კონკრეტული ადრესატი ჰყავს: სოფიო ჩიჯავაძე „ჩემი საუკეთესო ლექსები მას ეკუთვნის, გავიცანი 1914 წელს, გადავიცანი 1916 წელს“... წერდა იოსებ გრიშაშვილი. სონია ჩიჯავაძეს საპასუხო ექსპრესია ამგვარი გრძნობებისადმი არ გამოუმჟღავნებია. მისით გატაცებული მგოსანი ფრიად დამწუხრებულიც ყოფილა. "გადაცნობა" კი ვფიქრობთ, ქალის გათხოვებამ განაპირობა, სწორედ 1916 წელს სონია ჩიჯავაძე დაოჯახდა. იგი ცოლად გაჰყვა სპირიდონ კედიას, შემდგომში დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის წევრს, პოლიტიკურ მოღვაწეს, სოციალ–დემოკრატიული პარტიის აქტივისტს.

1921–ში სპირიდონ კედია მენშევიკური პარტიის სხვა წევრთა დარად ემიგრაციაში წავიდა ოჯახითურთ, კედლები საფრანგეთში–პარიზში დასახლდნენ. სონია ჩიჯავაძეს მშვენიერი ბანოვანის სახელი მუდამ თან სდევდა. საფრანგეთის პრეზიდენტმა ჟაკ შირაკმა მას პარიზის საპატიო მოქალაქის ტიტული უბოძა, იგი საკმაოდ მსცოვანი 108 წლისა გარდაიცვალა. როგორც ამბობენ, პოეტის ხსოვნა მას სიცოცხლის ბოლომდე შემორჩა.

თვით სოფიო ჩიჯავაძის აჩრდილი კი ქართული ლირიკული პოეზიის ერთ სამშვენიესად იქცა. ასე რომ, სონია ჩიჯავაძე მაც გაიზიარა ქართველ პოეტთა ცნობილი მუზეების მერი შერვაშიძისა და მელიტა ჩოლოყაშვილის ბედი – პოეტურ სიტყვაში განსახიერებული უკვდავებისა.

**თამარ პაიჭაძე ● თამარ შარაბიძე
რომანული ეპიზოდები**

**რედაქტორი: პროფესორი მაკა ელბაძიძე
რეცენზენტები:
პროფესორი კახაბერ ლორია, პროფესორი ნანა გონჯილაშვილი**

ISBN 978-99940-944-1-7

**დაიბეჭდა შპს «პეტიტში»
თბილისი, სტანისლავსკის 5
ტელ.: 35-71-31**

**თბილისი
2007**